

სიმონ ბელაშვილი, ირაკლი მაკალათია

გიორგი მიქელაძე

ცხოვრების დონის სტატისტიკა



სახელმძღვანელო

2022

ცხოვრების დონის
სტატისტიკა

**Ivane Javakhishvili
Tbilisi State University**

**Simon Gelashvili, Irakli Makalatia,
Georgi Mikeladze**

STATISTICS OF LIVING STANDARDS

**Tbilisi
2022**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიმონ გელაშვილი, ირაკლი მაკალათია,
გიორგი მიქელაძე

ცხოვრების დონის სტატისტიკა



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები, კერძოდ: ძირითადი ცნებები და კატეგორიები, ცხოვრების დონის შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების მეთოდები, დასაქმებისა და უმუშევრობის დონის სტატისტიკური გაზომვის მეთოდები, მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების სტატისტიკური ანალიზი, ეკონომიკური ზრდის გავლენა ცხოვრების დონეზე, ცხოვრების დონის სტატისტიკის ზოგადი და სპეციფიკური მაჩვენებლების გაანგარიშების წესები, კონკრეტული მეთოდები და მათი გამოყენების პირობები. წიგნში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ცხოვრების დონის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიის განხილვას.

სახელმძღვანელო გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთათვის და ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისთვის.

რედაქტორი ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეცენზენტები: ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასოცირებული პროფესორი რუსუდან ქინქლაძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ და იბეჭდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო საბჭოს დადგენილებით (ოქმი #2, 15.02.2022).

საავტორო უფლებები დაცულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

© სიმონ გელაშვილი, ირაკლი მაკალათია, გიორგი მიქელაძე, 2022

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022

ISBN 978-9941-491-87-0 (pdf)

სარჩევი

ნინასიტყვაობა	7
თემა 1. მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის მაჩვენებლები.....	9
1.1. ცხოვრების დონე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია.....	9
1.2. ცხოვრების ხარისხი და ცხოვრების წესი	13
1.3. ცხოვრების დონის კვლევის მეთოდები და ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემები	19
1.4. ცხოვრების ხარისხის ინდექსი (QLI), მსოფლიო ბედნიერების ინდექსი (WHI), ბედნიერი პლანეტის ინდექსი (HPI).....	21
1.5. ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI)	27
1.6. კითხვები თვითშემოწმებისათვის.....	31
1.7. ტესტები.....	32
1.8. ამოცანები თემიდან.....	34
თემა 2. ცხოვრების დონის სტატისტიკის მაჩვენებელთა გაანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგია	36
2.1. გამოკვლევის სახეები.....	36
2.2. მონაცემთა შეგროვების მეთოდები.....	37
2.3. სოციალური სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშების ზოგიერთი ასპექტი და მათი როლი	39
2.4. ტესტები.....	42
თემა 3. შინამეურნეობების შერჩევისა და მონაცემთა შენონვის მეთოდები.....	47
3.1. შერჩევითი გამოკვლევის დიზაინი.....	47
3.2. შემთხვევითი შერჩევის მეთოდები	48
3.3. სტატისტიკური წონების დადგენა და მისი სახესხვაობები	50
3.4. სტატისტიკურ მონაცემთა ვალიდაციის ზოგიერთი ასპექტი	53
3.5. ტესტები.....	53
თემა 4. ეკონომიკური ზრდის გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.....	57
4.1. მთლიანი შიგა პროდუქტი და მისი გაანგარიშების მეთოდები.....	57
4.2. მთლიანი შიგა პროდუქტი და მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში.....	59
4.3. ტესტები.....	68
თემა 5. დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური მაჩვენებლების გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე	71
5.1. შრომის ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები	71
5.2. მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით	76
5.3. დასაქმების დონის სტატისტიკა და თვითდასაქმებულთა კატეგორია	79
5.4. არაფორმალური დასაქმების სტატისტიკა	85
5.5. კითხვები თვითშემოწმებისათვის.....	88
5.6. ტესტები.....	89
5.7. ამოცანები თემიდან.....	94
თემა 6. ხელფასის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა, როგორც ცხოვრების დონის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი ...	96
6.1. ხელფასის სტატისტიკის ზოგადი მეთოდოლოგია	96

6.2. ხელფასის სტატისტიკური მაჩვენებლები – ხელფასის დარგობრივი და სექტორული განაწილება	100
6.3. ნომინალური და რეალური ხელფასის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.....	107
6.4. კითხვები თვითშემომნებისათვის	108
6.5. ტესტები	109
6.6. ამოცანები თემიდან.....	112
თემა 7. მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების სტატისტიკა	115
7.1. შემოსავლების სტატისტიკა	115
7.2. შინამეურნეობების ხარჯების სტატისტიკა.....	145
7.3. ტესტები	149
თემა 8. სიღარიბის სტატისტიკური მაჩვენებლები	152
8.1. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოსა და სხვა ქვეყნებში	152
8.1.1. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში „შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი“	152
8.1.2. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია ესტონეთში....	162
8.1.3. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია ჩეხეთში	166
8.1.4. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია რუსეთის ფედერაციაში	166
8.1.5. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია ბელარუსში....	167
8.1.6. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია ყაზახეთში	168
8.1.7. საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია მოლდოვაში ...	171
8.2. სიღარიბის სტატისტიკა	177
8.3. ტესტები	181
თემა 9. ცხოვრების დონის ამსახველი სოციალური მაჩვენებლები:	
ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის სტატისტიკა	183
9.1. ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები	183
9.2. სოციალური უზრუნველყოფის ძირითადი მაჩვენებლები	188
9.3. განათლების სტატისტიკა	191
9.4. კულტურის სტატისტიკა	198
9.5. კითხვები თვითშემომნებისათვის	203
9.6. ტესტები	204
9.7. ამოცანები თემიდან.....	205
თემა 10. სამართალდარღვევებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ურთიერთკავშირის სტატისტიკური ანალიზი	206
10.1. სამართლის სტატისტიკური შესწავლის მნიშვნელობა და ამოცანები	206
10.2. სისხლის სამართლის სტატისტიკა.....	209
10.3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკური მაჩვენებლები.....	211
10.4. კითხვები თვითშემომნებისათვის.....	216
10.5. ტესტები	217
10.6. ამოცანები თემიდან.....	220
ლიტერატურა	221

წინასიტყვაობა

სახელმწიფოს წარმოშობიდან დღემდე ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა, რაც გულისხმობს მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხის ზრდას. მოსახლეობის ცხოვრების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, რაც აისახება მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და სიმდიდრეში.

თანამედროვე პირობებში მოსახლეობის ცხოვრების დონის კვლევაში მრავალი მიმართულება ყალიბდება, რაც მოითხოვს მეთოდების ფართო სპექტრის არსებობას. ამ პროცესში ძირითადად გამოიყენება სტატისტიკური მეთოდები და ხერხები, როგორებიცაა: დაკვირვების, დაჯგუფების, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების, სტატისტიკურ მონაცემთა გრაფიკული გამოსახვის, ვარიაციის მაჩვენებლების, დროითი მწკრივების, საინდექსო მეთოდები და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

მოსახლეობის ცხოვრების დონის კვლევისას ცხოვრების დონის რაოდენობრივ მხარესთან ერთად შეისწავლება ხარისხობრივი მხარეც, რაც მეტად მნიშვნელოვანია ცხოვრების დონის კომპლექსური და სიღრმისეული ანალიზისათვის.

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია 10 თემა მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკის ყველა ძირითადი მიმართულებიდან. **პირველ თემაში – „მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის მაჩვენებლები“** – გადმოცემულია ცხოვრების ხარისხისა და ცხოვრების წესის ცნებების შინაარსი, ცხოვრების დონის კვლევის მეთოდები და ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემები, ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსი და მათი გამოთვლის მეთოდიკა.

მეორე თემა – „ცხოვრების დონის სტატისტიკის მაჩვენებელთა გაანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგია“ – ეძღვნება ცხოვრების დონის ამსახველ სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების მეთოდებს, სათანადო მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიას და მათი გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებს.

მესამე თემაში – „შინამეურნეობების შერჩევისა და მონაცემთა შენონვის მეთოდები“ – განხილულია შემთხვევითი შერჩევის მეთოდები, სტატისტიკური ნონების დადგენა და მისი სახესხვაობები. აღნიშნული საკითხები წარმოადგენს ცხოვრების დონის სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს.

მეოთხე თემა – „ეკონომიკური ზრდის გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე“ – ეძღვნება ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების დონის ურთიერთკავშირის სტატისტიკის საკითხებს. აქვე წარმოდგენილია საქართველოში მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) გაანგარიშების მეთოდოლოგია.

მეხუთე თემაში – „დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური მაჩვენებლების გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე“ – განხილულია მოსახლეო-

ბის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, დასაქმებისა და უმუშევრობის დონის გაზომვის სტატისტიკური მეთოდები.

მეექვსე თემა – „ხელფასის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა, როგორც ცხოვრების დონის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი“ – ეძღვნება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორებიცაა: ხელფასის სტატისტიკის ზოგადი მეთოდოლოგია, ხელფასის სტატისტიკური მაჩვენებლები დარგობრივ და სექტორულ ქრილში, აგრეთვე ნომინალური და რეალური ხელფასის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

მეშვიდე თემაში – „მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების სტატისტიკა“ – დახასიათებულია შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ოფიციალური სტატისტიკის წარმოება საქართველოში, ნაჩვენებია ასევე შესაბამისი მაჩვენებლების გაანგარიშება.

მერვე თემა – „სიღარიბის სტატისტიკური მაჩვენებლები“ – მოიცავს ისეთი საკითხების განხილვას, როგორებიცაა: საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოსა და სხვა ქვეყნებში – პოსტსაბჭოთა 5 ქვეყანა, ასევე, ჩეხეთი; მოცემულია „შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი“. აქვე განხილულია სიღარიბის სტატისტიკის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები.

მეცხრე თემაში – „ცხოვრების დონის ამსახველი სოციალური მაჩვენებლები: ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის სტატისტიკა“ – განხილულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სტატისტიკის ძირითადი საკითხები; აქვე წარმოდგენილია განათლებისა და კულტურის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები.

მეათე თემაში – „სამართალდარღვევებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ურთიერთკავშირის სტატისტიკური ანალიზი“ – წარმოდგენილია სამართლის სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია და პრაქტიკა, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გამოთვლის წესები.

მოცემული სახელმძღვანელო არ არის თავისუფალი ცალკეული ხარვეზისაგან, რომელთა აღმოსაფხვრელად გამოთქმული ყველა წინადადება, იმედია, მადლიერებით იქნება მიღებული და გათვალისწინებული ავტორთა მიერ.

*რედაქტორი, ასოცირებული პროფესორი
მარინე მინდორაშვილი*

თემა 1

მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის მაჩვენებლები

სალექციო საკითხები

1. ცხოვრების დონე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია
2. ცხოვრების ხარისხი და ცხოვრების წესი
3. ცხოვრების დონის კვლევის მეთოდები და ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემები
4. ცხოვრების ხარისხის ინდექსი (QLI), მსოფლიო ბედნიერების ინდექსი (WHI), ბედნიერი პლანეტის ინდექსი (HPI)

1.1. ცხოვრების დონე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია

მოსახლეობის ცხოვრების დონე წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონესა და ხარისხს.

კაცობრიობის განვითარების ყოველ საფეხურზე საზოგადოება ცდილობდა წარმოების სრულყოფით გაუმჯობესებინა თავისი ეკონომიკური მდგომარეობა და დაეკმაყოფილებინა მუდმივად მზარდი მატერიალური და არამატერიალური მოთხოვნილებები, რაც შემდგომში აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

ცხოვრების დონეს განსაზღვრავს როგორც ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები, ისე ისტორიული და გეოგრაფიული პირობები. მათ შორის მნიშვნელოვანია ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორებიცაა: მოსახლეობის შემოსავლები, დანახარჯები, დასაქმების დონე, სიღარიბე, ინფლაცია და სხვ.

მოსახლეობის სოციალური ნიშნით დაყოფა მრავალი ფაქტორითაა გამოწვეული, რომლებიც შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი გამსხვილებული ჯგუფების სახით:

ა) დემოგრაფიული ფაქტორები. ამ ნიშნით დაჯგუფება მოიცავს: შინამეურნეობების წევრთა რაოდენობას, მისი წევრების სქესსა და ასაკს, დასაქმებულთა რაოდენობას შინამეურნეობებში, ასევე, მათ განაწილებას სქესისა და ასაკის მიხედვით და სხვ.

ბ) სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. ეს ჯგუფი აერთიანებს: შემოსავლის წყაროებს; საკუთრებას; ოჯახის წევრების განათლებას, დასაქმებასა და ა. შ.

გ) გეოგრაფიული ფაქტორები. ამ ნიშნით წარმოდგენილია: ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა; მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობები; ეკოლოგიური მდგომარეობა; რეგიონული პოლიტიკის წარმართვა ქალაქსა და სოფელში, მრეწველობის, ბიზნესის, მომსახურებისა და სხვა სფეროების მიხედვით.

ცხოვრების დონე რთული სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა და მისი განსაზღვრა ერთი კონკრეტული მაჩვენებლით შეუძლებელია, ამიტომ მოსახლეობის ცხოვრების დონის დასახასიათებლად იყენებენ მისი ცალკეული სფეროების მონოგრაფიულ გამოკვლევებს და ადგენენ იმ მაჩვენებელთა სისტემებს, რომელთა კომპლექსური შესწავლითაც აანალიზებენ ცხოვრების დონეს მოცემულ ქვეყანასა თუ რეგიონში.

ადამიანთა მოთხოვნილებები და ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება განსაზღვრავს ცხოვრების დონეს და რადგან საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება მათი მოთხოვნილებები, ცვალებადია ცხოვრების დონეც.

ცხოვრების დონე ცვალებადი მოვლენაა, რადგან ისტორიული პერიოდების მიხედვით, იცვლება თვით მოსახლეობის მოთხოვნილებებიც. ადამიანთა განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის შესაბამისად, ჩნდება ახალი მოთხოვნილებები და საჭიროებები, რომლებიც ვლინდება მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასებისას.

საზოგადოების განვითარების დაბალ საფეხურზე ადამიანის მთელი მოთხოვნილება მხოლოდ მატერიალური მოთხოვნილებით ამოიწურებოდა. შემდგომში საზოგადოების განვითარებას მოჰყვა მოთხოვნილების განუხრელი ზრდა, ადამიანებს აღარ აკმაყოფილებდათ ცხოვრების მიღწეული დონე, მათ დაიწყეს მატერიალური მდგომარეობისა და სულიერი ცხოვრების გაუმჯობესებაზე ფიქრი. დღევანდელ დღეს ტექნოლოგიური განვითარებისა და მოთხოვნილებათა ზრდის ფონზე ცხოვრების დონის მაჩვენებლები აისახება არა მარტო ადამიანთა კვებაში, ჩაცმა-დახურვასა და სხვა მატერიალურ ყოფაში, არამედ ჯანმრთელობის დაცვაში, განათლებაში, კულტურულ და სხვა სოციალურ მოთხოვნილებებში.

„ისტორიული თვალსაზრისით, ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ დროთა განმავლობაში ადამიანები გაცილებით უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე წინა საუკუნეებში, ანუ აღინიშნება სიმდიდრის ზრდის ტენდენცია. ამიტომ დღევანდელი საშუალო ფენის წარმომადგენელი წარსულის მდიდრებზე გაცილებით მდიდარი შეიძლება აღმოჩნდეს არა შემოსავლების, არამედ, უმთავრესად, ცხოვრების კომფორტის მიხედვით, რასაც მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები განაპირობებს.

მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე, გარდა სოციალური უთანასწორობისა, განაპირობა მასობრივმა უბედურებამ – მოუსავლიანობამ, წყალდიდობებმა, ეპიდემიებმა, ხანძრებმა, ომებმა და სხვ.“¹

¹ იხ. აბესაძე რ. მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სიღარიბის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული III, თბ., 2010, გვ. 10.

ადამიანის ინდივიდუალური მოთხოვნილებები მოიცავს მოთხოვნილებებს: სურსათზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, საოჯახო ნივთებზე, საბინაო და საცხოვრებელ პირობებზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე, დასვენებასა და გართობაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე. თავის მხრივ, პირადი მოთხოვნილებები იყოფა პირველად მოთხოვნილებებად, რაც აისახება კვებაზე, ტანსაცმელზე, საცხოვრებელსა და პირველადი მოხმარების სხვა საგნებზე მოთხოვნილებებში, ხოლო მეორე რიგის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იწყება მაშინ, როცა სრულდება პირველადი მოთხოვნილებები. შესაბამისად, ქვეყანაში პიროვნების ინდივიდუალურ დონეზე ცხოვრების სტანდარტების განხილვისას, ცხოვრების დონის ზრდაზე ვერ ვიმსჯელებთ, თუ არ იქნება დაკმაყოფილებული მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილებები. რაც შეეხება მომდევნო მოთხოვნილებების წარმოშობასა და მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ის უკვე მოსახლეობის ცხოვრების დონის პროგრესზე მიუთითებს და, თავის მხრივ, ცხოვრების მაღალ სტანდარტებს ნიშნავს.

შინამეურნეობების მოთხოვნილებები მოიცავს პირად მოთხოვნილებებს და ემატება ახალი მოთხოვნილებები, რაც განპირობებულია ოჯახში მცხოვრებთა რიცხოვნობით და მათი მოთხოვნილებების მრავალფეროვნებით. ამ შემთხვევაში მოთხოვნილება იზრდება საცხოვრებელზე, საოჯახო ნივთებზე, ჩნდება ახალი სახის დანახარჯები, რაც

საჭიროა ბავშვის აღზრდისთვის.

სოციალური ჯგუფების მოთხოვნილებები არის საერთო ინტერესებითა თუ მიზნებით გაერთიანებული ადამიანების მოთხოვნილებები, რაც შეიძლება იყოს სამართლებრივ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებაზე, ეროვნული კულტურისა და ისტორიული ფასეულობების დაცვაზე, ეკოლოგიური და სოციალური პროგრამების შესრულებაზე მოთხოვნილებები.

საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მიმართულია მოსახლეობის ცხოვრების სტაბილიზაციისა და სოციალური დაძაბულობის აღმოფხვრაზე, მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფაზე, დასაქმების პრობლემების მოგვარებაზე და ა. შ.

მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონის მიხედვით, ცხოვრების დონე შეიძლება გაიზომოს როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ისე შინამეურნეობათა, ცალკეული სოციალური ჯგუფებისა თუ მთლიანი ქვეყნისათვის.

„ქვეყნის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შესახებ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მსჯელობდნენ და იკვლევდნენ კაცობრიობის დიდი მოაზროვნეები. ისინი ცდილობდნენ, მოეცათ ცხოვრების დონის ერთიანი შეფასება. ძველ საბერძნეთში იყო გავრცელებული დევიზი: „ადამიანის კეთილდღეობა – უმაღლესი მიზანია“. პლატონი, არისტოტელე, ქსენოფონტე და სხვა ცნობილი სწავლულნი მსჯელობდნენ ქვეყნის განვითარების დონის ამა თუ იმ კუთხით, განზოგადებულად წარმოჩენას, რაშიც აისახებოდა ქვეყნის განვითარების საფეხურები“. „პლატონი, ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი მიიჩნევდა, რომ იდეალურ საზოგადოებაში უმდიდრესი ადამიანის შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს ულა-

რიბესი ადამიანის ოთხმაგ შემოსავალს¹.¹ აღსანიშნავია, რომ პირველად არისტოტელემ გამოიყენა ცნება – “საშუალო ფენა“, რომელსაც ძირითადად უნდა მოეცვა ხელოსნები, ვაჭრები და მევასხეები, რომელთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა გარდამავალი იქნებოდა მონებსა და მონათმფლობელებს შორის. სწორედ არისტოტელეს იდეაა, რომ რაოდენობრივად რაც უფრო მეტი იქნება საზოგადოების საშუალო ფენა, მით უფრო სტაბილური იქნება თავად საზოგადოება. ცნება „საშუალო კლასი“ ფართოდ გავრცელდა XX საუკუნეში, რადგან ამ პერიოდში შეინიშნება მისი მკვეთრი რაოდენობრივი ზრდა.

ფეოდალურ საზოგადოებაში კი ეკონომიკის განვითარების საფუძველს მატერიალური დოვლათის თავისუფალი მწარმოებლებისა და ფეოდალებზე დამოკიდებული გლეხების შრომა წარმოადგენდა. ადრეულ შუა საუკუნეებში (V-XI ს.ს.) ფეოდალური ეკონომიკის აგრარული ხასიათი, ხელოსნობისა და ვაჭრობის განუვითარებლობა, ფეოდალების წინაშე მწვავედ სვამდა უზრუნველი ცხოვრებისათვის ფულის ქონის პრობლემას.

ცხოვრების დონის აქტუალურ საკითხებს იკვლევდნენ ცნობილი მოაზროვნეები: **ფ. კენე**, **თ. მალთუსი**, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის წარმომადგენლები: **უ. პეტი**, **ა. სმიტი**, **დ. რიკარდო** და სხვები. მოსახლეობის ცხოვრების დონე თავდაპირველად სიტყვიერად ფასდებოდა. ფრანგმა ფიზიოკრატმა, **ფრანსუა კენემ (1694-1774)** პირველმა შეავსო სიტყვიერი შეფასებები რაოდენობრივი მაჩვენებლებით. მოსახლეობის ცხოვრების დონის კვლევის თვალსაზრისით, აღსანიშნავია **ადამ სმიტის** ნაშრომი „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, რომელშიც გადმოცემულია მისი ძირითადი ეკონომიკური იდეები. შემოსავლების თეორიის განხილვისას კი ა. სმიტი საზოგადოებას სამ ძირითად კლასად ჰყოფდა: მუშები, კაპიტალისტები და მინათმფლობელები.

მოსახლეობის დემოგრაფიული პრობლემები ცხოვრების დონესთან კავშირში მთელი სიმწვავეთ პირველად დააყენა ინგლისელმა მეცნიერმა, **თომას რობერტ მალთუსმა (1766-1834)**. 1798 წელს თ. მალთუსმა გამოაქვეყნა ნიგნი „**ცდა ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ**“, რომელშიც მოსახლეობის ზრდის ბუნებრივი კანონი დაადგინა. ამ კანონის თანახმად, არსებობს შეუსაბამობა მოსახლეობის ზრდასა და საარსებო საშუალებების ზრდას შორის, თუ კი პირველი იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, მეორე მაჩვენებელი იზრდება არითმეტიკული პროგრესიით, ამიტომ დედამიწას ემუქრება სიჭარბე მოსახლეობისა, რომლის გამოკვებასაც იგი ვერ შეძლებს.²

ცხოვრების დონის კვლევაში ასევე მნიშვნელოვანია **გ. კინგის (1648-1712)** მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების სტატისტიკური მიმოხილვა, რომელშიც ვხვდებით მოსახლეობის დანაწილებას სოციალურ ჯგუფებად. მოცემულ მიმოხილ-

¹ იხ. ვირსალაძე ნ. მოსახლეობის შემოსავლები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. ქუთაისი, 2003, გვ. 107.

² <http://socium.ge/downloads/protosocoeoria/malTusisTezisebi.pdf>

ვაში განსაზღვრულია ოჯახთა რაოდენობა თითოეულ სოციალურ ჯგუფში, ოჯახის წევრთა რაოდენობა, თითოეული სოციალური ჯგუფის პირთა რაოდენობა, წლიური შემოსავალი ერთ ოჯახზე და სხვ.¹

ქვეყნის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასება მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე კიდევ უფრო გაფართოვდა და ვრცელი, მრავალფეროვანი ხასიათი მიიღო. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში წინ წამოინია სოციალურმა ასპექტებმა, აშკარა გახდა, რომ კერძო ეკონომიკური მიდგომა არასაკმარისია თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების დონის დასახასიათებლად, რადგან ცხოვრების დონე ფართო ცნებაა და ის ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ინტელექტუალური განვითარების გამოხატულებაა.²

ცხოვრების დონის სტატისტიკას შეისწავლის სოციალური სტატისტიკა, რომელიც იკვლევს კიდევ ცხოვრების დონის მაჩვენებლებს და მის შემადგენელ საკითხებს. სოციალური სტატისტიკის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის **უილიამ პეტის (1623-1687)** შრომებს. ა. კეტლე, რ. მაიო-სმიტი, ა. ბოული იკვლევდნენ სოციალური სტატისტიკის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს – მორალურ სტატისტიკას. ბელგიელმა სტატისტიკოსმა, **ა. კეტლემ (1796-1874)** პირველმა გამოიყენა მონაცემთა შეგროვების მეთოდები და სტატისტიკის მათემატიკური მიმდინარეობა დააფუძნა, მან შეისწავლა ადამიანის მორალური თვისებები და დაადგინა, რომ საზოგადოებრივი მოვლენები ხასიათდება განვითარების შინაგანი აუცილებლობით.

სოციალური სტატისტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსმა აკადემიკოსმა, **ს. გ. სტრუმილინმა (1897-1977)**, რომელიც იკვლევდა მოსახლეობის ცხოვრების დონეს და მიმოიხილავდა საარსებო მინიმუმსა და მუშების ხელფასებს, ხოლო **დ. პ. ჟურავსკი (1810-1856)** იკვლევდა მოსახლეობის დიფერენციაციას, ცხოვრების პირობებისა და სოციალური მდგომარეობის მიხედვით. ასევე აღსანიშნავია **უ. ე. იანსონის (1835-1893)** მოსახლეობის სოციალური კვლევები. ფ. ა. შერბინი (1849-1936), ა. ვ. ჩაიანოვი (1888-1937) და ე. ნ. ანუჩინი (1831-1905) ატარებდნენ საოჯახო მეურნეობების სტატისტიკურ კვლევებს.

1.2. ცხოვრების ხარისხი და ცხოვრების წესი

განსხვავებული ცხოვრების დონე განაპირობებს მოსახლეობის განსხვავებულ ცხოვრების წესსაც, რადგან სოციალურად არაერთგვაროვან საზოგადოებაში არ არის და შეუძლებელიცაა, იყოს ერთნაირი ცხოვრების წესი. ცხოვრების წესი ადამიანთა მთელ საქმიანობას მოიცავს და განიხილება ცხოვრების განმსაზღვრელ პირობებთან ერთად, იგი ცხოვრების დონით განპირობებული საზოგადოების ქცევის

¹ იხ. ბენაშვილი ი. საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგია და მისი სრულყოფის გზები (ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2010, გვ. 20.

² იხ. ვირსალაძე ნ. მოსახლეობის შემოსავლები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. ქუთაისი, 2003, გვ. 10.

მიზეზების გამოვლენისა და დადგენის საშუალებას იძლევა. ღრმა განსხვავება ცხოვრების წესში, თავის მხრივ, აძლიერებს საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას. ასე, მაგალითად, ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა პირობებში მოსახლეობის მდიდარ ფენაში ცხოვრების წესი ხასიათდება მოგების მიღების მაქსიმიზაციისკენ სწრაფვით. ამ შემთხვევაში აღინიშნება მიდრეკილება ფულისა და ფუფუნების საგნებისადმი, რომლებიც განასახიერებენ სიმდიდრეს. „საშუალო და დაბალი ფენის მოსახლეობის ცხოვრების წესის ნიშნებია მერყევი მატერიალური მდგომარეობა, ხვალინდელი დღისადმი შიში, უმუშევრობის მუდმივი საშიშროება, ღარიბი სიბერის მოლოდინი, მატერიალურ-ფულადი ბარიერები ცოდნის მიღებაში და სხვ. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცხოვრების წესი არაერთგვაროვანია ფიზიკური შრომით დაკავებულ საზოგადოებრივ ფენებში, ინტელიგენციაში, სოფლისა და ქალაქის მოსახლეობაში, ფიზიკური და გონებრივი შრომით დაკავებულ მომუშავე ადამიანებში და ა. შ.“¹

ცხოვრების სტილი პიროვნების ან სოციალური ჯგუფის ცხოვრების წესის თავისებურებებს ახასიათებს, თავისი შინაარსით ცხოვრების წესი უფრო ფართო ვიდრე ცხოვრების სტილი.² ცხოვრების სტილი, როგორც კონცეფცია დაკავშირებულია გერმანელი სოციოლოგისა და ფილოსოფოსის, მაქს ვებერის, შრომებთან. ის განისაზღვრება მატერიალური კეთილდღეობის სტანდარტებით, ადამიანის მიერ შექმნილი და მოხმარებული პროდუქციით, შეხედულებებითა და გემოვნებით, რაც დამახასიათებელია როგორც ცალკეული ადამიანისათვის, ისე კონკრეტული სოციალური ჯგუფებისათვის. ქცევისა და ურთიერთობის გარკვეული ინდივიდუალური ან ჯგუფური სტილის გავრცელებამ კი შეიძლება, ცხოვრების წესის ცვლილება გამოიწვიოს.

მოსახლეობის ცხოვრების დონის კატეგორიის შესწავლისას განასხვავებენ ცნებებს – „**ცხოვრების დონე**“ და „**ცხოვრების ხარისხი**“.

ამ ცნებების მიხედვით, ცხოვრების დონე მოიცავს ცხოვრების მატერიალური და არამატერიალური პირობების რაოდენობრივ მხარეს, ხოლო ცხოვრების ხარისხი ცხოვრების დონის თვისებრივ მხარეს. ცხოვრების დონე უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ცხოვრების ხარისხი. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზისას ცხოვრების დონე მოიცავს ცხოვრების ხარისხსაც, რადგან საზოგადოებრივი მოვლენების რაოდენობრივი ნიშნით სტატისტიკური კვლევა შეუძლებელია წარმართოს თვისებრივ მხარესთან ურთიერთკავშირის გარეშე.

ცხოვრების დონე შეიძლება განვიხილოთ, როგორც მატერიალური და არამატერიალური პირობების რაოდენობრივი მაჩვენებელი და ცხოვრების ხარისხი როგორც ამ რაოდენობრივი მაჩვენებლების თვისებრივი (ხარისხის) მახასიათებელი. მაგრამ, ვინაიდან მოსახლეობის ცხოვრების დონე გამომხატავს საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ადამიანთა ცხოვრების პირობების იმ ფაქტორ-

¹ იხ. მესხია ი., გაბელაშვილი კ. მოსახლეობის ცხოვრების დონე. თბ., 2004, გვ. 6.

² <http://www.nplg.gov.ge>

თა ერთობლიობას, რომელიც ახასიათებს მოსახლეობის ფიზიკური, სოციალური და ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს, შედეგად, ცხოვრების დონე მოიცავს ცხოვრების ხარისხის შესწავლასაც.

ცხოვრების დონესა და ცხოვრების ხარისხს შორის კავშირი შეიძლება განვიხილოთ შემდეგნაირად: „ცხოვრების დონეც და ცხოვრების ხარისხიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მხარეებს, რადგან, თუ ხარისხობრივად ადამიანთა მოთხოვნილებები არ კმაყოფილდება, შეუძლებელია ვისაუბროთ ცხოვრების მაღალ დონეზე და, პირიქით, თუ რაოდენობრივად ადამიანთა მოთხოვნილებები არ კმაყოფილდება, ვერ ვისაუბრებთ ცხოვრების მაღალ ხარისხზე. აქედან გამომდინარე, ცხოვრების პირობების შესაფასებლად უფრო მისაღებია გამოვიყენოთ ტერმინი „ცხოვრების დონე“. ამასთან, მისი დახასიათებისა და კვლევისას მისაღებია განვიხილოთ ცხოვრების დონის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები“.¹

ტერმინი „ცხოვრების ხარისხი“ გაჩნდა XX საუკუნის 50-იანი წლების შუა პერიოდში, რადგან აშკარა გახდა, რომ მხოლოდ ეკონომიკური ზრდა ვერ იქნებოდა ცხოვრების დონის საზომი, აქ გამოიკვეთა ისეთი გარემოებები და მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ცხოვრების დონის ხარისხობრივ მხარეზე. ცხოვრების ხარისხის შეფასების საჭიროება ტექნიკურმა პროგრესმა და ეკონომიკურმა განვითარებამაც გამოიწვია, რადგან თავი იჩინა ისეთმა უარყოფითმა მოვლენებმა, როგორებიცაა სოციალური დაძაბულობის გაღრმავება, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება და ა. შ.

თავიდან ცნება ცხოვრების ხარისხი ატარებდა აბსტრაქტულ ფორმას, რომელიც, მატერიალური კეთილდღეობის შევსების აუცილებლობიდან გამომდინარე, ძირითადად დაფუძნებული იყო სოციალური უსაფრთხოებისა და გარე სამყაროს ნეგატიური ზეგავლენის მდგომარეობების შეფასებაზე. „1962 წელს ჯ. ბერლინგერმა ცხოვრების ხარისხის საბაზისო შემადგენლობაში შეიყვანა შემდეგი ელემენტები: შემოსავლის დონე ერთ მოსახლეზე, სამართალდარღვევებისა და დანაშაულთა დონე, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების დონე. ამერიკელმა მეცნიერმა, ჯ. ფორესტერმა, ცხოვრების ხარისხის მახასიათებლებს მიაკუთვნა სტრესული სიტუაციები, ცხოვრების სირთულეები, კვების ხარისხი და გარემოს დაბინძურება. კანადელი სოციოლოგი **მ. ბუნგე** ცხოვრების ხარისხის ელემენტებში გულისხმობდა ჰაერისა და წყლის ხარისხს, საცხოვრებლის ზომას და ხარისხს, ოჯახური ცხოვრებისა და სამუშაოსგან დაკმაყოფილების ხარისხს, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის დონეს, უსაფრთხოებას ქუჩაში, ნაკითხულ წიგნთა, თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრების რაოდენობას და ა. შ.“²

¹ იხ. აბესაძე რ. მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სიღარიბის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული III, თბ., 2010, გვ. 5

² იხ. რობიტაშვილი ნ. მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში. დისერტაცია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბათუმი, 2012, გვ. 71.

მოსახლეობის ცხოვრების დონის კვლევისას ცხოვრების დონის ხარისხობრივ მხარეს შემდეგნაირად ვაანალიზებთ: მაგალითად, ცხოვრების დონის ისეთი მაჩვენებლების განხილვისას, როგორებიცაა დასაქმებულთა რაოდენობა და მათი ხვედრითი წონა ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში, ცხოვრების დონის რაოდენობრივი მაჩვენებელია, ხოლო დასაქმებულთაგან თვითდასაქმებულთა კატეგორიის განხილვა და ამ კუთხით არსებული პრობლემის ანალიზი – ცხოვრების დონის ხარისხობრივი მახასიათებელი, ანუ ცხოვრების ხარისხის მაჩვენებელი. ასევე, მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების სახეების განაწილება რაოდენობრივი მაჩვენებელია, ხოლო რეალური შემოსავლების გამოთვლა ცხოვრების ხარისხზე მიუთითებს. განათლების დონის სტატისტიკური შესწავლისას ვიყენებთ რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რაც აისახება მოსწავლე-მასწავლებლებისა თუ სასწავლო დაწესებულებების რაოდენობრივ მაჩვენებლებში, მაგრამ ხარისხობრივ მაჩვენებელზე მიუთითებს მოსწავლის მიერ მიღებული განათლების დონე, რაც აისახება: საბაზრო მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, შრომის ბაზარზე განათლების დონის მიხედვით დასაქმებულთა განაწილებაში. ჯანდაცვის სისტემაში ხარისხობრივ მაჩვენებლებს წარმოადგენს: სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და განუყოფელი მომსახურების ეფექტიანობა, კვალიფიციური ექიმების მომსახურება, ხარისხიანი მედიკამენტები და სამედიცინო დანადგარები, საწოლების რაოდენობა 100 000 კაცზე, სამედიცინო პერსონალის რაოდენობა და სხვ.

ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, რაც აისახება მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და სიმდიდრეში. ამ მხრივ საინტერესო მაჩვენებელია ის, თუ რამდენი მილიარდერი ჰყავს ქვეყანას და, ზოგადად, როგორია ქვეყანაში მოსახლეობის სიმდიდრის დონე.

Business Insider-ის მონაცემებით, რომლებიც მომზადდა Wealth-X's¹ 2019 წლის მილიარდერების აღწერის ანგარიშის მიხედვით, წარმოგვიდგენს იმ ზედა (პირველი) ათეულის ქვეყნებს,² სადაც ყველაზე მეტი მილიარდერი ცხოვრობს.³

10. საფრანგეთი⁴

2019 წლის მონაცემებით, ქვეყანას ჰყავდა 55 მილიარდერი, რომელთა საერთო სიმდიდრე შეადგენდა 195 მილიარდ აშშ დოლარს. ქვეყნის უმდიდრეს ადამიანად ითვლება ბერნარ არნო. ის აკონტროლებს ჰოლდინგ LVMH-ის თითქმის ნახევარს. ჰოლდინგი ასევე აერთიანებს Dior-სა და Louis Vuitton-ს. კომპანია მსოფლიოში ასევე წარმატებით ყიდის TAG Heuer საათებსა და Dom Perignon შამპანურს. ბერნარ არნომ მამისგან მემკვიდრეობით მიღებული სამშენებლო კომპანია გაყიდა და აკოტრების პირას მყოფი ბრენდების შესყიდვა დაიწყო. არნო მივიდა იმ დასკვნამ-

¹ <https://www.wealthx.com/report/the-wealth-x-billionaire-census-2019/>

² <https://www.businessinsider.com/countries-with-the-most-billionaires-2019-5#10-france-10>

³ <https://www.wealthx.com/report/the-wealth-x-billionaire-census-2019/>

⁴ <https://www.bloomberg.com/billionaires/>

დე, რომ ყველაზე სარფიან გაყიდვებს ბრენდი უზრუნველყოფს, შესაბამისად, მან დაიწყო არა ახლის შენება, არამედ არსებული ბრენდების განვითარება. შედეგად ის მსოფლიოში ცნობილი მრავალი ბრენდის მფლობელია.

9. საუდის არაბეთი

ქვეყანაში ოფიციალურად არის 57 მილიარდერი, რომელთა საერთო სიმდიდრე შეადგენს 147 მილიარდ აშშ დოლარს. ქვეყნის უმდიდრესი ადამიანია ალვალიდ ალ საუდი. პრინცი ალვალიდ ბინ თალალ ალ საუდი არის სამეფო ჰოლდინგის დამფუძნებელი, რომელსაც აქვს ინვესტიციები სასტუმროებში, უძრავ ქონებასა და სხვადასხვა კაპიტალში, მათ შორის Citigroup, Snap და Twitter-ში. იგი ასევე აკონტროლებს 80%-ს „Rotana“-სი, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი მედია კომპანიაა და ფლობს წილებს „Lyft and Careem“-ში.

8. ინდოეთი

ქვეყანას ჰყავს 82 მილიარდერი, რომელთა საერთო სიმდიდრე შეადგენს 284 მილიარდ აშშ დოლარს. ქვეყნის უმდიდრესი ადამიანია მუკეშ ამბანი. ის ინდოეთის ყველაზე გავლენიანი ბიზნეს მაგნატი და, ამავე დროს, აზიის ყველაზე მდიდარი ადამიანია. ის აკონტროლებს Reliance Industries-ს თითქმის 42%-ს. Reliance Industries Limited-ის სათავე ოფისი მუმბაიშია. კონგლომერატის ბიზნეს მიმართულებებია: ენერჯეტიკა, ნავთობქიმიკატები, ქსოვილი, ნავთობი და ბუნებრივი რესურსები, საცალო ვაჭრობა და ტელეკომუნიკაცია. მილიარდერი ასევე ფლობს 400 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების უძრავ ქონებას და მუმბაის კრიკეტის პროფესიონალურ გუნდს.

7. ჰონგ კონგი

ქვეყანაში დაფიქსირებული იყო 87 მილიარდერი, ხოლო მათი საერთო სიმდიდრე შეადგენდა 259 მილიარდ აშშ დოლარს. ქვეყნის უმდიდრესი ადამიანი კი არის ლი კა-შინგი. ჰონგ კონგელი ბიზნესმაგნატი, ინვესტორი და ქველმოქმედი. ამჟამად ის არის „CK Hutchison Holdings“-ის უფროსი მრჩეველი, მას შემდეგ, რაც პენსიაზე გავიდა და დატოვა საბჭო. „CK Hutchison Holdings“ არის კაიმანის კუნძულებზე რეგისტრირებული კონგლომერატი, რომელიც ჰონგ კონგში მდებარეობს. კომპანია 2015 წელს შეიქმნა Hutchison Whampoa-სთან შერწყმის შედეგად. კონგლომერატი დაკავებულია 5 ძირითადი ბიზნესით: პორტები და მასთან დაკავშირებული მომსახურება; საცალო ვაჭრობა; ინფრასტრუქტურა; ენერჯეტიკა და ტელეკომუნიკაციები, რომლებიც მოქმედებს მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში.

6. შვეიცარია

ქვეყანა სადაც ცხოვრობს 91 მილიარდერი, მათი ჯამური სიმდიდრე შეადგენს 240 მილიარდ აშშ დოლარს. ქვეყნის უმდიდრესი მილიარდერი არის ერნესტო ბერტარელი, რომელიც ასევე ცნობილია ქველმოქმედებით. ერნესტო დაიბადა რომში, მისი ოჯახი 1977 წელს შვეიცარიაში გადავიდა საცხოვრებლად. მისმა ბაბუამ, პი-

ეტრომ, დააფუძნა ფარმაცევტული კომპანია „Serono“, რომლის მმართველობა ჯერ ერნესტოს მამამ – ფაბიომ, ხოლო შემდეგ თავად ერნესტომ გადაიბარა.

5. გაერთიანებული სამეფო

2019 წლის მონაცემებით, ქვეყანას ჰყავდა 97 მილიარდერი, რომელთა ჯამური სიმდიდრე შეადგენდა 209 მილიარდ აშშ დოლარს. ქვეყნის უმდიდრესი ადამიანია ჯიმ რატკლიფი. რატკლიფი არის ქიმიკატების კომპანია „Ineos“-ის თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც დააფუძნა 1998 წელს. ლონდონში დაფუძნებულ კომპანიას დასაქმებული ჰყავს 22 000 თანამშრომელი და ფუნქციონირებს მსოფლიოს 26 ქვეყანაში. კომპანია ყოველწლიურად აწარმოებს დაახლოებით 60 მილიონ ტონა ქიმიკატს.

4. რუსეთი

ქვეყანაში აღრიცხული იყო სულ 102 მილიარდერი, რომელთა სიმდიდრე ჯამში შეადგენდა 355 მილიარდ აშშ დოლარს. ქვეყნის უმდიდრესი ადამიანია ლეონიდ მიხელსონი. ლეონიდ მიხელსონი არის ბუნებრივი გაზის მწარმოებლის – „Novatek“-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

3. გერმანია

ქვეყანაში დაფიქსირდა 146 მილიარდერი. მათი ჯამური სიმდიდრე კი 442 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ქვეყნის უმდიდრესი მილიარდერია დიტერ შვარცი. გერმანელი მილიარდერი „Schwarz Gruppe“-ს მფლობელია, რომელიც შემოსავლების მიხედვით არის მეოთხე უმსხვილესი საცალო სავაჭრო ქსელი მსოფლიოში. „Schwarz Gruppe“ აერთიანებს სუპერმარკეტების ქსელ „Lidl“-ისა და ჰიპერმარკეტების ქსელს „Kaufland“. დიტერ შვარცი, იმავდროულად, არის აღნიშნული სუპერმარკეტების თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი.

2. ჩინეთი

ქვეყანაში აღრიცხა 285 მილიარდერი, რომელთა ჯამური სიმდიდრე შეადგენს 996 მილიარდ აშშ დოლარს. ქვეყნის უმდიდრესი მილიარდერი გახლავთ ჯეკ მა, რომელიც ჩინური კომპანია „ალიბაბას“ დამფუძნებელია. შეგახსენებთ, რომ ჯეკ მა-მ გასულ წელს 55 წლის ასაკში კომპანიის ხელმძღვანელის პოსტი დატოვა. ჯეკ მა ასევე ფლობს ონლაინ გადახდის სერვისს Alipay-ს წილს.

1. აშშ

ქვეყანაში ცხოვრობს 705 მილიარდერი და მათი მთლიანი სიმდიდრე შეადგენს 3.013 ტრილიონ აშშ დოლარს. ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანი კი Amazon-ის დამაარსებელი, ჯეფ ბეზოსია. სიეტლში დაფუძნებული კომპანია Amazon-ი მსოფლიოში ყველაზე დიდი ონლაინ სავაჭრო ქსელია. ამაზონმა 2018 წელს 233 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო.

1.3. ცხოვრების დონის კვლევის მეთოდები და ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემები

ცხოვრების დონის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია: ეკონომიკური ანალიზის, მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები. კვლევაში ვიყენებთ ისეთ სტატისტიკურ მეთოდებს როგორებიცაა: დაკვირვების, დაჯგუფების, აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდეების, სტატისტიკური მონაცემების გრაფიკული გამოსახვის, საშუალო სიდიდეების, ვარიაციის მაჩვენებლების, დროითი მწკრივების, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზისა და საინდექსო მეთოდები.

თანამედროვე პირობებში მოსახლეობის ცხოვრების დონის კვლევაში მრავალი მიმართულება ყალიბდება. ახალი მეთოდოლოგიური მაჩვენებლების საფუძველს კი ეროვნულ ანგარიშთა სისტემა წარმოადგენს. ამ სისტემით ხდება ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრა, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და მსოფლიო მასშტაბით შესადარისობის მიღწევა დანარჩენ ქვეყნებთან. ეროვნულ ანგარიშთა სისტემამ განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა, საქართველოში ამჟამად დანერგილია და გამოიყენება ეას 2008 ვერსია.

პრაქტიკაში გამოყოფენ მოსახლეობის ცხოვრების ოთხ დონეს:

- 1) უზრუნველყოფილი დონე (კეთილდღეობა), რომლის პირობებშიც შესაძლებელია ადამიანის ყოველმხრივი განვითარება;
- 2) ცხოვრების ნორმალური დონე, რომელიც ითვალისწინებს რაციონალურ მოხმარებას მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების მიხედვით და შესაძლებელს ხდის ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღდგენას;
- 3) სიღარიბე, რომლის პირობებშიც შესაძლებელია მხოლოდ შრომისუნარიანობის შენარჩუნება. იგი წარმოადგენს სამუშაო ძალის კვლავწარმოების ქვედა ზღვარს;
- 4) სიღატაკე, მასში იგულისხმება საქონლისა და მომსახურების ნაკრები, რომელიც საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა.

ამჟამად, ცხოვრების დონის დასახასიათებლად სტატისტიკა იყენებს არა ერთ, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა მთელ სისტემას. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება მოსახლეობის ცხოვრების დონის კატეგორიის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრა, ასევე ფართოა იმ მაჩვენებელთა ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია მისი ადეკვატური სტატისტიკური დახასიათებისათვის.

საერთაშორისო სტატისტიკაში იკვეთება ისეთი ფაქტორები და პირობები, რომლებიც განასხვავებენ სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის შესადარისობას.

ამ ფაქტორებს მიეკუთვნება:

- გეოგრაფიული ფაქტორები;
- ეროვნული ტრადიციები და თავისებურებები;
- ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის დონე;
- ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე;
- ფინანსური სისტემის მდგომარეობა;
- ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა.

ცხოვრების დონის მაჩვენებლების განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრების დონე იცვლება დროთა განმავლობაში და, შესაბამისად, იცვლება ცხოვრების დონის სტანდარტებისადმი მიდგომებიც. მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლები მჭიდროდ უკავშირდება ცხოვრების ხარისხს. კეთილდღეობის დონე, კომფორტი და მატერიალური ფასეულობები ხელმისაწვდომია გარკვეული სოციალური ფენისთვის, გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ცხოვრების დონის სტანდარტს მიეკუთვნება შემდეგი ფაქტორები: შემოსავლები, დასაქმების პირობები და ხელმისაწვდომობა, შვებულების დღეების რაოდენობა წელიწადში, მოსახლეობის ფენებს შორის უთანაბრობა, სიღარიბის დონე, საბინაო პირობები და ხარისხი, მშპ, ეროვნული ეკონომიკის ზრდა, ინფლაცია, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვა და განათლება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, დაავადებათა შემთხვევები, საქონლის ღირებულება და მომსახურება, ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა, პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლება, გარემოს დაცვა, კლიმატი და უსაფრთხოება.

1978 წელს გაეროს მიერ შემუშავდა ცხოვრების დონის მახასიათებელი მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც რეკომენდებულია ყველა ქვეყნისთვის. აღნიშნული სისტემა მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს:

1. მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლები;
2. სასურსათო საქონლის მოხმარება;
3. შრომის პირობები და დასაქმება;
4. მოსახლეობის შემოსავლები და დანახარჯები;
5. ცხოვრების ღირებულება და სამომხმარებლო ფასები;
6. საბინაო პირობები;
7. სანიტარულ-ჰიგიენური პირობები;
8. განათლება და კულტურა;
9. სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა;
10. სოციალური უზრუნველყოფა;
11. დასვენების ორგანიზაცია;
12. ადამიანის უფლებები.

წინასწარი სოციალური მაჩვენებლების მითითებები სახელმძღვანელოდ მიიღეს გაეროს სტატისტიკური კომისიის მე-19 სესიაზე, 1976 წელს.¹ ამავე დროს, კომისიის გადანყვეტილებით უნდა გამოქვეყნებულიყო და ფართოდ გავრცელებულიყო სახელმძღვანელო. მოგვიანებით, 1978 წელს, ამ მაჩვენებლების ბაზაზე გამოიცა პუბლიკაცია. პუბლიკაციის მიმოხილვისას კვლევის ავტორებმა გაითვალისწინეს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მიდგომები და იმ დროისათვის არსებული ცნებები და სოციალური მაჩვენებლები.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს წინასწარი მითითებების სახელმძღვანელოში განხილული იყო სხვადასხვა ცნება და სოციალური მაჩვენებელი, მათ განახორცი-

¹ HANDBOOK ON SOCIAL INDICATORS, UNITED NATIONS, New York, 1989.

ელეს ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მაჩვენებლების ჰარმონიზება და, თავის, მხრივ ეკონომიკურ ინდიკატორებთან დაკავშირება.

ევროპის სტატისტიკის სისტემის კომიტეტის (ESSC) მიერ 2011 წლის ნოემბერში ევროკავშირისთვის შემუშავდა ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლები. აქ წარმოდგენილი მაჩვენებლები განხილული უნდა იქნეს, როგორც პირველი მცდელობა, რომელიც აერთიანებს ცხოვრების ხარისხის შემდეგ ინდიკატორებს:¹

1. ცხოვრების მატერიალური პირობები;
2. დასაქმება და შრომის პირობები;
3. ჯანდაცვა;
4. განათლება;
5. დასვენება და სოციალური მდგომარეობა საზოგადოებაში;
6. ეკონომიკური და მოსახლეობის ფიზიკური უსაფრთხოება;
7. სახელმწიფო მმართველობა და სამართლიანობა;
8. ბუნებრივი და საცხოვრებელი გარემო;
9. ადამიანის მორალური მდგომარეობა, რომელიც აერთიანებს შემდეგ მაჩვენებლებს: ადამიანის ცხოვრებით კმაყოფილება, ცხოვრების დადებითი და უარყოფითი გავლენები, ადამიანის ცხოვრებისეული მიზანი და დანიშნულება.

1.4. ცხოვრების ხარისხის ინდექსი (QLI), მსოფლიო ბედნიერების ინდექსი (WHI), ბედნიერი პლანეტის ინდექსი (HPI)

„ცხოვრების ხარისხის“ შესახებ ბევრი განმარტება და მოსაზრება არსებობს, რაც მიუთითებს საკითხის აქტუალურობასა და კვლევის პრობლემატიკაზე. პრობლემატიკა მდგომარეობს მრავალ თეორიულ განმარტებასა და მეთოდოლოგიურ საკითხებში. მკვლევრები თანხმდებიან იმაზე, რომ მატერიალური სიმდიდრე არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ცხოვრების ხარისხის შეფასებისათვის და ცხოვრების ხარისხზე მოქმედებს სხვა არამატერიალური და ადამიანებისათვის მგრძობიარე ფაქტორები. ცხოვრების ხარისხის ინდექსის, 2020 წლის მსოფლიო ქვეყნების რეიტინგი შედგენილია გლობალური მარკეტინგული კომპანიის „VMLY & R“ და პენსილვანიის უნივერსიტეტის „Wharton School“-ის მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით, რომელიც ჩატარდა მსოფლიოს 73 ქვეყანაში. ცხოვრების ხარისხის ინდექსი შედგება 9 მაჩვენებლის მიხედვით, რომელთაც მინიჭებული აქვთ თანაბარი წონა. ეს მაჩვენებლებია:

- ცხოვრების ხელმისაწვდომობა,
- განვითარებული შრომის ბაზარი,
- სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა,
- მეგობრული ოჯახური მდგომარეობა,
- შემოსავლების განაწილების თანასწორობა,

¹ http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/quality_life/introduction

- სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა,
- უსაფრთხო გარემო,
- განვითარებული საჯარო განათლებისა და საჯარო ჯანდაცვის სისტემები.

ამ რეიტინგის პირველ ათეულში მოხვდნენ შემდეგი ქვეყნები: კანადა, დანია, შვედეთი, ნორვეგია, ავსტრალია, ნიდერლანდები, შვეიცარია, ახალი ზელანდია და ფინეთი.¹

ქვეყანაში ცხოვრების დონის მიუხედავად, ბედნიერების განცდა ყველა ადამიანში განსხვავებული და ინდივიდუალურია, რადგან ის დამოკიდებულია ადამიანის სუბიექტურ მოთხოვნილებებზე. აქედან გამომდინარე, ცხოვრების დონის განხილვა სუბიექტური მიდგომით შეიძლება დაფუძვნიროთ ბედნიერების ცნებას. ამ გაგებით უმდიდრესი ადამიანი შეიძლება ისე არ მიიჩნევდეს თავს ბედნიერად, როგორც საშუალო ფენის წარმომადგენელი.

მსოფლიო ბედნიერების შესახებ 2019 წლის რეგაეროს ანგარიშში, 156 ქვეყანას შორის, საქართველომ 119-ე ადგილი დაიკავა.² ინდექსი გამოითვლება 8 ინდიკატორის საფუძველზე, კერძოდ:

- მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ მოსახლეზე;
- სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა;
- სოციალური მხარდაჭერა;
- ცხოვრებაში არჩევანის თავისუფლება;
- ხელგაშლილობა;
- კორუფციის აღქმა;
- პოზიტიური განწყობა;
- ნეგატიური განწყობა.

1. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე – მოცემულია მშპ 2011 წლის მუდმივ ფასებში, რომელიც აღებულია მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით.

2. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა – მაჩვენებელი მიღებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემების მიხედვით.

3. სოციალური მხარდაჭერა – მონაცემები მიღებულია შემდეგი კითხვის დასმიდან მიღებული შედეგების მიხედვით „თუ პრობლემები შეგექმნათ, გაქვთ თუ არა ნათესავებისა და მეგობრების დახმარების იმედი?“, შედეგები მიღებულია ორობითი პასუხების (0 ან 1) საფუძველზე.

4. ცხოვრებაში არჩევანის თავისუფლება – მონაცემები მიღებულია შემდეგი კითხვის დასმიდან მიღებული შედეგების მიხედვით, „ხართ თუ არა კმაყოფილი სა-

¹ Usnews-ის საუკეთესო ქვეყნების 2020 წლის რეიტინგი <https://media.beam.usnews.com/8e/b0/c99b324c4a0a8c1f6dd7c76d903c/200108-best-countries-overall-rankings-2020.pdf>

² მსოფლიო ბედნიერების ინდექსის 2019 წლის ანგარიში – <https://s3.amazonaws.com/happiness-report/2019/WHR19.pdf>

კუთარი არჩევანის თავისუფლებით“, შედეგები მიღებულია ორობითი პასუხების (0 ან 1) საფუძველზე.

5. ხელგაშლილობა – მონაცემები მიღებულია შემდეგი კითხვის დასმიდან მიღებული შედეგების მიხედვით, „გაქვთ თუ არა გაკეთებული შემონირობა გასულ თვეში?“, რაც შემდეგ დაითვლება მშპ-თან მიმართებით.

6. კორუფციის აღქმა – მონაცემები მიღებულია შემდეგი კითხვის დასმიდან მიღებული შედეგების მიხედვით, „არის თუ არა მთავრობაში გავრცელებული კორუფცია?“ და „არის თუ არა კორუფცია გავრცელებული ბიზნესში?“ შედეგები მიღებულია ორობითი პასუხების (0 ან 1) საფუძველზე.

7. დადებითი განწყობა – განისაზღვრება წინა დღის ემოციების მიხედვით, დასმულია შემდეგი სახის კითხვა: გქონდათ თუ არა შემდეგი გრძნობები (ბედნიერება, სიცილი, სიამოვნების შეგრძნება) გუშინდელი დღის განმავლობაში?

8. ნეგატიური განწყობა – განისაზღვრება წინა დღის ემოციების მიხედვით, დასმულია შემდეგი სახის კითხვა: გქონდათ თუ არა შემდეგი გრძნობები (შეშფოთება, მწუხარება, სიბრაზე) გუშინდელი დღის განმავლობაში?

რეიტინგის პირველ ათეულში მოხვდნენ: ფინეთი, დანია, ნორვეგია, ისლანდია, ნიდერლანდები, შვეიცარია, შვედეთი, ახალი ზელანდია, კანადა და ავსტრია.

ბედნიერი პლანეტის ინდექსი (HPI),¹ რომელიც ითვალისწინებს: კეთილდღეობას; სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას; უთანასწორობას და ეკოლოგიურ კვალს. კეთილდღეობა – გვიჩვენებს თუ რამდენად კმაყოფილი არიან ქვეყნის მოქალაქეები თავიანთი ცხოვრებით. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – გვიჩვენებს, თუ რამდენია სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი წელი ადამიანებისათვის. უთანასწორობა – გვიჩვენებს ქვეყნის შიგნით ადამიანებს შორის უთანასწორობას იმის მიხედვით, თუ როგორია სიცოცხლის ხანგრძლივობა და რამდენად ბედნიერად გრძნობენ თავს. უთანასწორობის შედეგები გამოსახულია პროცენტულად. ეკოლოგიური კვალი – თითოეული მოქალაქის საშუალო გავლენა გარემოზე, რაც გამოხატულია გლობალური ჰექტარით თითოეულ ადამიანზე. საბოლოო ინდექსი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} \text{ბედნიერი პლანეტის ინდექსი} &= \\ &= \frac{\text{კეთილდღეობა} \times \text{სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა} \times \text{უთანასწორობა}}{\text{ეკოლოგიური კვალი}} \end{aligned}$$

ბედნიერი პლანეტის რეიტინგის პირველ ათეულში მოხვდნენ: კოსტა-რიკა, მექსიკა, კოლუმბია, ვანუატუ, ვიეტნამი, პანამა, ნიკარაგუა, ბანგლადეში, ტაილანდი და ეკვადორი. საქართველო 140 ქვეყნის რეიტინგში მე-40 ადგილზეა.

¹ პლანეტის ბედნიერების ინდექსი – <http://happyplanetindex.org/>

მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა (World Economic Forum) სოციალური მობილობის გასაზომად შექმნა ახალი ინდექსი¹, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე სოციალური მდგომარეობის შეფასებას ქვეყანაში და როგორც თვითონ ინდექსის ავტორები აღნიშნავენ, ძალიან საჭირო შეფასებასაც.

კვლევის აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა ხშირად ვერ უზრუნველყოფს მათი მოქალაქეების ეკონომიკურ კეთილდღეობას, ადამიანები დაბადებიდანვე არათანაბარ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში ხვდებიან. ადამიანური კაპიტალი ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალაა, ხოლო ყველა ის ფაქტორი, რომლებიც აფერხებენ ადამიანის განვითარებასა და მის კაპიტალურ ზრდას, უარყოფითად აისახება ამ ადამიანების ცხოვრების დონესა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. „სოციალური მობილობის ინდექსი“ საშუალებას იძლევა, გაიზომოს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური სფეროები, შეფასდეს მათი განვითარების ტემპები და გამოავლინოს ხარვეზები.

„სოციალური მობილობის ინდექსი“ მოიცავს 82 ქვეყნის რეიტინგს. ინდექსის მინიმალური მნიშვნელობაა „0“ ხოლო მაქსიმალური „100“. ინდექსი შედგება შემდეგი სუბინდექსებისგან: 1. ჯანდაცვა; 2. განათლების ხელმისაწვდომობა; 3. უწყვეტი სწავლება; 4. ტექნოლოგიური განვითარება; 5. სამუშაოს მიღების შესაძლებლობები; 6. სამართლიანი ხელფასის განაწილება; 7. სამუშაო პირობები; 8. სოციალური დაცვის პირობები; 9. ინკლუზიური ინსტიტუტები, რაც გულისხმობს მთავრობის ეფექტიანად მუშაობის ხარისხს: კორუფციის დონეს, სამთავრობო და საზოგადოებრივი სერვისების ეფექტურობას, გენდერულ, ეთნიკურ და რელიგიურ ჩართულობას; პოლიტიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

რაც შეეხება საქართველოს, 82 ქვეყანას შორის ის 55.6 ქულით 53-ე ადგილს იკავებს. მეზობელი ქვეყნების შედეგები კი ასეთია: რუსეთი (39-ე ადგილი) – 64,7 ქულა; სომხეთი (56) – 53.9 ქულა; თურქეთი (64) – 51.3 ქულა. აზერბაიჯანი არ არის მოყვანილი რეიტინგში.

სოციალური მობილობის ინდექსის მიხედვით მოწინავე ქვეყნების ათეული შემდეგია:

1. დანია – 85.2 ქულა
2. ნორვეგია – 83.6 ქულა
3. ფინეთი – 83.6 ქულა
4. შვედეთი – 83.5 ქულა
5. ისლანდია – 82.7 ქულა
6. ნიდერლანდები – 82.4 ქულა
7. შვეიცარია – 82.1 ქულა
8. ავსტრია – 80.1 ქულა
9. ბელგია – 80.1 ქულა
10. ლუქსემბურგი – 79.8 ქულა.

¹ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიში: https://reports.weforum.org/social-mobility-report-2020/social-mobility-rankings/#series=SMI_POLITSTABILITY

U.S. News & World Report-ი ასევე გვთავაზობს საინტერესო ინდექსს, რომლის სუბინდექსის მნიშვნელობებიც გამოკითხვის შედეგების მიხედვით დგება.

U.S. News & World Report – არის ამერიკული მედია კომპანია, რომელიც, გარდა სიახლეებისა და ახალი ამბებისა, აქვეყნებს სხვადასხვა სახის რეიტინგებსა და ანალიტიკებს. ახალი ამბების ჟურნალი დაფუძნდა 1933 წელს, ხოლო ინტერნეტ გამოცემაზე 2010 წლიდან გადავიდა და თავისი მედია პლატფორმაზე გაამრავალ-ფეროვნა სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებით. **U.S. News & World Report**-ის პირველი ცნობილი რეიტინგი იყო "ვინ მართავს ამერიკას?" (1974-1986) გამოკითხვის შედეგებით დგებოდა აშშ-ის ყველაზე გავლენიანი ადამიანების რეიტინგები. **U.S. News & World Report** აქვეყნებს მრავალი სახის რეიტინგს: განათლების, ჯანდაცვის, საფინანსო და ტურისტული ნიშნით შერჩეულ მრავალი სახის რეიტინგს, უძრავი ქონების რეიტინგს, იურიდიული ფირმების რეიტინგს, საუკეთესო ავტომობილების რეიტინგს და, რა თქმა უნდა, საუკეთესო ქვეყნების რეიტინგს, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

რეიტინგი შედგენილია მსოფლიოს 73 ქვეყნის მიხედვით. ეს ქვეყნები შეირჩა 2017 წლის მონაცემთა ბაზაზე, ტოპ 100 ყველაზე მეტი მშპ-ს, ტოპ 100 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ტოპ 100 საერთაშორისო ტურიზმისა და ტოპ 150 ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით. ჩვენი ინტერესიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ამ რეიტინგში ვერ მოხვდა საქართველო. საუკეთესო ქვეყნების ინდექსი გამოთვლილია 9 სუბინდექსის მიხედვით, რომელთაც მინიჭებული აქვთ განსხვავებული წონა, ხოლო თავად ეს სუბინდექსები, თავის მხრივ, თემატურ ჯგუფებად არის წარმოდგენილი და მინიჭებული აქვს გამოკითხვის შედეგებიდან მიღებული შესაბამისი ქულები. ეს სუბინდექსებია:

თავგადასავალი, მოგზაურობა, დასვენება (2%) – შედგენილია მეგობრობის, მხიარულებისა და სასიამოვნო გარემოს შესახებ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად;

მოქალაქეობა (15,88%) – ადამიანის უფლებების დაცულობა, გარემოზე ზრუნვა, გენდერული თანასწორობა, რელიგიური თავისუფლება, საკუთრების უფლების პატივისცემა, ნდობა, კარგად დაბალანსებული პოლიტიკური ძალები.

კულტურის გავლენა (12,96%) – კულტურული დასვენებისა და გართობის პირობები, მოდა, პრესტიჟულობა, ტრენდურობა, ბედნიერება, რამდენად განიცდის კულტურულ გავლენებს, თანამედროვეობა.

მენარმეობა, მენარმეობის უნარები (17,87%) – კავშირი საზღვარგარეთის ქვეყნებთან, განათლებული ადამიანები, სამენარმეო უნარები, ინოვაციურობა, კაპიტალზე მარტივი წვდომა, მაღალი უნარ-ჩვევების მქონე მუშა-ხელი, ტექნოლოგიების სპეციალისტები, გამჭვირვალე ბიზნესწესები, კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა, კარგად შემუშავებული და ჩამოყალიბებული იურიდიული სტრუქტურა.

მემკვიდრეობა (1,13%) – საყოველთაოდ ხელმისაწვდომი კულტურა, მდიდარი ისტორია, მდიდარი სამზარეულო, კულტურული ღირსშესანიშნაობანი.

სწრაფად მზარდი ქვეყანა (14,36%) – ამ სუბინდექსის მნიშვნელობაში ითვალისწინებენ ქვეყნების სწრაფად მზარდ ეკონომიკას, რომელიც განსხვავებული, გამორჩეული, დინამიკური და უნიკალურია სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ბიზნესის გახსნილობა (11,08%) – ბიუროკრატია, წარმოების დაბალი ხარჯები, კორუფცია, ხელსაყრელი საგადასახადო გარემო, მთავრობის გამჭვირვალე მუშაობა.

ძალაუფლება (7,95%) – ლიდერობა, ეკონომიკურად გავლენიანი, პოლიტიკურად გავლენიანი, ძლიერი საერთაშორისო ალიანსები, ძლიერი სამხედრო ძალა.

ცხოვრების ხარისხი (16,77%) – ცხოვრების ხელმისაწვდომობა, განვითარებული შრომის ბაზარი, სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა, მეგობრული ოჯახური მდგომარეობა, შემოსავლების განაწილების თანასწორობა, სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, უსაფრთხო გარემო, განვითარებული საჯარო განათლებისა და საჯარო ჯანდაცვის სისტემები.

2020 წლის საუკეთესო ქვეყნების ათეული კი შემდეგია:

1. შვეიცარია – 10 ქულა;
2. კანადა – 9.9 ქულა;
3. იაპონია – 9.8 ქულა;
4. გერმანია – 9.7 ქულა;
5. ავსტრალია – 9.5 ქულა;
6. გაერთიანებული სამეფო – 9.3 ქულა;
7. აშშ – 9.2 ქულა;
8. შვედეთი – 8.9 ქულა;
9. ნიდერლანდები – 8.8 ქულა;
10. ნორვეგია – 8.8 ქულა.

შვეიცარია არის მსოფლიოს ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანა და ცნობილია თავისი ნეიტრალიტეტით. 1848 წელს ახალი კონსტიტუციით, შვეიცარიის კონფედერაცია იქცა ფედერალურ მთავრობად და მას შემდეგ ქვეყანამ დაიწყო განვითარება. შვეიცარია გამორჩეულია განვითარებული ეკონომიკით, უმუშევრობის დაბალი დონით, მაღალ განვითარებული სერვისების მიწოდებით, რასაც იყენებს ფინანსური მომსახურებისა და ტექნოლოგიური წარმოების სფეროები. რალა თქმა უნდა, შვეიცარია გამორჩეულია განვითარებული, გამჭვირვალე და დაცული საბანკო სექტორით. შვეიცარია არის ფედერალური რესპუბლიკა, რომელიც შედგება 26 კანტონისგან და ადმინისტრაციული დედაქალაქია ბერნი. მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობს ქალაქის ტიპის დასახლებებსა და დიდ ქალაქებში, რომელთაგან უმსხვილესი არის ციურიხი (ქვეყნის ყველაზე კოსმოპოლიტური ქალაქი). ქვეყანა გამორჩეულია მრავალფეროვანი და თვითმყოფადი კულტურით. გერმანული, ფრანგული, იტალიური და რუმინული ენები სარგებლობენ ეროვნული ენების სტატუსით. მოსახლეობის ერთ

სულზე გაანგარიშებით, შვეიცარიის მოქალაქეებმა მოიპოვეს ყველაზე მეტი ნობელის პრემია და დაარეგისტრირეს ყველაზე მეტი პატენტი.

მიუხედავად ბევრი საერთო ნიშნისა, ცხოვრების დონის დამახასიათებელი ინდექსები მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მაჩვენებლებითა და გამოთვლის მეთოდოლოგიით, შესაბამისად, ვიღებთ განსხვავებულ შედეგებს. მსოფლიოში წარმოდგენილი ინდექსებიდან ზოგი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს და ზოგიც ნაკლებად ცნობილია საზოგადოებისათვის. თითოეულ ამ მაჩვენებელს აქვს არსებობის უფლება, რადგან ცხოვრების დონის ზოგადი მაჩვენებლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სპეციალისტები ვერ შეთანხმდნენ ერთიან მაჩვენებელზე და სამომავლოდაც რთული იქნება ერთიანი ინდექსის შემუშავება.

1.5. ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI)

ადამიანის განვითარების ინდექსი (აგი) – მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის მისი ზოგადი განვითარების ინდიკატორს წარმოადგენს და აერთიანებს ამ განვითარების ისეთ საზომებს, როგორებიცაა: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ახალდაბადებულთათვის, განათლების დონე და მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით. ადამიანის განვითარების ინდექსი გაეროს მიერ აღიარებულია ადამიანის განვითარების განსაზღვრის სტანდარტულ საშუალებად. ეს ინდექსი ასევე ცნობილია, როგორც ჰუმანური განვითარების ინდექსი (**Human Development Index**). “Human” ქართულად ითარგმნება, როგორც ადამიანი. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი – ადამიანის განვითარების ინდექსის – სახელწოდებით, გამოყენება.

ინდექსის მთავარი დანიშნულებაა, განსაზღვროს ქვეყანაში ადამიანის განვითარების დონე, რომელიც ასევე იმ ჯგუფს განსაზღვრავს, რომელსაც ეს ქვეყანა განეკუთვნება – უმაღლესი განვითარების, მაღალი განვითარების, საშუალო განვითარებისა თუ დაბალგანვითარებულ ქვეყანათა ჯგუფს. ზოგადად, „ადამიანური განვითარება“ – ესაა კონცეფცია და, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის“ (UNDP) მიხედვით, ეხება ადამიანთა შესაძლებლობების ზრდის პროცესს, შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, განათლების მიღებისთვის უკეთესი პირობების შექმნას, ჯანდაცვას და ა. შ.¹

საინტერესოა, რომ ეს ინდექსი 1990 წელს შეიმუშავა პაკისტანელმა ეკონომისტმა – **მაჰბუბ ულ ჰაქმა**. მისი მიზანი იყო, შეექმნა ინდექსის მარტივი ფორმა, რომლითაც შეძლებდა, შეეფასებინა არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური მიღწევები, არამედ ადამიანის კეთილდღეობის დონე.

ადამიანის განვითარების ინდექსი ადგენს კრიტერიუმებს და გვიჩვენებს, ამ კრიტერიუმების მიხედვით, თუ რა საფეხურზეა ესა თუ ის ქვეყანა. ინდექსი გამოსახულია 0-დან 1-მდე მაჩვენებლით.

¹ იხ. მინდორაშვილი მ. ჰუმანური განვითარების ინდექსი: ისტორია და რეალობა. ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი 5, 2011, გვ. 69-91.

1998 წლიდან „გაეროს განვითარების პროგრამა“ თავის ყოველწლიურ „ადამიანის განვითარების ანგარიშში“ იყენებს ამ ინდექსს. ადამიანის განვითარების ინდექსის გასაანგარიშებლად გამოიყენება 3 სუბინდექსი.

ადამიანის განვითარების ინდექსის ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებაში შეიცვალა ზოგიერთი მაჩვენებელი. კერძოდ, სწავლების საშუალო ხანგრძლივობა იზომება არა 15 წლიდან, არამედ – 25 და ზევით ასაკის პირთა მიმართ. მეორე მაჩვენებელი, სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა გაიზომება სკოლაში შესვლის ოფიციალურად დადგენილი ასაკიდან სიცოცხლის ბოლომდე, თუ ქვეყანაში შენარჩუნდება განათლების მიღების გავრცელებული ტენდენციები. ახალი მეთოდოლოგიით შემოსავლების დონე იზომება არა მშპ-ის, არამედ მემ-ის საშუალებით ერთ მოსახლეზე. ცვლილებაა აგი-ის გამოთვლისას საშუალო არითმეტიკულის ნაცვლად – საშუალო გეომეტრიულის გამოყენება. ადამიანის განვითარების ინდექსის ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშება 2010 წლიდან დაინერგა და პერიოდულად განახლდება მისი სუბინდექსების მნიშვნელობები. ბოლო ასეთი განახლება აღინიშნა 2018 წელს, რომელიც ასახულია ადამიანის განვითარების ამავე წლის ანგარიშში.¹

ახალი აგი თანაბარ წონას ანიჭებს როგორც სამივე ინდიკატორს, ისე განათლების ორივე სუბკომპონენტსაც, რაც ხაზს უსვამს სამივე კომპონენტის თანაბარ მნიშვნელობას ადამიანის განვითარებისათვის. საშუალო გეომეტრიულის გამოყენების დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტორი, რომ ახალი აგი-ის ინდექსში ერთი მაჩვენებლის დაბალი მნიშვნელობა წრფივად აღარ კომპენსირდება დანარჩენი მაჩვენებლების მნიშვნელობებით.

2010 წელს დანერგილი ახალი მეთოდოლოგიით, **ადამიანის განვითარების ინდექსში** გამოიყენება 3 ძირითადი მაჩვენებელი:²

1. სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსი, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$I_1 = \frac{x_1 - 20}{83.6 - 20},$$

სადაც, x_1 არის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა ახალშობილთათვის, თუ მათი სიცოცხლის განმავლობაში შენარჩუნებული იქნება დაბადებისას არსებული ასაკობრივი მოკვდაობის ტენდენციები. სიცოცხლის ხანგრძლივობის მინიმალური ზღვარი (20 წელი) ეფუძნება მედისონისა (2010) და რეილის (2005) გრძელვადიან ისტორიულ მტკიცებულებას, ხოლო მაქსიმალური ზღვარი შეესაბამება იაპონიის 2012 წლის მაჩვენებელს.

¹ ადამიანის განვითარების მაჩვენებლები და ინდიკატორები, 2018 წელი
http://hdr.undp.org/sites/default/files/2018_human_development_statistical_update.pdf

² ადამიანის განვითარების ინდექსის სასწავლო მასალა –
<http://www.ophi.org.uk/wp-content/uploads/OPHI-RP-29a.pdf-2011.pdf?cda6c1>

2) განათლების ინდექსი: $I_2 = \frac{\sqrt{i_1 \cdot i_2}}{0.971}$, სადაც, i_1 არის 25 წლის და ზევით ასაკის მოსახლეობის მიერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიღებული განათლების ხანგრძლივობა განათლების თითოეული საფეხურის ხანგრძლივობის გათვალისწინებით (წლებში). i_2 – სასკოლო ასაკის ბავშვის სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, თუ მისი სიცოცხლის განმავლობაში შენარჩუნდება განათლების მიღების მიმდინარე ტენდენციები. 0.971 წარმოადგენს კომბინირებული განათლების ინდექსს ახალი ზელანდიისთვის, ხოლო i_1 და i_2 სუბინდექსების გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად:

$$i_1 = \frac{f_1 - 0}{15.0 - 0}; \quad i_2 = \frac{f_2 - 0}{18.0 - 0}$$

სადაც, 15.0 წელი არის სწავლის საშუალო ხანგრძლივობის მაქსიმალური მნიშვნელობა, 18 წელი – სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაქსიმალური მნიშვნელობა, ხოლო მინიმალური ზღვარი ორივე შემთხვევაში არის 0. შესაბამისად f_1 და f_2 ფაქტობრივი მაჩვენებლებია.

3) შემოსავლების ინდექსი: $I_3 = \frac{\ln(x_2) - \ln(100)}{\ln(87478) - \ln(100)}$, სადაც, x_2 არის ქვეყნის

მთლიანი ეროვნული შემოსავლის ფაქტობრივი მაჩვენებელი ერთ მოსახლეზე (აშშ დოლარი). 87 478 აშშ დოლარი აღებულია შემოსავლების მაქსიმალურ მნიშვნელობად, ხოლო მინიმალურ მნიშვნელობად – 100 აშშ დოლარი, ამასთან შემოსავლების ეს მაჩვენებლები მოცემულია მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით.

შემოსავლების ინდექსის გაანგარიშებისას ახალი მეთოდოლოგია იყენებს ნატურალურ ლოგარითმებს (\ln), ნაცვლად ათის ფუძით ლოგარითმისა (\log). ლოგარითმების გამოყენების მეთოდი საშუალებას იძლევა, შემოსავლების ინდექსი დანარჩენი ორი ინდექსის შესადარისი იყოს.

აღამიანის განვითარების ინდექსის საბოლოო სახე სამივე მაჩვენებლის გეომეტრიული საშუალოს ტოლია, ე. ი.:

$$HDI = \sqrt[3]{I_1 \cdot I_2 \cdot I_3}$$

არსებობს მოსაზრებები, რომ აგი-ის მნიშვნელობა გადაჭარბებულია, ხოლო მისი კომპონენტების შეფასების შემოსაზღვრა 0-სა და 1-ს შორის არამართებული, რადგან მდიდარ ქვეყნებს აღარ ეძლევათ საშუალება, რეიტინგი გაიუმჯობესონ, მიუხედავად იმისა, რომ მათ საამისო რესურსები გააჩნიათ. აგრეთვე, ის აძნელებს დინამიკაში ქვეყნის რეალური პროგრესისა თუ რეგრესის დადგენას, ვინაიდან დამოკიდებულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე. ინდექსის ნაკლოვანებად მიიჩნევა ის ფაქტიც, რომ მასში მატერიალურის გარდა, არ არის გათვალისწინებული სულიერი და მორალური ფასეულობები.¹

¹ იხ. მინდორაშვილი მ. ჰუმანური განვითარების ინდექსი: ისტორია და რეალობა. ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი, 5, 2011, გვ. 81.

ცხრილი 1.1. აგი-ს სუბინდექსების მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები¹

მაჩვენებლები	მაქსიმალური მნიშვნელობა	მინიმალური მნიშვნელობა
სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა	85.0	20.0
სწავლის საშუალო ხანგრძლივობა	15.0	0
სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა	18.0	0
კომბინირებული განათლების ინდექსი	0.971 (ახალი ზელანდია, 2010)	0
მთლიანი ეროვნული შემოსავალი საშუალოდ ერთ მოსახლეზე (მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით, აშშ დოლარი)	75 000	100

2020 წლის მონაცემების მიხედვით, ადამიანის განვითარების ინდექსის რეიტინგის პირველ ადგილს ნორვეგია იკავებს, რომლის კოეფიციენტიცაა 0.957. რეიტინგის ათეულში ნორვეგიასთან ერთად მოხვდნენ: ირლანდია (0.955); შვეიცარია (0.955); ჰონგ კონგი (0.949); ისლანდია (0.949); გერმანია (0.947); შვედეთი (0.945); ავსტრალია (0.944); ნიდერლანდები (0.944) და დანია (0.940).

ცხრილი 1.2. ადამიანის განვითარების ინდექსის რეიტინგი ქვეყნების მიხედვით, 2020 წელი (HDI)²

N	ქვეყანა	HDI	სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა	სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა	სწავლის საშუალო ხანგრძლივობა	მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ მოსახლეობის ერთ სულზე (მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით, აშშ დოლარი)
1	ნორვეგია	0.957	82.4	18.1	12.9	66,494
2	ირლანდია	0.955	82.3	18.7	12.7	68,371
2	შვეიცარია	0.955	83.8	16.3	13.4	69,394
4	ჰონგ კონგი	0.949	84.9	16.9	12.3	62,985
4	ისლანდია	0.949	83.0	19.1	12.8	54,682

¹ აგი-ს ანგარიში 2019, გვ. 2

http://hdr.undp.org/sites/default/files/hdr2019_technical_notes.pdf

² აგი-ს რეიტინგი ქვეყნების მიხედვით <http://hdr.undp.org/en/content/latest-human-development-index-ranking>

6	გერმანია	0.947	81.3	17.0	14.2	55,314
7	შვედეთი	0.945	82.8	19.5	12.5	54,508
8	ავსტრალია	0.944	83.4	22.0	12.7	48,085
8	ნიდერ- ლანდები	0.944	82.3	18.5	12.4	57,707
10	დანია	0.940	80.9	18.9	12.6	58,662

2020 წლის მონაცემებით, საქართველო მაღალგანვითარებული ქვეყნების ჯგუფშია, აქვს 0.812 ქულა და რეიტინგში 61-ე ადგილს იკავებს. რაც შეეხება სუბინდექსის მაჩვენებლებს: სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა შეადგენდა 73.8 წელს; სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 15.3 წელს; სწავლის საშუალო ხანგრძლივობა 13.1 წელს; ხოლო მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ მოსახლეზე (PPP) 14,429 აშშ დოლარს.

1.6. კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რა არის ცხოვრების დონე?
2. რა მაჩვენებლები განსაზღვრავს ცხოვრების დონეს?
3. რა ფაქტორებით ახასიათებენ ცხოვრების დონეს?
4. რა მაჩვენებელი განსაზღვრავს ცხოვრების დონეს?
5. რა არის ცხოვრების ხარისხი და ცხოვრების წესი? რა განსხვავებაა მათ შორის?
6. როდის გაჩნდა ტერმინი “ცხოვრების ხარისხი“ ?
7. მოსახლეობის ცხოვრების დონის კვლევისას როგორ ვაანალიზებთ ცხოვრების დონის ხარისხობრივ მხარეს?
8. რას იკვლევს სოციალური სტატისტიკა?
9. მოსახლეობის ცხოვრების რამდენი დონე გამოიყენება პრაქტიკაში? განსაზღვრეთ თითოეული მათგანი.
10. რა ფაქტორებითაა გამოწვეული მოსახლეობის სოციალური ნიშნით დაყოფა?
11. რას აერთიანებს სოციალური ჯგუფების მოთხოვნილებები?
12. რომელი პერიოდიდან იწყება მოსახლეობის ცხოვრების დონის შესახებ მსჯელობა და კვლევები?
13. განსაზღვრეთ გაეროს მიერ 1978 წელს შემუშავებული ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემა.
14. ჩამოთვალეთ საერთაშორისო დონის ინდექსები, რომლებიც ახასიათებენ ცხოვრების დონეს.
15. როგორ გამოითვლება ცხოვრების ხარისხის ინდექსი? განიხილეთ ინდექსის გამოთვლის ძირითადი მეთოდოლოგიური საკითხები.
16. მოიძიეთ ინდექსები, რომლებიც ახასიათებენ ცხოვრების დონეს და განიხილეთ მათი გამოთვლის მეთოდოლოგიები.

17. რა არის ადამიანის განვითარების ინდექსი (აგი), როგორ გამოითვლება ეს მაჩვენებელი?
18. როგორ გამოითვლება აგი-ს ძველი და ახალი მეთოდოლოგიის სუბინდექსები?
19. რა მეთოდოლოგიური ცვლილებები განიცადა ახალმა აგი-მ, ძველ მაჩვენებელთან შედარებით?
20. განიხილეთ საქართველოს სარეიტინგო ადგილი ადამიანის განვითარების ინდექსში და განიხილეთ მისი სუბინდექსების მნიშვნელობები.
21. ჩამოთვალეთ ცხოვრების დონის საკითხების მკვლევარი ცნობილი მოაზროვნეები, ჩამოთვალეთ ცხოვრების დონის საკითხების მკვლევარი ქართველი მეცნიერები.

1.7. ტესტები

1. რას გულისხმობს ცხოვრების დონე?

- ა) მოსახლეობის მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონეს;
- ბ) მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონესა და ხარისხს;
- გ) მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის დონეს;
- დ) ასეთი მაჩვენებელი არ არსებობს.

2. მოსახლეობის ცხოვრების დონის განმსაზღვრელი მაჩვენებელია:

- ა) მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე;
- ბ) ადამიანის განვითარების ინდექსი;
- გ) მოსახლეობის შემოსავლების დონე;
- დ) ასეთი მაჩვენებელი არ არსებობს.

3. რა ფაქტორები განასხვავებს საერთაშორისო სტატისტიკაში ცხოვრების დონის შესადარისობას?

- ა) გეოგრაფიული ფაქტორები და ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა;
- ბ) ეროვნული ტრადიციები და თავისებურებები;
- გ) ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და ფინანსური სისტემის მდგომარეობა;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

4. ვის უკავშირდება ცნების „ცხოვრების სტილის“ დამკვიდრება?

- ა) სარიდან გ.რსტრუმლინს;
- ბ) მაქს ვებერს;
- გ) თომას რ. მალთუსს;
- დ) ფრანსუა კენეს.

5. როდის გაჩნდა ტერმინი „ცხოვრების ხარისხი“?

- ა) XVIII საუკუნის 80-იან წლებში;
- ბ) XIX საუკუნის 50-იანი წლებში;
- გ) XX საუკუნის 50-იანი წლებში;
- დ) XX საუკუნის 90-იან წლებში.

- 6. ცხოვრების დონის კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია:**
- ა) ეკონომიკური ანალიზი; ბ) მათემატიკური მეთოდები;
 - გ) სტატისტიკური მეთოდები; დ) ყველა პასუხი სწორია.
- 7. კვლევის რა სტატისტიკურ მეთოდებს ვიყენებთ ცხოვრების დონის ანალიზისას?**
- ა) დაკვირვების;
 - ბ) სტატისტიკური მონაცემების გრაფიკული გამოსახვის;
 - გ) კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის;
 - დ) ყველა პასუხი სწორია.
- 8. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებისას ეროვნულ ანგარიშ-თა სისტემის (ეას) რომელ ვერსიას იყენებს საქართველო?**
- ა) ეას 53-ს; ბ) ეას 68-ს; გ) ეას 93-ს; დ) ეას 2008-ს.
- 9. საერთაშორისო სტატისტიკაში რა ფაქტორები განასხვავებენ სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის შესადარისობას?**
- ა) გეოგრაფიული ფაქტორები;
 - ბ) ეროვნული ტრადიციები და თავისებურებები;
 - გ) ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე;
 - დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.
- 10. რომელი მაჩვენებლისგან არ შედგება გაეროს მიერ 1978 წელს შემუშავებული ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემა?**
- ა) მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლები;
 - ბ) სანიტარულ-ჰიგიენური პირობები;
 - გ) თამბაქო და ალკოჰოლური სასმელების ჯგუფი;
 - დ) სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა.
- 11. რომელი მაჩვენებელი შეესაბამება ცხოვრების ხარისხის ინდექსს?**
- ა) კორუფციის აღქმა;
 - ბ) შემოსავლების განაწილების თანასწორობა;
 - გ) ცხოვრებაში არჩევანის თავისუფლება;
 - დ) სოციალური მხარდაჭერა.
- 12. ვინ შეიმუშავა ადამიანის განვითარების ინდექსი ?**
- ა) ა. კეტლემ და რ. მაიო-სმიტმა; ბ) მაჰბუბ ულ ჰაქმა;
 - გ) უ. პეტიმ და ა. სმიტმა; დ) ჯ. ჰიქსმა და მაჰბუბ ელ ჰაქმა.
- 13. როგორ გამოითვლება ადამიანის განვითარების ინდექსი?**
- ა) მისი სუბინდექსების საშუალო არითმეტიკულით;
 - ბ) მისი სუბინდექსების საშუალო გეომედიული არითმეტიკულით;

- გ) მისი სუბინდექსების საშუალო გეომეტრიულით;
- დ) მისი სუბინდექსების საშუალო ჰარმონიულით.

14. რომელი არ არის ადამიანის განვითარების ინდექსის სუბინდექსი?

- ა) დაბადებულთათვის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა;
- ბ) მემ-ის ღირებულება მოსახლეობის ერთ სულზე;
- გ) მშპ-ის ღირებულება მოსახლეობის ერთ სულზე;
- დ) მოსახლეობის განათლების დონე.

15. $\frac{x - \min(x)}{\max(x) - \min(x)}$ მოცემული ფორმულით გამოითვლება:

- ა) ადამიანის განვითარების ინდექსი;
- ბ) ადამიანის განვითარების ინდექსის სუბინდექსები;
- გ) ადამიანის განვითარების სუბინდექსების საშუალო;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

16. მოცემულ ფორმულაში $I = \frac{x - \min(x)}{\max(x) - \min(x)}$ X არის:

- ა) მაჩვენებლის მინიმალური მნიშვნელობა;
- ბ) მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა;
- გ) კონკრეტული ქვეყნის ფაქტობრივი მაჩვენებელი;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

17. ქვეყნების მიხედვით, 2020 წლის ადამიანის განვითარების ინდექსის რეიტინგში პირველ ადგილზე დგას:

- ა) ნიდერლანდები; ბ) შვედეთი; გ) ნორვეგია; დ) აშშ.

18. ადამიანის განვითარების ინდექსის მნიშვნელობები იცვლება:

- ა) -1-დან 1-მდე; ბ) 0-დან 1-მდე;
- გ) 0,5-დან 1-მდე; დ) ინდექსი იღებს განუსაზღვრელ მნიშვნელობას.

1.8. ამოცანები თემიდან

1. 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტი მუდმივ 2015 წლის ფასებში შეადგენდა 40,3 მილიარდ ლარს, ამა წელს მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა კი 3 720,2 ათას ადამიანს. გამოთვალეთ რეალური მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე.

2. გამოთვალეთ ადამიანის განვითარების ინდექსი, თუ სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის ინდექსმა შეადგინა – 0.80, განათლების ინდექსმა – 0.75, ხოლო შემოსავლების ინდექსმა – 0.68.

3. გამოთვალეთ საქართველოს სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი, თუ გაეროს ექსპერტების მიერ დაბადებისას მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაქსიმალურ მნიშვნელობად მიჩნეულია 85 წელი, მინიმალურ მნიშვნელობად 25 წელი, ხოლო საქართველოში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 72 წელი შეადგინა.

4. ადამიანის განვითარების ინდექსის (აგი) სუბინდექსების მნიშვნელობებმა შეადგინეს: სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის ინდექსმა – 0.9, განათლების ინდექსმა – 0.55, ხოლო შემოსავლების ინდექსმა – 0.2. გამოთვალეთ აგი ძველი და ახალი მეთოდოლოგიებით, შეადარეთ მიღებული მაჩვენებლები და გააკეთეთ შესაბამისი დასკვნები.

5. გამოთვალეთ ადამიანის განვითარების ინდექსში შემავალი განათლების სუბინდექსის მნიშვნელობა საქართველოსთვის: თუ სწავლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ შეადგინა 15.3 წელი, ხოლო სწავლის საშუალო ხანგრძლივობამ 13,1 წელი.

6. გამოთვალეთ ნორვეგიის ადამიანის განვითარების ინდექსი, თუ დაბადებისას მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაქსიმალურ მნიშვნელობად მიჩნეულია 85 წელი, მინიმალურ მნიშვნელობად – 25 წელი, ხოლო ნორვეგიის აღნიშნულმა მაჩვენებელმა 82,3 წელი შეადგინა. 25 წლის და ზევით ასაკის მოსახლეობის მიერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიღებული განათლების ხანგრძლივობა განათლების თითოეული საფეხურის ხანგრძლივობის გათვალისწინებით შეადგენს – 18,1 წელს, სასკოლო ასაკის ბავშვის სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა – 12,6 წელს, ხოლო ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 68 059 აშშ დოლარს.

თემა 2

ცხოვრების დონის სტატისტიკის მარკენაბელთა განგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგია

სალექციო საკითხები

1. გამოკვლევის სახეები
2. მონაცემთა შეგროვების მეთოდები
3. სოციალური სტატისტიკის მაჩვენებლების განგარიშების ზოგიერთი ასპექტი და მათი როლი
4. ტესტები

2.1. გამოკვლევის სახეები

ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც თავისი არსით ეკონომიკური პროცესების რაოდენობრივი გამოხატულებაა. ეკონომიკური პროცესების დასახასიათებლად და მტკიცებაზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად აუცილებელია სტატისტიკურ მონაცემთა არსებობა, რომელთა მიღება შესაძლებელია ადმინისტრაციული და სტატისტიკური კვლევებით. ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია – ქვეყნების ცენტრალური სტატისტიკური სააგენტოები სტატისტიკური ინფორმაციის მნიშვნელოვან წილს ადმინისტრაციული წყაროებიდან მოიპოვებენ. ადმინისტრაციული ინფორმაციის მაგალითებს წარმოადგენს სტრუქტურული რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში, რომლის ინფორმაციაც გროვდება ყველა უმაღლესი სასწავლებლიდან, მონაცემები სპორტისა და კულტურის შესახებ და სხვ.

სტატისტიკური გამოკვლევებით მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია – სტატისტიკური ინფორმაციის მიღების ალტერნატიული წყაროა სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება. სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარებისას გამოსაკვლევი (გენერალური) ერთობლიობიდან შეირჩევა ნაწილი, რომელზეც გროვდება სასურველი ინფორმაცია და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით აღნიშნული ინფორმაცია განზოგადდება მთლიან ერთობლიობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს გენერალური ერთობლიობის ნაწილი კი არ გამოიკითხება, არამედ მთელი ერთობლიობა. მნიშვნელოვანია, ვუპასუხოთ რამდენიმე კითხვას:

- 1) რატომ შეირჩევა საკვლევი ერთობლიობის ნაწილი გამოკვლევისთვის და არა მთლიანი ერთობლიობა?
- 2) რა საჭიროა მონაცემთა განზოგადება მთლიან ერთობლიობაზე?

პირველი კითხვის პასუხი უნდა ვეძებოთ სტატისტიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების საწყისებში. კერძოდ, სტატისტიკური მეცნიერება შეიქმნა იმისთვის, რომ ნაკლები ხარჯებით მიღებულიყო ინფორმაცია საკვლევ ობიექტზე. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ შერჩევითი გამოკვლევების უმეტესობაში ირჩევა მთლიანი ერთობლიობის 10%-ზე ნაკლები, მარტივია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მთლიანი ერთობლიობის გამოკითხვა მინიმუმ 10-ჯერ მეტი ხარჯის მატარებელია. არ უნდა დაგვავინწყდეს შერჩევითი გამოკვლევებისას მისი უარყოფითი მხარეც, კერძოდ, სტატისტიკური ცდომილების არსებობა.

მეორე კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავიხსენოთ სტატისტიკური მაჩვენებლების ტიპები. კერძოდ, მონაცემთა განზოგადება არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, თუ კვლევის ობიექტის შესახებ მხოლოდ ნაწილობრივი ინფორმაცია გვჭირდება, და არა სრული. იმ შემთხვევაში, თუ მიზანი საპირისპიროა და ასევე, ინტერესის სფეროს წარმოადგენს მონაცემთა მნიშვნელობების სხვადასხვა ქრილში (რეგიონების, დასახლების ტიპის, გენდერის მიხედვით და სხვა) გაანგარიშება, დგება მონაცემთა განზოგადების აუცილებლობა. მონაცემთა განზოგადების სტატისტიკურ მეთოდებს დეტალურად შევეხებით სხვა თავში.

სტატისტიკურ მონაცემთა წყაროების შესახებ მსჯელობისას არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ შეიძლება არსებობდეს ადმინისტრაციული და გამოკვლევებისგან განსხვავებული წყაროებიც. მაგალითად, როგორცაა, ვებგვერდებიდან მიღებული ინფორმაცია, დიდი მონაცემები (**Big Data**) და სხვა. აღსანიშნავია, რომ მათი მეშვეობით ინფორმაციის მიღება ბევრ სირთულეებთან არის დაკავშირებული და პრაქტიკულად მათი წილი ძალიან დაბალია. საყურადღებოა ფაქტი, რომ სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას რამდენიმე წყაროს კომბინაცია. მაგალითად, გამოკვლევებიდან მიღებული მონაცემები და ადმინისტრაციული ან **Big Data** და სხვა.

2.2. მონაცემთა შეგროვების მეთოდები

თანამედროვე სამყაროში ტექნიკის განვითარებამ სტატისტიკას შესაძლებლობა მისცა, გაემრავალფეროვნებინა მონაცემთა შეგროვების მეთოდები. თუ ადრე სტატისტიკური მონაცემის შეგროვების ძირითად საშუალებას წარმოადგენდა გამოკითხვა ინტერვიუერისა და რესპონდენტის უშუალო შეხვედრის აუცილებლობით, დღევანდელ რეალობაში მისი წილი თანდათან მცირდება.

სტატისტიკური გამოკითხვის ცნობილი მეთოდებია:

The Pen-and-Paper Personal Interview (PAPI) – კალმისა და ფურცლის საშუალებით ჩატარებული პირადი ინტერვიუ, ანუ „პაპი“ მეთოდი, რომელიც გულისხმობს ნებისმიერ გამოკითხვას, როდესაც საწყისი მონაცემები გროვდება კალმისა და ქაღალდის და არა ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებით. მიუხედავად

იმისა, რომ ახლა ფართომასშტაბიანი გამოკვლევებისას უფრო ხშირად გამოიყენება კომპიუტერის დახმარებით პერსონალური ინტერვიუების (CAPI) მეთოდი, წინა მეთოდს ახასიათებს რამდენიმე ძირითადი უპირატესობა ელექტრონულ მეთოდებთან შედარებით, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს მკვლევრისთვის.

Computer-assisted personal interviewing (CAPI) – კომპიუტერის დახმარებით პერსონალური გამოკითხვა წარმოადგენს გამოკითხვის მეთოდს, რომელიც ტარდება ელექტრონული (კომპიუტერული) კითხვარის გამოყენებით, რომელშიც ინტერვიუერი პასუხებს აფიქსირებს. გამოკითხვის აღნიშნული მეთოდი სიახლეს აღარ წარმოადგენს, მისი გამოყენება შესაძლებელი გახდა 1980-იანი წლების შემდეგ პერსონალური კომპიუტერების წყალობით. ამ მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს კომპიუტერის გამოყენების შესაძლებლობაში, რომელიც თავის თავში აერთიანებს კომპიუტერის მრავალ დადებით თვისებას.

Computer Assisted Telephone Interviewing (CATI) – აღნიშნული მეთოდის გამოყენების დროს გამოკითხვა ტარდება ტელეფონის გამოყენებით, ინტერვიუერი უსვამს რესპონდენტს კითხვებს და მიღებულ პასუხებს აფიქსირებს ელექტრონულ კითხვარში. ზემოთ წარმოდგენილი მეთოდების მსგავსად, ამ მეთოდის უპირატესობა შემდეგში მდგომარეობს: 1) ინტერვიუერი რესპონდენტს საჭიროების შემთხვევაში უზუსტებს კითხვარში წარმოდგენილ განმარტებებს; 2) ინტერვიუერი თვითონ ავსებს კითხვარს, რაც განაპირობებს მისი შევსების სიზუსტეს და ზედმეტი კითხვების არსებობის ნაკლებობას. ამ მეთოდის გამოყენებას ასევე ახასიათებს დადებითი თვისებები, რაც განასხვავებს PAPI და CAPI-ს მეთოდებისგან. კერძოდ, ის გამოკითხვის ჩატარების შედარებით სწრაფი მეთოდია. გამოკითხვის მეთოდის სახესხვაობას წარმოადგენს **Personal – assisted Telephone Interviewing (PATI)**. აღნიშნული მეთოდის გამოყენების დროს გამოკითხვა ტარდება ტელეფონის გამოყენებით, სადაც ინტერვიუერი უსვამს რესპონდენტს კითხვებს და მიღებულ პასუხებს აფიქსირებს დოკუმენტურ (ქაღალდის) კითხვარში.

Computer-assisted web interviewing (CAWI) – წარმოადგენს ინტერნეტგამოკითხვის მეთოდს, როდესაც ინტერვიუს დროს გამოიყენება ვებგვერდზე არსებული კითხვარი. ინტერნეტგამოკითხვის დროს კითხვარის ქაღალდზე არსებული კითხვებისა და შესაბამისი პასუხების გადატანა ხდება ვებგვერდზე. კითხვარების შესაქმნელად გამოიყენება სპეციალური პროგრამები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა კითხვარში წარმოდგენილი იყოს სურათები, აუდიო და ვიდეო კლიპები, ბმულები და სხვა დამატებითი ფაილები. ამ მეთოდის გამოყენება დაკავშირებულია ნაკლებ ფინანსურ ხარჯთან, რადგან გამოკითხვის მეთოდი არ მოითხოვს ინტერვიუერის გამოყენების საჭიროებას. ონლაინგამოკითხვის პოპულარობა მნიშვნელოვნად უკავშირდება ინტერნეტის გამოყენების სიხშირეს, რაც ყოველდღიურად მზარდია. გამოკითხვის მეთოდის უპირატესობებს წარმოადგენს:

- 1) მონაცემთა ბაზის ფორმირების მარტივი პროცესი;
- 2) შეცდომების გასწორების სისწრაფე და სიმარტივე;
- 3) მეთოდის გამოყენების ნაკლები დანახარჯები.
ამასთან, ამ მეთოდს ახასიათებს ნაკლოვანებებიც, კერძოდ:
 - 1) გამოპასუხების დაბალი დონე;
 - 2) რესპონდენტთა კატეგორიის ერთგვაროვნება.

Computer assisted self-interviewing (CASI) – რესპონდენტი კითხვარს თავად ავსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდის გამოყენების ხარისხი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული რესპონდენტის ალქმისა და ცოდნის უნარებთან, რადგან მას უნდა შეეძლოს როგორც წერა-კითხვა და კითხვის სწორად გაგება, ისე კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობა. მეთოდი ფართოდ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც კითხვის პირადად დასმა იწვევს დისკომფორტს და უხერხულობას. გამოკითხვის მეთოდის სახესხვაობას წარმოადგენს – **Audio computer assisted self-interviewing (ACASI)**. გამოკითხვისას გამოიყენება აუდიო მასალა და რესპონდენტს აქვს შესაძლებლობა, მოისმინოს წინასწარ ჩანერილი აუდიო ფაილები, კერძოდ, კითხვები და მისი განმარტებები.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური გამოკითხვის წარმოდგენილ მეთოდებთან ერთად გამოიყენება სხვა მეთოდებიც ან მათი კომბინაცია. ამასთან, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება საშუალებას იძლევა, გაფართოვდეს სტატისტიკური გამოკითხვის არსენალი.

2.3. სოციალური სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშების ზოგიერთი ასპექტი და მათი როლი

სოციალური სტატისტიკის აგრეგირებული მაჩვენებლების გაანგარიშდება შინამეურნეობებისა და მოსახლეობის დონეზე. სტატისტიკური მაჩვენებლების ეკონომიკური შინაარსის გასაგებად აუცილებელია შინამეურნეობების, მოსახლეობის რაოდენობის, შინამეურნეობის ზომის განმარტებისა და მათ შორის ურთიერთკავშირის ცოდნა.

შინამეურნეობა არის ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით (შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისგანაც). შინამეურნეობა კლასიფიცირდება ინსტიტუციურ და კერძო შინამეურნეობებად. ინსტიტუციურ შინამეურნეობებს მიეკუთვნება: საავადმყოფოები, ციხეები, სამხედრო ყაზარმები, რელიგიური საერთო საცხოვრებლები და სხვა, ხოლო კერძო შინამეურნეობები წარმოადგენს საცხოვრისში მცხოვრებ ადა-

მიანთა ერთობლიობას. სოციალურ სტატისტიკაში მაჩვენებლები გაანგარიშდება კერძო შინამეურნეობების დონეზე, ამიტომ, ამ და შემდგომ თავებში შინამეურნეობებში იგულისხმება კერძო შინამეურნეობები. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს განსხვავება შინამეურნეობასა და ოჯახს შორის. ოჯახი წარმოადგენს ნათესაური კავშირის მქონე ადამიანთა ჯგუფს, ხოლო შინამეურნეობა გულისხმობს ერთად მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ ნათესაურ კავშირში (მაგალითად, ორი ერთად მცხოვრები მეგობარი და სხვ.).

მოსახლეობა – წარმოადგენს ქვეყანაში მცხოვრებ (რეზიდენტ) ადამიანთა ერთობლიობას. როგორც წესი, სტატისტიკური მაჩვენებლები დაკავშირებულია რეზიდენტ შინამეურნეობასა თუ მოსახლეობასთან. რეზიდენტობაში იგულისხმება ადამიანი ან ოჯახი, რომელიც ცხოვრობს ან აპირებს ცხოვრებას რეზიდენტობის ადგილას 12 თვე ან მეტი.

შინამეურნეობის ზომა – წარმოადგენს შინამეურნეობაში მცხოვრები ადამიანების ჯამურ რაოდენობას. კავშირი შინამეურნეობას, შინამეურნეობის ზომასა და მოსახლეობას შორის შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც:

$$\text{მოსახლეობა} = \sum_{i=1}^n \text{შინამეურნეობა}_i * \text{შინამეურნეობის ზომა}_i \quad (1)$$

კერძოდ, თითოეულ შინამეურნეობაში მცხოვრები ადამიანების რაოდენობის ჯამი წარმოადგენს შესაბამისი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას.

სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშებისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ეკვივალენტური მოზრდილის და თანაცხოვრების ეფექტის მნიშვნელობა.

ეკვივალენტური მოზრდილი მოსახლეობა შედგება სხვადასხვა სქესისა და ასაკის ადამიანებისგან. ამ პარამეტრებიდან გამომდინარე, ყოველ ადამიანს ესაჭიროება სხვადასხვა რაოდენობის სასურსათო და არასასურსათო პროდუქტები და მომსახურება. მეტ-ნაკლებად თანაბრად რომ შევაფასოთ არსებული სიტუაცია მთელი მოსახლეობისთვის, უნდა მოხდეს მათი გათანაბრება. ამისთვის, შემოღებულ იქნა გარკვეული კოეფიციენტები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი ხდება სხვადასხვა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მქონე შინამეურნეობების ერთმანეთთან შედარება. ეს მაჩვენებელი ეკვივალენტურია მოზრდილების რაოდენობისა. ეკვივალენტური მოზრდილი არის 16-64 წლის მამაკაცი, რადგან მას არსებობისთვის ესაჭიროება მეტი სასურსათო და არასასურსათო პროდუქტის მოხმარება. შესაბამისად, 16-64 წლის მამაკაცს ენიჭება კოეფიციენტი 1. იგივე კოეფიციენტი აქვს 8-15 წლის ბავშვსაც, მისთვის საჭირო დღიური ნორმიდან გამომდინარე.

ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით, შინამეურნეობის თითოეულ წევრს ენიჭება კოეფიციენტი სქესისა და ასაკის შესაბამისად. შინამეურნეობის წევრების კოეფიციენტების დაჯამებით განისაზღვრება თითოეული შინამეურნეობის ეკვივალენტური მოზრდილების რაოდენობა.

ცხრილი 2.1. ეკვივალენტური მოზრდილების განსაზღვრის კოეფიციენტები

სქესობრივ- ასაკობრივიჯგუფი	ასაკი	სქესი	კოეფიციენტი
1	0 – 7	ორივე სქესი	0.64
2	8 – 15	ორივე სქესი	1
3	16 – 64	კაცი	1
4	16 – 59	ქალი	0.84
5	65 +	კაცი	0.88
6	60 +	ქალი	0.76

მაგალითი 1: თუ შინამეურნეობაში ცხოვრობს 3 ადამიანი, რომელთაგან პირველი არის კაცი — 40 წლის, მეორე — ქალი 39 წლის, ხოლო მესამე — გოგონა 5 წლის, ამ შინამეურნეობის ზომა იქნება 3, ხოლო შინამეურნეობის ზომა ეკვივალენტური მოზრდილების მიხედვით იქნება $1+0,84+0,64=2,48$.

თანაცხოვრების ეფექტი – არსებობს გარკვეული ტიპის ხარჯები (მაგალითად, გადასახადები), რომლებიც ერთ ნევრზე გადაანგარიშებით მცირდება შინამეურნეობების ნევრთა რაოდენობის ზრდით (მაგალითად, ორი ცალდცალკე მცხოვრები ადამიანი ხარჯავს უფრო მეტს, ვიდრე ეს ორი ადამიანი დახარჯავდა თანაცხოვრებისას). სწორედ ამ ფაქტის გასათვალისწინებლად გამოიყენება თანაცხოვრების ეფექტი, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: შინამეურნეობაში ეკვივალენტური მოზრდილების რაოდენობა აყვანილი 0.8 ხარისხში (მხოლოდ ისეთი შინამეურნეობებისთვის, რომლებშიც ნევრთა რიცხვი ერთზე მეტია).

მაგალითი 2: თუ გავითვალისწინებთ მაგალითი 1-ის პირობებს, შეიძლება გამოითვალოს შინამეურნეობის ზომა და ეკვივალენტური მოზრდილების რაოდენობა თანაცხოვრების ეფექტის გათვალისწინებით.

$$\begin{aligned} & \text{შინამეურნეობის ზომა თანაცხოვრების ეფექტის გათვალისწინებით} = \\ & = \text{შინამეურნეობის ზომა}^{0,8} = 3^{0,8} = 2,4082. \end{aligned} \quad (2)$$

$$\begin{aligned} & \text{ეკვივალენტური მოზრდილების რაოდენობა თანაცხოვრების ეფექტის} \\ & \text{გათვალისწინებით} = \text{ეკვივალენტური მოზრდილების რაოდენობა}^{0,8} = \\ & = 2,48^{0,8} = 2,0681. \end{aligned} \quad (3)$$

სტატისტიკური მაჩვენებლის მედიანური მნიშვნელობა ისეთი მაჩვენებელია, როდესაც ერთობლიობის ნახევარზე მეტს მასზე მეტი მნიშვნელობა აქვს, ხოლო მეორე ნახევარს – ნაკლები. სოციალურ სტატისტიკაში მედიანური მნიშვნელობა შეიძლება დაითვალოს ორ ჭრილში, კერძოდ, შინამეურნეობის და მოსახლეობის მიხედვით. პირველ შემთხვევაში, მედიანურ მნიშვნელობაზე ნაკლები მთელი შინამეურნეობების 50%-ს ექნება, ხოლო მეორე 50%-ს მასზე მეტი, ხოლო მეორე შემთხვევაში – მედიანურ მნიშვნელობაზე ნაკლები მთელი მოსახლეობის 50%-ს ექნება, ხოლო მეორე 50%-ს მასზე მეტი.

შერჩევითი გამოკვლევისას მონაცემთა გასაანგარიშებლად გამოიყენება **სტატისტიკური წონები**. სტატისტიკური წონების მიხედვით შეგროვებული ინფორმაციის განზოგადება ხდება გენერალურ ერთობლიობაზე. კერძოდ, თუ შინამეურნეობებს გავამრავლებთ თითოეულის წონაზე და შევკრებთ, მივიღებთ ქვეყანაში არსებული შინამეურნეობების რაოდენობას, ანალოგიური ლოგიკა ვრცელდება მოსახლეობის მიხედვითაც. შესაბამისად, შერჩევითი გამოკვლევის მიხედვით, სტატისტიკური ინდიკატორის მედიანური მნიშვნელობის გასაანგარიშებლად ყურადღება უნდა გამახვილდეს წონებზე. მედიანური მნიშვნელობის უკეთ გასაგებად განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი:

მაგალითი 3: თუ გვაქვს ხუთი შინამეურნეობა შემდეგი შემოსავლებით და წონებით:

შინამეურნეობა	I	II	III	IV	V
შემოსავალი	200	300	400	500	600
წონა	100	150	150	400	50

მაშინ, ქვეყანაში გვყავს $100+150+150+400+50=850$ ადამიანი, ხოლო მის ნახევარს $850:2=425$ წარმოადგენს; მედიანური შემოსავალი იქნება IV – 500 ლარი, რადგან ზრდადობის მიხედვით დალაგებული ადამიანებიდან 425 მოხვდება IV შინამეურნეობის წონების ჯგუფში.

2.4. ტესტები

1. სტატისტიკური გამოკვლევები, მონაცემთა მიღების ძირითადი წყაროების მიხედვით, შეიძლება ჩატარდეს:

- I – ადმინისტრაციული წყაროებით
- II – ემპირიული შეფასებებით
- III – სტატისტიკური გამოკვლევებით
- IV – ექსპერტული გამოკვლევებით
 - ა) სწორია მხოლოდ I და III
 - ბ) სწორია მხოლოდ II; III და IV
 - გ) სწორია მხოლოდ III და IV
 - დ) ყველა პასუხი სწორია

2. სტატისტიკური გამოკითხვის PAPI მეთოდი წარმოადგენს:

- ა) ნებისმიერ გამოკითხვას, როდესაც თავმოყრილი საწყისი მონაცემები გროვდება ქალაქის კითხვარების გამოყენებით და არა ელექტრონული მონყობილობების მეშვეობით.
- ბ) ინტერნეტ გამოკითხვის მეთოდს, როდესაც ინტერვიუს დროს გამოიყენება ვებგვერდზე არსებული კითხვარი.
- გ) გამოკითხვას რომელიც ტარდება ტელეფონის გამოყენებით, სადაც ინტერვიუერი უსვამს რესპონდენტს კითხვებს და მიღებულ პასუხებს აფიქსირებს ელექტრონულ კითხვარში.

დ) გამოკითხვის მეთოდს, როდესაც რესპონდენტი კითხვარს თავად ავსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.

3. სტატისტიკური გამოკითხვის CASI მეთოდი წარმოადგენს:

- ა) ნებისმიერ გამოკითხვას, როდესაც თავმოყრილი სანყისი მონაცემები გროვდება ქალაქის კითხვარების გამოყენებით და არა ელექტრონული მონყობილობების მეშვეობით.
- ბ) ინტერნეტგამოკითხვის მეთოდს, როდესაც ინტერვიუს დროს გამოიყენება ვებგვერდზე არსებული კითხვარი.
- გ) გამოკითხვას, რომელიც ტარდება ტელეფონის გამოყენებით, როდესაც ინტერვიუერი რესპონდენტს უსვამს კითხვებს და მიღებულ პასუხებს აფიქსირებს ელექტრონულ კითხვარში.
- დ) გამოკითხვის მეთოდს, როდესაც რესპონდენტი კითხვარს თავად ავსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.

4. შინამეურნეობის კლასიფიკაცია შეიძლება, როგორც:

- ა) ფორმალური, არაფორმალური და კერძო
- ბ) ინსტიტუციური, ფორმალური და არაფორმალური
- გ) ინსტიტუციური და კერძო
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

5. რომელი წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტს:

- I – პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს 5 თვე და აპირებს საქართველოში ცხოვრებას კიდევ 8 თვე
- II – პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს 13 თვე და აპირებს საქართველოში ცხოვრებას კიდევ 7 თვე
- III – პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს 12 თვე და აპირებს საქართველოში ცხოვრებას კიდევ 15 თვე
- IV – პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს 4 თვე და აპირებს საქართველოში ცხოვრებას კიდევ 15 თვე
 - ა) სწორია მხოლოდ II და III
 - ბ) სწორია მხოლოდ I და IV
 - გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი
 - დ) ყველა პასუხი სწორია

6. განსაზღვრეთ მოსახლეობის მიერ სურსათის მედიანური მოხმარება

შინამეურნეობა	I	II	III	IV	V
სურსათის მოხმარება (ლარი)	200	300	400	500	600
წონა	100	150	350	400	50

ა) 200 ლარი; ბ) 300 ლარი; გ) 400 ლარი; დ) 500 ლარი; ე) 600 ლარი.

7. როგორ განისაზღვრება ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა?

ა) მოსახლეობა = $\sum_{i=1}^n$ შინამეურნეობა_i * შინამეურნეობის ზომა_i

ბ) მოსახლეობა = $\sum_{i=1}^n$ ოჯახი_i * შინამეურნეობის ზომა_i

გ) მოსახლეობა = $\sum_{i=1}^n$ ოჯახი_i * ეკვივალენტურ მოზრდილზე_i

დ) მოსახლეობა =

$$= \sum_{i=1}^n \text{ოჯახი}_i * \text{ეკვივალენტურ მოზრდილზე}_i * \text{თანაცხოვრების ეფექტზე}_i$$

8. განსაზღვრეთ ეკვივალენტური მოზრდილების რაოდენობა შემდეგი ცხრილისა და პირობა 1-ის მიხედვით:

სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფი	ასაკი	სქესი	კოეფიციენტი
1	0 – 7	ორივე სქესი	0.64
2	8 – 15	ორივე სქესი	1
3	16 – 64	კაცი	1
4	16 – 59	ქალი	0.84
5	65 +	კაცი	0.88
6	60 +	ქალი	0.76

პირობა 1: შინამეურნეობაში ცხოვრობს 65 წლის კაცი 40 წლის ქალი და 2 წლის გოგო.

ა) 3 ბ) 2.36 გ) 2.48 დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

9. განსაზღვრეთ შინამეურნეობის ზომა შემდეგი ცხრილისა და პირობა 1-ის მიხედვით:

სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფი	ასაკი	სქესი	კოეფიციენტი
1	0 – 7	ორივე სქესი	0.64
2	8 – 15	ორივე სქესი	1
3	16 – 64	კაცი	1
4	16 – 59	ქალი	0.84
5	65 +	კაცი	0.88
6	60 +	ქალი	0.76

პირობა 1: შინამეურნეობაში ცხოვრობს 65 წლის კაცი 40 წლის ქალი და 2 წლის გოგო.

ა) 3 ბ) 2.36 გ) 2.48 დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

10. რომელი წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტს:

- I – პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს 4 თვე და აპირებს საქართველოში ცხოვრებას კიდევ 8 თვე
- II – პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს 12 თვე და აპირებს საქართველოში ცხოვრებას კიდევ 7 თვე
- III – პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს 12 თვე და აპირებს საქართველოში ცხოვრებას კიდევ 15 თვე
- IV – პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს 1 თვე და აპირებს საქართველოში ცხოვრებას კიდევ 15 თვე

- ა) სწორია მხოლოდ II და III
- ბ) სწორია მხოლოდ I და IV
- გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი
- დ) ყველა პასუხი სწორია

11. განსაზღვრეთ მოსახლეობის მიერ სურსათის მედიანური მოხმარება

შინამეურნეობა	I	II	III	IV	V
სურსათის მოხმარება (ლარი)	200	300	300	500	600
წონა	100	150	350	400	50

- ა) 200 ლარი ბ) 300 ლარი გ) 500 ლარი დ) 600 ლარი.

12. განსაზღვრეთ ეკვივალენტური მოზრდილების რაოდენობა ცხრილის და პირობა 1-ის მიხედვით:

სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფი	ასაკი	სქესი	კოეფიციენტი
1	0 – 7	ორივე სქესი	0.64
2	8 – 15	ორივე სქესი	1
3	16 – 64	კაცი	1
4	16 – 59	ქალი	0.84
5	65 +	კაცი	0.88
6	60 +	ქალი	0.76

პირობა 1: შინამეურნეობაში ცხოვრობს 65 წლის კაცი, 40 წლის ქალი, 41 წლის კაცი და 12 წლის გოგო.

- ა) 3.64 ბ) 3.88 გ) 3.84 დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

13. განსაზღვრეთ შინამეურნეობის ზომა ცხრილის და პირობა 1-ის მიხედვით:

სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფი	ასაკი	სქესი	კოეფიციენტი
1	0 – 7	ორივე სქესი	0.64
2	8 – 15	ორივე სქესი	1
3	16 – 64	კაცი	1
4	16 – 59	ქალი	0.84
5	65 +	კაცი	0.88
6	60 +	ქალი	0.76

პირობა 1: შინამეურნეობაში ცხოვრობს 65 წლის ქალი და 2 წლის გოგო.
 ა) 2 ბ) 1.40 გ) 1.52 დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

14. განსაზღვრეთ მოსახლეობის მიერ სურსათის მედიანური მოხმარება

შინამეურნეობა	I	II	III	IV	V
სურსათის მოხმარება (ლარი)	200	320	350	500	600
წონა	100	150	350	400	50

ა) 320 ლარი ბ) 350 ლარი გ) 500 ლარი დ) 600 ლარი.

15. განსაზღვრეთ მოსახლეობის მიერ სურსათის მოდალური მოხმარება

შინამეურნეობა	I	II	III	IV	V
სურსათის მოხმარება (ლარი)	100	150	350	400	600
წონა	100	150	350	400	600

ა) 400 კგ ბ) 600 კგ გ) 400 ლარი დ) 600 ლარი.

თემა 3

შინამაჟურნაობების შერჩევისა და მონაცემთა შნონვის მეთოდები

სალექციო საკითხები

1. შერჩევითი გამოკვლევის დიზაინი
2. შემთხვევითი შერჩევის მეთოდები
3. სტატისტიკური წონების დადგენა და მისი სახესხვაობები
4. სტატისტიკურ მონაცემთა ვალიდაციის ზოგიერთი ასპექტი
5. ტესტები

3.1. შერჩევითი გამოკვლევის დიზაინი

სოციალური და, მათ შორის, ცხოვრების დონის სტატისტიკის მაჩვენებლების განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შერჩევითი გამოკვლევა. შერჩევითი გამოკვლევისას გენერალური ერთობლიობიდან შეირჩევა მისი ნაწილი, რომელზეც გროვდება სტატისტიკური ინფორმაცია და შემდგომ ის განზოგადდება მთლიან ერთობლიობაზე. მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს შერჩევითი გამოკვლევის შესახებ რამდენიმე ფაქტი:

შერჩევითი გამოკვლევას ახასიათებს შერჩევითი ცდომილება, რაც მეტად ლოგიკურია. კერძოდ, თუ შევავროვებთ ინფორმაციას მთლიანი ერთობლიობის ნაწილზე და გავიანგარიშებთ სტატისტიკურ მაჩვენებელს, იგი ყოველთვის განსხვავებული იქნება სრული მოცვით შეგროვებული სტატისტიკური მონაცემებისგან გამოთვლილ მაჩვენებელზე. **შენიშვნა:** აქვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ არაშერჩევითი ცდომილება ახასიათებს როგორც შერჩევით გამოკვლევას, ისე სრული მოცვით ინფორმაციის შეგროვებას. შერჩევითი ცდომილების სახეებს წარმოადგენს რესპონდენტთა მხრიდან ინფორმაციის დამახინჯება, არასრულად შევსებული კითხვარი და სხვ.

შერჩევითი გამოკვლევის უდავოდ დადებით მხარეს წარმოადგენს ნაკლები ფინანსური დანახარჯები და გამოკვლევის განხორციელების შესაძლებლობა შედარებით მოკლე დროში.

შერჩევითი გამოკვლევის ხარისხი დამოკიდებულია ორი მნიშვნელოვანი ეტაპის სწორად განხორციელებაზე. პირველ მათგანს წარმოადგენს გამოსაკითხი ერთეულების შერჩევა იმგვარად, რომ ისინი იყვნენ რეპრეზენტატულები მთლიანი ერთობლიობისათვის, ხოლო მეორე ეტაპს წარმოადგენს სტატისტიკური წონების

განსაზღვრა. სტატისტიკური წონების განსაზღვრისას გათვალისწინებულია შერჩევის მეთოდი და ჩარჩო.

შერჩევითი გამოკვლევებიდან მიღებულ ინდიკატორებზე საუბრისას სასურველი და აუცილებელია ვიცოდეთ სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოების ეტაპები.

პირველი ეტაპი: გამოკვლევის საწყის ეტაპზე უნდა შემუშავდეს გამოკვლევის ინსტრუმენტები და მეთოდოლოგია. აღნიშნული გულისხმობს კითხვარების, კითხვარების შევსების ინსტრუქციის და მეთოდოლოგიის ფორმირებას.

მეორე ეტაპი: საპილოტე გამოკვლევის ჩატარება. აღნიშნულ საფეხურს გააჩნია მრავალმხრივი დატვირთვა: 1) მონმდება კითხვების ადეკვატურობა, 2) დგინდება კითხვარის ხარვეზები, 3) განისაზღვრება სტატისტიკური მაჩვენებლები (სტანდარტული შეცდომა, გამოპასუხების დონე და სხვა), რის საფუძველზეც შემდგომ ხდება შერჩევის (გამოსაკითხი კითხვარების რაოდენობის) განსაზღვრა.

მესამე ეტაპი: შესარჩევი კითხვარების რაოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შერჩევის ფორმირება დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, კერძოდ:

- 1) საპილოტე გამოკვლევიდან მიღებული მონაცემების სტატისტიკურ განაწილებაზე;
- 2) საპილოტე გამოკვლევიდან მიღებულ სტანდარტულ ცდომილებაზე;
- 3) საპილოტე გამოკვლევიდან მიღებულ გამოპასუხების დონეზე;
- 4) შერჩევის ჩარჩოს (გენერალური ერთობლიობის) მახასიათებლებზე.

მეოთხე ეტაპი: გამოკითხვის წარმოება (საველე საქმიანობის განხორციელება) და მისი მონიტორინგი.

მეხუთე ეტაპი: მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, რაც მოიცავს მონაცემთა ბაზების ფორმირებას და უზუსტობების დადგენას და გასწორებას.

მექვსე ეტაპი: მონაცემთა სტატისტიკური წონების განსაზღვრა, გენერალური ერთობლიობის მიხედვით.

მეშვიდე ეტაპი: სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება მონაცემების და სტატისტიკური წონების მიხედვით.

3.2. შემთხვევითი შერჩევის მეთოდები

შერჩევითი გამოკვლევის ჩატარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს კითხვარების რაოდენობის განსაზღვრა წინასწარ მოცემული პირობების გათვალისწინებით. სტატისტიკურად ოპტიმალური შერჩევის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს შემთხვევითი შერჩევა, რომელსაც ახასიათებს ნაკლები ცდომილება. შემთხვევითი შერჩევის დროს სრულიად შემთხვევითად შეირჩევა გამოსაკითხი ერთეულები მთლიანი ერთობლიობიდან, თუმცა პრაქტიკულ სტატისტიკაში იდეალური შემთხვევითი შერჩევა ძირითადად არ გამოიყენება რიგი მიზეზების გამო:

- ❖ აბსოლუტური შემთხვევითი შერჩევის დროს გამოსაკითხი ერთეულის გაფანტულობის ხარისხი მაღალია, რაც მნიშვნელოვნად ართულებს საველე სამუშაოებს და ზრდის ფინანსურ დანახარჯებს;
- ❖ როგორც წესი, სტატისტიკური გამოკვლევების წარმოების მიზანს წარმოადგენს სტატისტიკური მაჩვენებლის წარმოება, რომლის დისაგრეგაციაც შესაძლებელი და სტატისტიკურად საიმედო იქნება არა მხოლოდ გენერალური ერთობლიობის დონეზე, არამედ სხვადასხვა ჭრილში (მაგ. მაჩვენებლები რეგიონის, გენდერის, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და სხვა).

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, როგორც წესი, სტატისტიკოსები არ ახორციელებენ იდეალურ შემთხვევით შერჩევას, არამედ ცდილობენ, წინასწარ მოცემული პირობების მიხედვით მიიღონ სტატისტიკურად საიმედო ინფორმაცია და შერჩევა ახლოს იყოს სრულიად შემთხვევით შერჩევასთან. წინასწარ მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით ფორმირდება რეპრეზენტატული სტრატეგია. სტრატეგია წარმოადგენს ერთზე მეტი ნიშნის მონაცემთა გაერთიანებას. აღნიშნულის უკეთ გასაგებად განვიხილოთ მაგალითი: თუ ვატარებთ გამოკვლევას ქვეყნის შინამეურნეობების დონეზე და გვსურს ქვეყნის საერთო მაჩვენებელთან ერთად მივიღოთ სტატისტიკურად საიმედო ინდიკატორები რეგიონებისა და დასახლების ტიპის (ქალაქ-სოფლის) დონეზე, შესაბამისად, ისე უნდა შეირჩეს გამოსაკითხი შინამეურნეობები, რომ მივიღოთ საკმარისი და საიმედო ინფორმაცია თითოეული რეგიონი-დასახლების ტიპის დონეზე. ამ პირობის გათვალისწინებით საქართველოს მაგალითზე გვექნება $13 \times 2 = 26$ სტრატეგია (მაგალითად, სტრატეგია 1: კახეთი-ქალაქის დასახლება, სტრატეგია 2: კახეთი-სოფლის დასახლება და ა.შ.). **შენიშვნა:** საქართველო შედგება 13 რეგიონისგან ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით.

როდესაც შერჩევის დროს ხდება სტრატეგიის და კლასტერის ეფექტის გათვალისწინება, საქმე გვაქვს კომპლექსურ შერჩევასთან. სტრატეგიციური შერჩევისას და იდეალური შემთხვევითი შერჩევის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით სტატისტიკურ ლიტერატურასა თუ პრაქტიკაში ხშირად შეხვდებით **დიზაინეფექტის** ტერმინს. სწორედ დიზაინეფექტის კოეფიციენტი ასახავს, თუ რამდენად განსხვავდება არსებული შერჩევა იდეალურ შემთხვევით შერჩევისგან ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად მახინჯდება იდეალური შემთხვევითი შერჩევა.

როგორც ვიცით ნდობის ინტერვალის ფორმულა ასეთია:

$$\bar{X} - Z_{\frac{\alpha}{2}} * \frac{S}{\sqrt{n}} = \mu = \bar{X} + Z_{\frac{\alpha}{2}} * \frac{S}{\sqrt{n}} \quad (1)$$

რომელშიც μ -წარმოადგენს გენერალური ერთობლიობის საშუალოს, \bar{X} -გამოკვლევის საშუალოს, $Z_{\frac{\alpha}{2}}$ - კრიტიკული წერტილია შესაბამისი α მნიშვნელოვნების დონით, S - წარმოადგენს სტანდარტულ გადახრას, ხოლო n - შერჩევის მოცულობას.

(1) ფორმულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს **ზღვრული ცდომილების** ფორმულა, რომელიც გამოსახავს გამოკვლევით მიღებული მაჩვენებლის ცდომილებას პროცენტულ ჭრილში და მას აქვს შემდეგი სახე:

$$\text{ზღვრული ცდომილება} = \frac{Z_{\alpha} * \frac{S}{\sqrt{n}}}{\bar{X}} * 100. \quad (2)$$

(2) ფორმულის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ რამდენიმე დასკვნა:

- I. საჭიროა ვიცოდეთ, როგორ სტატისტიკურ განაწილებას ექვემდებარება მონაცემები;
- II. გამოკვლევის კითხვარების მოცულობის დასადგენად საჭიროა ვიცოდეთ სტანდარტული გადახრის და საშუალოს მნიშვნელობა;
- III. გამოკვლევის კითხვარების ზომის განსაზღვრისთვის საჭიროა გავაკეთოთ დაშვება ზღვრული ცდომილების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. კერძოდ, წინასწარ განვსაზღვროთ სასურველი ზღვრული ცდომილების მნიშვნელობა.

ზემოთ წარმოდგენილი დასკვნები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საპილოტე კვლევის აუცილებლობას, რომლის მიზანია I და II პუნქტის შესახებ ინფორმაციის მიღება, ხოლო ზღვრული ცდომილების დონე შეირჩევა ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე. საპილოტე გამოკვლევის არარსებობის დროს ხდება დაშვებების გაკეთება, რაც ზრდის ალბათობას მონაცემთა ზღვრული ცდომილების გაზრდისა და რეპრეზენტატულობის შემცირების მიმართ.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება გამოსაკითხი ერთეულების რაოდენობა, ისინი გადაწარმოებული სტრატეგიის მიხედვით. შემთხვევით შეირჩევა კლასტერები (უბნები), ხოლო შემდეგ ეტაპზე შინამეურნეობა თუ ადამიანი. შემთხვევით შერჩევას, როდესაც შემთხვევით შეირჩევა ჯერ კლასტერები, ხოლო შემდეგ შინამეურნეობები, ეწოდება ორსაფეხურიანი კლასტერული შემთხვევითი შერჩევა.

შენიშვნა: სტატისტიკის მეცნიერებაში არსებობს შერჩევის მრავალი მეთოდი და ხერხი და ამ თავში განხილული მეთოდი არ წარმოადგენს ერთადერთს.

3.3. სტატისტიკური წონების დადგენა და მისი სახესხვაობები

მონაცემთა სტატისტიკური წონა წარმოადგენს მაჩვენებელს, რომელზეც გამრავლებით და მიღებული შედეგების შეჯამებით მიიღება გენერალური ერთობლიობა. მონაცემების სტატისტიკური წონების განსაზღვრა უნდა შეესაბამებოდეს შერჩევის მეთოდს, თუ შერჩევის დროს შემთხვევითად შეირჩა კლასტერები, მონაცემები უნდა შეინონოს კლასტერის დონეზე, ხოლო თუ შერჩევისას მოხდა მონაცემთა სტრატეგიული მონაცემების წონები უნდა დადგინდეს სტრატეგიის დონეზე და ა. შ. შეწონვის უკეთ გასაგებად განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი (იხ. ცხრილი 3.1.):

ცხრილი 3.1. სტრატეგში შინამეურნეობების რაოდენობა

სტრატის ნომერი	I	II	III	IV	V
გენერალური ერთობლიობა, შინამეურნეობების რაოდენობა	200	100	150	150	200
შერჩევა, შინამეურნეობების რაოდენობა	5	4	3	5	10

წონები უნდა გაანგარიშდეს თითოეული სტრატის მიმართ, რაც გულისხმობს სტრატაში გამოკითხული შინამეურნეობების ნამრავლმა მათ წონაზე და მიღებულმა ჯამმა უნდა მოგვცეს გენერალური ერთობლიობა შესაბამისი სტრატის დონეზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, წონების გასაანგარიშებელ ფორმულას ექნება შემდეგი სახე:

$$\sum_{i=1}^j W_i = \sum_{i=1}^j \frac{N_i}{n_i} \quad (3)$$

სადაც W_i წარმოადგენს i -სტრატის ერთეულის წონას, N_i – i სტრატაში გენერალური ერთობლიობის ელემენტების ჯამს, ხოლო n_i – i სტრატაში გამოკითხულთა რაოდენობას.

(3) განტოლების და ცხრილის 1-ის მიხედვით ვღებულობთ:

$$W_1 = \frac{200}{5} = 40$$

$$W_2 = \frac{100}{4} = 25$$

$$W_3 = \frac{150}{3} = 50$$

$$W_4 = \frac{150}{5} = 30$$

$$W_5 = \frac{200}{10} = 20.$$

მიღებული წონების გამრავლებით ერთეულების რაოდენობაზე ვიღებთ სტრატაში გენერალური ერთობლიობის ერთეულების რაოდენობას, ხოლო მათი შეკრებით მთლიან გენერალურ ერთობლიობას.

სტატისტიკური წონების გაანგარიშება სშირად უკავშირდება კორექტირების კოეფიციენტების გამოყენებას. როგორც წესი, მრავალი სტატისტიკოსი ცდილობს, მაქსიმალურად გაითვალისწინოს წინასწარ ცნობილი მოცემულობები თუ მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებისთვის გადადგმული ნაბიჯები. სოციალურ სტატისტიკაში შენონვისას სშირად გათვალისწინებულია შერჩევის ჩარჩოს აქტუალიზაციის მაჩვენებლები, უარები და სხვა. აქტუალიზაცია წარმოადგენს შერჩევის ჩარჩოს დაზუსტებას. მაგალითისთვის, თუ ვიცით, რომ A უბანზე ცხოვრობდა 100 შინამეურნეობა და შემდგომ მონაცემთა დაზუსტებით (აქტუალიზაციით) დგინდება, რომ

100-ის მაგივრად 90-ია, შესაბამისი კოეფიციენტით უნდა კორექტირდეს მიღებული ნონები. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ მრავალი დამატებითი დაშვებისა და პირობის გათვალისწინება მნიშვნელოვნად ართულებს გამოთვლებს და რაც მთავარია, ამახინჯებს სტატისტიკურ მონაცემებს.

სტატისტიკური ნონების განხილვისას აუცილებელია შევეხოთ მის სახესხვაობებს. სოციალურ სტატისტიკაში ძირითადად გამოიყენება 2 სახის ნონა – შინამეურნეობისა და მოსახლეობის ნონა. პირველი მათგანის გამოყენებით გამოთვლილი მონაცემების აგრეგირება ხდება ქვეყანაში მცხოვრები შინამეურნეობების საერთო რაოდენობაზე, როდესაც, მეორის მიხედვით, გამოითვლება მაჩვენებლები მოსახლეობის დონეზე. აქვე უნდა აღინიშნოს კავშირი შინამეურნეობის, მოსახლეობის ნონასა და შინამეურნეობის ზომას შორის. თუ შინამეურნეობის ზომას გავამრავლებთ შინამეურნეობის ნონაზე და შევკრებთ, მივიღებთ მოსახლეობის რიცხოვნობას. ასევე, ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებული მაჩვენებლის თანაფარდობით მოსახლეობის ერთ სულზე გამოთვლილ მაჩვენებელთან მიიღება ქვეყანაში შინამეურნეობის საშუალო ზომა.

შენონვის იმავე შერჩევის ჩარჩო შეიძლება იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე გამოკვლევებით მიღებული ინფორმაცია. სოციალურ სტატისტიკაში შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს საქართველოს მთელი მოსახლეობა და შინამეურნეობის რაოდენობა, რომელიც დგინდება საყოველთაო აღწერის მეშვეობით. ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული შერჩევისა და შენონვის ჩარჩოს მაგალითია ინფორმაცია საზღვრის კვეთის შესახებ, რომელიც გამოიყენება ტურიზმის სტატისტიკის დასადგენად. მონაცემთა ნონების განსაზღვრისას, როგორც წესი, გამოიყენება საძიებელ სტრატეგიაში წარმოდგენილი მონაცემები, თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც. შესაძლოა, შერჩევა-შენონვის ჩარჩოს არასრულფასოვნებამ საჭირო გახადოს **სტატისტიკური კალიბრაციის** მეთოდის გამოყენება. ამ მეთოდის უკეთ გასაგებად სასურველია განვიხილოთ მაგალითი: თუ ვანარმოებთ ტურიზმის სტატისტიკას და შევსებული კითხვარების განზოგადებას ვაპირებთ საქართველოში შემოსულ ვიზიტორებზე, მონაცემები უნდა შევწოდოთ ვიზიტორების რაოდენობასთან იმ შემთხვევაში, თუ ხელი მიგვიწვდება გენერალური ერთობლიობის ორ წყაროზე:

- 1) მოქალაქეობის მიხედვით ვიზიტორთა რაოდენობა;
- 2) ტურისტების და ექსკურსანტების რაოდენობა.

თუ უცნობია ვიზიტორთა რაოდენობა ორივე წრილში ერთდროულად და უნდა დავადგინოთ ნონები იმგვარად, რომ აგრეგირებით ვიღებდეთ მონაცემებს ორივე წრილში, უნდა გამოვიყენოთ მონაცემთა კალიბრაციის მეთოდი. აღნიშნული გულისხმობს ნონების გაანგარიშებას პირველი ერთობლიობის მიმართ, შემდეგ არსებული ნონების კორექტირებას მეორე ერთობლიობაზე და პროცესის განმეორებითობას მანამ, სანამ ნონების მნიშვნელობები უცვლელი არ გახდება. საყურადღებოა სრული კალიბრაციის უარყოფითი მხარე, ხშირად ნონების ნაწილმა შეიძლება მიიღოს უარყოფითი მნიშვნელობა. როგორც წესი, ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად სტატისტიკოსები ზღუდავენ განმეორებითი ციკლების რაოდენობას.

3.4. სტატისტიკურ მონაცემთა ვალიდაციის ზოგიერთი ასპექტი

სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით ეკონომიკური ინტერპრეტაციისა და პოლიტიკის გატარებამდე აუცილებელია მათი სტატისტიკური ვალიდაცია. მონაცემთა ხარისხის შესამოწმებლად, როგორც წესი, გამოიყენება ზღვრული შეცდომის მნიშვნელობა ME (2). ამასთან, აუცილებელია გვესმოდეს კავშირი ზღვრულ შეცდომას, ვარიაციის კოეფიციენტსა და სტანდარტულ შეცდომას შორის.

$$\text{სტანდარტული შეცდომა} - \sigma = \frac{S}{\sqrt{n}} \quad (4)$$

$$\text{ვარიაციის კოეფიციენტი} - CV = \frac{S}{\sqrt{\bar{X}}} \quad (5)$$

სადაც S წარმოადგენს სტანდარტულ შეცდომას, \bar{X} – ეკონომიკური მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობას, ხოლო n-შერჩევის მოცულობას.

(1), (2) და (4) ტოლობას გარდაქმნით შეიძლება ნდობის ინტერვალი და ზღვრული შეცდომა ჩაინეროს, როგორც:

$$\bar{X} - Z_{\frac{\alpha}{2}} * \sigma = \mu = \bar{X} + Z_{\frac{\alpha}{2}} * \sigma \quad (6)$$

$$\text{ზღვრული ცდომილება} = \frac{Z_{\frac{\alpha}{2}} * \sigma}{\bar{X}} * 100 \quad (7)$$

როგორც წესი, პრაქტიკულ სტატისტიკაში მისაღებია ზღვრული ცდომილების 10%-ზე ნაკლები მნიშვნელობა, თუმცა აღნიშნული ზღვრის შედარებით მაღალი მნიშვნელობაც შეიძლება მისაღები იყოს ვითარებიდან გამომდინარე.

სტატისტიკაში (6) ფორმულით გამოყენებული ნდობის ინტერვალის ფორმულას ეძახიან 2 სიგმას მეთოდს. იმ შემთხვევაში, თუ განანილებას აქვს ნორმალური სახე, შეიძლება ნდობის ინტერვალის გაფართოება 3 სიგმას მეთოდამდე:

$$\bar{X} - 3 * \sigma = \mu = \bar{X} + 3 * \sigma. \quad (8)$$

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 3 სიგმას მეთოდის გამოყენების დროს გაზრდილ ინტერვალში მოხვედრის ალბათობა იზრდება, კერძოდ 95% – დან 99.7% – მდე.

3.5. ტესტები

1. აბსოლუტური შემთხვევითი შერჩევის მეთოდი დაკავშირებულია შემდეგ რისკებთან:

- I – შერჩეული რესპონდენტების გაფანტულობის მაღალი ხარისხი;
- II – ფინანსური ხარჯების ზრდა;
- III – მონაცემების სხვადასხვა ქრილში დისაგრეგაციის შეუძლებლობა;
- IV – არაშერჩევითი ცდომილების მაღალი მნიშვნელობა;
 - ა) სწორია მხოლოდ I, II და IV
 - ბ) სწორია მხოლოდ I და III

- გ) სწორია მხოლოდ I, II და III
- დ) ყველა პასუხი სწორია

2. შერჩევითი გამოკვლევის ზომის დასადგენად საჭიროა განისაზღვროს:

- I – მონაცემების სტატისტიკური განაწილების ტიპი;
- II – სტანდარტული გადახრის მნიშვნელობა;
- III – შესაფასებელი მაჩვენებლის საშუალოს მნიშვნელობა;
- IV – ზღვრული ცდომილების მნიშვნელობა;
- ა) სწორია მხოლოდ II და III
- ბ) სწორია მხოლოდ I, II და III
- გ) სწორია მხოლოდ II, III და IV
- დ) ყველა პასუხი სწორია

3. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით შინამეურნეობების წონები იქნება:

სტრატის ნომერი	I	II	III
გენერალური ერთობლიობა, შინამეურნეობების რაოდენობა	250	120	150
შერჩევა, შინამეურნეობების რაოდენობა	5	4	6

- ა) 0,02; 0,03(3) და 0,04 ბ) 50; 30 და 25
- გ) 34,66(6) და 0,029 დ) ყველა პასუხი არასწორია

4. ზღვრული ცდომილება განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

- ა) $\frac{Z_{\alpha} * \sigma}{\bar{X}} * 100$; ბ) $\frac{S}{\sqrt{X}}$
- გ) $\bar{X} - Z_{\frac{\alpha}{2}} * \sigma = \mu = \bar{X} + Z_{\frac{\alpha}{2}} * \sigma$; დ) $\frac{S}{\sqrt{n}}$

5. რა შედეგს იძლევა კალიბრაცია სტატისტიკური წონების დადგენისას?

- ა) განისაზღვრება წონები, რომელთა მეშვეობით ხდება მონაცემთა აგრეგირება გენერალურ ერთობლიობაზე, თუმცა შეუძლებელია მაჩვენებლების დისააგრეგაცია განსხვავებულ ქრილებში;
- ბ) დადგენილი წონების მეშვეობით შეიძლება მონაცემთა აგრეგირება ერთზე მეტ ქრილში წარმოდგენილ გენერალური ერთობლიობის მონაცემებზე;
- გ) ხდება ემპირიული მონაცემების მნიშვნელობების ვარირება;
- დ) ხდება გამორჩენილი მონაცემების მნიშვნელობის შეფასება;

6. რისი ტოლია ზღვრული ცდომილების მნიშვნელობა, თუ კრიტიკული წერტილის მნიშვნელობა 95%-იანი საიმედოობით 1,96-ია, მაჩვენებლის სტანდარტული შეცდომა 10, ხოლო საშუალო 50-ის ტოლია.

- ა) 39,2 ბ) 98 გ) 9,8 დ) 3,92

7. რისი ტოლია სტანდარტული გადახრა, თუ სტანდარტული შეცდომა 5-ის, ხოლო შერჩევის ზომა 100-ს წარმოადგენს:

ა) 50 ბ) 500 გ) 20 დ) 250

8. დაადგინეთ გამოკითხული შინამეურნეობების მოცულობა ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით:

სტრატის ნომერი	I	II	III
გენერალური ერთობლიობა, შინამეურნეობების რაოდენობა	250	120	150
შინამეურნეობების წონა	10	20	10

ა) 46 ბ) 13 გ) 40 დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

9. დაადგინეთ გამოკითხული შინამეურნეობების მოცულობა ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით:

სტრატის ნომერი	I	II	III
გენერალური ერთობლიობა, შინამეურნეობების რაოდენობა	250	120	150
შინამეურნეობების წონა	10	20	10

ა) 46 ბ) 13 გ) 40 დ) ყველა პასუხი არასწორია

10. რისი ტოლია ზღვრული ცდომილების მნიშვნელობა, თუ კრიტიკული წერტილის მნიშვნელობა 95% საიმედოობით 1,96-ია, მაჩვენებლის სტანდარტული შეცდომა 10, ხოლო საშუალო 100-ის ტოლია.

ა) 19,6 ბ) 510.2 გ) 1,96 დ) 3,92

11. რისი ტოლია სტანდარტული გადახრა, თუ სტანდარტული შეცდომა 2-ის, ხოლო შერჩევის ზომა 100-ს წარმოადგენს:

ა) 20 ბ) 200 გ) 0.2 დ) 2

12. დაადგინეთ გამოკითხული შინამეურნეობების მოცულობა ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით:

სტრატის ნომერი	I	II	III
გენერალური ერთობლიობა, შინამეურნეობების რაოდენობა	250	120	150
შინამეურნეობების წონა	20	20	10

ა) 50 ბ) 33.5 გ) 34 დ) ყველა პასუხი არასწორია

13. რისი ტოლია ზღვრული ცდომილების მნიშვნელობა, თუ კრიტიკული წერტილის მნიშვნელობა 95% საიმედოობით 1,96-ია, მაჩვენებლის სტანდარტული შეცდომა 10, ხოლო საშუალო 1000-ის ტოლია.

ა) 1.96 ბ) 51.02 გ) 0.196 დ) 3.92

14. რისი ტოლია ზღვრული ცდომილების მნიშვნელობა, თუ კრიტიკული წერტილის მნიშვნელობა 95% საიმედოობით 1,96-ია, მაჩვენებლის სტანდარტული შეცდომა 20, ხოლო საშუალო 150-ის ტოლია.

ა) 26.13 ბ) 2.82 გ) 14.7 დ) 3.92

თემა 4

ეკონომიკური ზრდის გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე

სალექციო საკითხები

1. მთლიანი შიგა პროდუქტი და მისი გაანგარიშების მეთოდები
2. მთლიანი შიგა პროდუქტი და მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში
3. ტესტები

4.1. მთლიანი შიგა* პროდუქტი და მისი გაანგარიშების მეთოდები

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელი მთლიანი შიგა პროდუქტია (მშპ), რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში გამოხატული მთლიანი ღირებულებაა.

მთლიანი შიგა პროდუქტის გაანგარიშება მიმდინარე ფასებში ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული და აპრობირებული 3 მეთოდით:

წარმოების მეთოდი

განსაზღვრული პერიოდისთვის წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი შიგა პროდუქტი მიიღება ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებას დამატებული გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი) და გამოკლებული სუბსიდიები პროდუქციაზე.

მთლიანი შიგა პროდუქტის გაანგარიშება წარმოების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების კლასიფიკატორის გამოყენებას. საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის გამოსათვლელად გამოიყენება საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016), რომელიც შემუშავებულია ეკონო-

* ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების, აკადემიკოსების ვლ. პაპავას და ა. სილაგაძის აზრით, ტერმინის „მთლიანი შიგა პროდუქტი“ ნაცვლად უპრიანია გამოვიყენოთ „მთლიანი სამამულო პროდუქტი“.

მიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ევროპული სტანდარტის NACE Rev.2-ის ბაზაზე.

მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდე საბაზრო ფასებში, წარმოების მეთოდის გამოყენებით, შეიძლება გამოითვალოს შემდეგნაირად:

- I – საქმიანობის სახეობების მიხედვით პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში
- II – საქონლისა და მომსახურების გამოშვებისათვის გამოყენებული შუალედური მოხმარება
- III – მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზისო ფასებში
- IV – გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე
- V – სუბსიდები პროდუქტებზე
- VI – მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

წარმოდგენილი აღნიშვნების მიხედვით დგინდება:

მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზისო ფასებში:

$$I - II = III \quad (1)$$

მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზრო ფასებში:

$$III + IV - V = VI \quad (2)$$

დანახარჯების მეთოდი

მთლიანი შიგა პროდუქტის გაანგარიშება დანახარჯების მეთოდით ეფუძნება ინსტიტუციური ერთეულების მიერ მიმდინარე პერიოდში განეული დანახარჯების გამოთვლას.

მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდე საბაზრო ფასებში დანახარჯების მეთოდის გამოყენებით შეიძლება გამოითვალოს შემდეგნაირად:

- I – შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები
- II – შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ განეული ხარჯები
- III – სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ განეული კოლექტიური (სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა) და პერსონალური (განათლებისა და ჯანდაცვის) მომსახურების ხარჯები
- IV – ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება
- V – მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება
- VI – მთლიანი შიგა ხარჯები საბაზისო ფასებში
- VII – საქონლისა და მომსახურების ექსპორტი
- VIII – საქონლისა და მომსახურების იმპორტი
- IX – მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზრო ფასებში

წარმოდგენილი აღნიშვნების მიხედვით დგინდება:

მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზისო ფასებში:

$$I + II + III + IV + V = VI \quad (3)$$

მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზრო ფასებში:

$$VI + VII - VIII = IX \quad (4)$$

შემოსავლების მეთოდი

მთლიანი შიგა პროდუქტის გაანგარიშება შემოსავლების მეთოდით ეფუძნება იმ ინსტიტუციური ერთეულების შემოსავლების ჯამს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლისა და მომსახურების შექმნაში მოცემული პერიოდის განმავლობაში.

მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდე საბაზრო ფასებში, შემოსავლების მეთოდის გამოყენებით, შეიძლება გამოითვალოს შემდეგნაირად:

- I – შემოსავალი დასაქმებიდან დარიცხული ხელფასისა და დანამატების სახით (ხელფასზე დარიცხული გადასახადების ჩათვლით)
- II – თვითდასაქმებიდან მიღებული შერეული შემოსავალი
- III – კომპანიების მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მთლიანი მოგება
- IV – გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
- V – სუბსიდიები წარმოებასა და პროდუქტებზე
- VI – მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზრო ფასებში

წარმოდგენილი აღნიშვნების მიხედვით დგინდება:

მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზრო ფასებში:

$$I + II + III + IV - V = VI \quad (5)$$

4.2. მთლიანი შიგა პროდუქტი და მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში

საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახურის (ევროსტატი), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის (SNA 2008) სისტემის სტანდარტული მეთოდოლოგია.

2018 წლის მონაცემები დაზუსტდა SNA 2008-ის მეთოდოლოგიის საფუძველზე. იმავდროულად, გადაანგარიშდა მთლიანი შიგა პროდუქტი დროითი მწკრივები 2010-2017 წლებისთვის, განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

SNA 2008-ის მეთოდოლოგია ბევრ საკითხში იდენტურია SNA 1993-ის მეთოდოლოგიის პრინციპებისა.

განსხვავება ძირითადად შეეხება გლობალიზაციის პროცესის გავლენის გათვალისწინებას მულტინაციონალური კორპორაციების მაჩვენებლებზე. ასევე, შეიც-

ვალა ფინანსური და კაპიტალის ანგარიშების შედგენის მეთოდოლოგია. ძირითად კაპიტალში ინვესტიციებად განიხილება კვლევებსა და დამუშავებებზე განხორციელებული ხარჯები, რაც, SNA 1993-ის მიხედვით, განიხილებოდა, როგორც მიმდინარე ხარჯები.

საერთაშორისო მეთოდოლოგიის რეკომენდაციების გათვალისწინებით ეკონომიკური ოპერაციები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ მიმდინარე საბაზრო ფასებში.

SNA 2008-ის მეთოდოლოგიის მიხედვით, რეკომენდებულია მშპ-ის რეალური ზრდის ინდექსის კვარტალური პერიოდულობით გაანგარიშება. ამასთან, რეალური ზრდის მაჩვენებელი გაანგარიშება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მიმართ მუდმივ ფასებში გაანგარიშებული მთლიანი შიგა პროდუქტის მონაცემების საფუძველზე.

მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით ხდება ორმაგი დეფლირების გზით. ეს ხორციელდება ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით, საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიანი

გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ცალ-ცალკე დეფლირებით და შემდეგ მათი სხვაობის გამოთვლით. დანახარჯების მეთოდით გაანგარიშებული მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა ხორციელდება მშპ-ის გამოყენების ძირითადი კატეგორიების ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით.

მთლიანი შიგა პროდუქტის გაანგარიშებისას, საერთაშორისო მეთოდოლოგია ითვალისწინებს დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვას.

დაუკვირვებადი ეკონომიკა იზომება საქმიანობის ცალკეული სახეების მიხედვით, სტატისტიკური ინფორმაციის არსებულ სტანდარტულ წყაროებში სხვადასხვა მიზეზით მოუცველი საქმიანობის, პროდუქციის წარმოების, შემოსავლების, მოხმარების ან სხვა ეკონომიკური ოპერაციების მოცულობით. მისი შეფასებისათვის გამოიყენება როგორც პირდაპირი კვლევის შედეგები, ისე არაპირდაპირი შეფასებები.

2010-2020 წლებში საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის სტატისტიკა ასეთია:

მთლიანი შიდა პროდუქტი
(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

NACE rev. 2	ეკონომიკური საქმიანობის სახეები	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020*
A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1,844.1	2,326.7	2,226.0	2,463.7	2,653.7	2,651.6	2,614.8	2,543.6	3,015.9	3,203.7	3,641.2
B	სამთო მოპოვებითი მრეწველობა	154.9	195.6	190.4	182.7	214.5	356.2	385.0	420.1	457.2	596.3	873.3
C	დამამუშავებელი მრეწველობა	1,994.2	2,499.6	2,584.3	2,719.7	2,989.7	3,008.2	2,791.7	3,504.3	3,940.1	4,367.8	4,692.5
D	ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	506.7	520.1	443.6	543.5	593.1	576.4	652.7	776.4	980.0	1,009.1	970.4
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	212.1	175.4	211.8	169.9	148.2	256.3	280.3	323.9	292.7	350.5	304.7
F	მშენებლობა	809.5	1,183.9	1,790.0	1,677.6	1,874.2	2,302.3	2,790.7	3,215.0	3,213.2	3,680.8	3,847.5
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების შეკეთება	3,383.7	4,104.1	3,965.6	3,777.6	4,047.9	4,125.5	4,384.8	4,948.8	5,406.3	6,161.0	6,280.8
H	ტრანსპორტი და დასაწყობება	1,366.8	1,577.6	1,653.6	1,625.6	1,714.7	1,850.4	1,785.6	2,247.2	2,461.6	2,838.4	2,543.1
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	384.0	508.8	664.5	745.1	801.6	1,022.5	1,054.1	1,437.5	1,800.0	2,223.0	1,320.9
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია	868.9	819.6	912.6	854.2	864.0	946.1	913.9	1,003.3	1,077.5	1,323.8	1,323.6
K	საფინანსო და სადაზღვეო საქმიანობები	868.1	905.3	1,026.3	1,318.7	1,460.5	1,741.0	1,791.4	2,070.6	2,350.4	2,181.3	2,127.0
L	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	2,716.0	2,810.0	2,889.6	3,164.7	3,450.1	3,738.6	3,996.5	4,247.3	4,430.8	4,945.9	5,058.2
M	პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	251.9	397.5	577.1	572.5	675.7	768.4	855.1	945.1	1,004.6	1,113.0	950.7

N	ადმინის ტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	115.3	165.4	203.0	231.7	295.4	303.6	381.2	428.8	510.1	606.7	398.2
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	1,730.4	1,819.2	1,962.4	2,207.0	2,388.6	2,581.9	2,711.8	2,638.1	2,899.7	2,992.2	3,195.0
P	განათლება	920.4	1,031.6	1,075.7	1,244.8	1,375.4	1,459.1	1,485.2	1,608.5	1,740.0	1,883.0	2,009.5
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	594.0	732.0	785.9	930.9	1,016.0	1,286.0	1,387.8	1,565.0	1,632.8	1,795.9	2,006.3
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება	375.5	581.2	847.7	889.2	771.2	913.9	962.0	1,045.1	1,182.2	1,509.7	1,296.3
S	სხვა სახის მომსახურება	167.9	241.3	209.6	187.0	295.9	278.2	297.1	344.1	346.7	311.0	373.3
T	შინამეურნეობების, როგორც დამკირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	22.0	27.5	32.0	32.3	31.0	31.0	34.2	35.0	36.9	44.8	54.0
	მშპ საბაზისო ფასებში	19,286.4	22,622.2	24,251.6	25,538.2	27,661.3	30,197.1	31,555.8	35,347.6	38,778.5	43,137.8	43,266.5
	(+) გადასახადები პროდუქციაზე	2,640.5	2,980.6	3,103.7	3,202.0	3,611.6	3,896.1	4,448.8	5,604.0	6,031.2	6,348.3	6,400.0
	(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	105.3	124.1	128.0	147.2	148.8	158.3	168.6	190.0	210.3	233.4	259.2
	მშპ საბაზრო ფასებში	21,821.6	25,478.7	27,227.3	28,593.0	31,124.1	33,935.0	35,836.0	40,761.7	44,599.3	49,252.7	49,407.3
	მშპ ერთ სულზე, ლარი	5,762.7	6,782.7	7,301.8	7,691.1	8,368.0	9,109.4	9,613.9	10,933.9	11,968.0	13,239.4	13,292.7
	მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი	3,232.7	4,022.8	4,421.9	4,623.7	4,738.8	4,012.6	4,062.1	4,358.5	4,722.0	4,696.2	4,274.6
	მშპ, მლნ. აშშ დოლარი	12,241.4	15,111.6	16,488.8	17,189.3	17,625.5	14,948.2	15,141.7	16,248.5	17,596.6	17,470.7	15,888.1
	გაცვლითი კურსი, აშშ დოლარი/ლარი, პერიოდის საშუალო	1.7826	1.6860	1.6513	1.6634	1.7659	2.2702	2.3667	2.5086	2.5345	2.8192	3.1097

მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ
2015 წლის ფასებში
(მლნ. ლარი)

NACE rev. 2	ეკონომიკური საქმიანობის სახეები	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020*
A	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	2,284.1	2,489.0	2,364.4	2,679.3	2,655.0	2,651.6	2,578.4	2,380.2	2,708.7	2,726.3	2,825.8
B	სამთომოპოვებითი მრეწველობა	249.1	241.5	255.8	252.1	263.9	356.2	373.2	383.6	396.9	429.4	436.0
C	დამამუშავებელი მრეწველობა	2,352.6	2,722.2	3,061.3	3,317.2	3,442.3	3,008.2	3,120.3	3,173.9	3,305.1	3,349.1	3,347.7
D	ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	497.5	538.6	566.4	614.5	603.7	576.4	609.0	659.2	700.9	737.7	683.4
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	215.6	171.4	226.0	183.0	152.2	256.3	282.0	324.3	293.6	356.7	317.0
F	მშენებლობა	1,323.6	1,425.7	1,572.9	1,528.2	1,871.4	2,302.3	2,548.4	2,695.5	2,501.6	2,519.8	2,402.1
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	4,044.3	4,236.0	4,283.9	4,122.5	4,153.5	4,125.5	4,147.1	4,327.7	4,566.2	4,946.1	4,667.8
H	ტრანსპორტი და დასაწყობება	1,462.8	1,557.3	1,697.7	1,639.8	1,754.6	1,850.4	1,725.4	1,925.1	2,011.8	2,180.9	1,693.8
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	888.0	948.7	970.4	976.8	984.5	1,022.5	1,073.4	1,299.0	1,435.4	1,700.9	1,056.3
J	ინფორმაცია და კომუნიკაცია	826.9	855.2	954.1	896.1	889.1	946.1	888.8	970.7	1,003.3	1,217.9	1,209.2
K	საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	949.7	1,010.8	1,158.1	1,372.1	1,604.1	1,741.0	1,897.4	2,190.5	2,444.9	2,261.5	2,148.4
L	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	3,175.9	3,354.3	3,399.2	3,619.6	3,684.0	3,738.6	3,936.8	4,111.5	4,198.5	4,369.4	4,367.0
M	პროფესიული, სამეცნიერო და	377.8	498.5	639.1	640.4	715.6	768.4	861.2	896.2	937.1	1,003.7	818.8

N	ტექნიკური საქმიანობები ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	156.0	206.2	231.4	262.5	314.2	303.6	370.4	390.5	450.5	506.8	314.6
O	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	2,156.3	2,105.6	2,256.0	2,397.8	2,528.2	2,581.9	2,655.2	2,570.7	2,766.1	2,722.5	2,771.8
P	განათლება	1,057.1	1,134.5	1,188.9	1,332.5	1,434.5	1,459.1	1,459.5	1,523.3	1,622.1	1,701.3	1,754.5
Q	ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	850.1	942.3	1,013.2	1,118.3	1,084.7	1,286.0	1,349.1	1,460.6	1,497.5	1,599.4	1,725.5
R	ხელოვნება, გართობა და დასვენება	625.6	668.9	913.1	968.9	808.0	913.9	940.9	994.6	1,070.4	1,307.5	1,060.7
S	სხვა სახის მომსახურება	209.5	282.9	226.0	202.8	296.6	278.2	289.8	308.9	305.2	267.7	286.5
T	შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	25.8	31.4	35.9	35.9	33.1	31.0	32.4	32.5	33.9	40.1	44.7
	მშპ საბაზისო ფასებში	23,724.8	25,381.0	26,963.4	28,041.9	29,232.6	30,197.1	31,138.7	32,614.5	34,198.7	35,947.5	33,827.6
	(+) გადასახადები პროდუქციაზე	3046.3	3356.4	3608.7	3646.5	3857.7	3,896.1	3,946.1	4,166.2	4,368.5	4,550.5	4,208.5
	(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	122.9	133.3	132.8	151.6	151.5	158.3	163.7	171.5	185.1	195.9	206.5
	მშპ საბაზრო ფასებში	26,640.7	28,601.6	30,436.9	31,537.4	32,938.1	33,935.0	34,921.1	36,612.5	38,385.5	40,298.0	37,815.8
	მშპ ერთ სულზე, ლარი	7,035.3	7,614.0	8,162.5	8,483.1	8,855.7	9,109.4	9,368.5	9,820.9	10,300.6	10,832.3	10,174.1
	მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი	3,946.6	4,515.9	4,943.2	5,099.8	5,015.0	4,012.6	3,958.4	3,914.8	4,064.1	3,842.4	3,271.7
	მშპ, მლნ. აშშ დოლარი	14,944.8	16,963.7	18,432.5	18,959.4	18,652.8	14,948.2	14,755.1	14,594.6	15,144.9	14,294.3	12,160.6
	გაცვლითი კურსი, აშშ დოლარი/ლარი, პერიოდის საშუალო	1.7826	1.6860	1.6513	1.6634	1.7659	2.2702	2.3667	2.5086	2.5345	2.8192	3.1097

მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი გამოყენება
ძირითადი კატეგორიების მიხედვით
(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

ეას კატეგორია		2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020*
	მთლიანი შიდა პროდუქტი											
B.1g	მშპ საბაზისო ფასებში	19,286.4	22,622.2	24,251.6	25,538.2	27,661.3	30,197.1	31,555.8	35,347.6	38,778.5	43,137.8	43,266.5
D.21	(+) გადასახადები პროდუქციაზე	2,640.5	2,980.6	3,103.7	3,202.0	3,611.6	3,896.1	4,448.8	5,604.0	6,031.2	6,348.3	6,400.0
D.31	(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	105.3	124.1	128.0	147.2	148.8	158.3	168.6	190.0	210.3	233.4	259.2
B.1*g	მშპ საბაზრო ფასებში	21,821.6	25,478.7	27,227.3	28,593.0	31,124.1	33,935.0	35,836.0	40,761.7	44,599.3	49,252.7	49,407.3
	მთლიანი შიდა პროდუქტის გამოყენება											
P.3	ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	21,050.3	24,451.2	25,330.6	26,067.5	28,478.5	30,795.9	30,487.2	34,115.4	36,801.3	41,206.5	45,656.3
P.3	შინამეურნეობები	17,346.9	20,275.4	21,076.3	21,535.8	23,301.6	24,973.4	23,925.4	27,213.8	29,728.4	33,864.2	37,486.1
P.3	შმაკო (შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები)	371.0	678.6	546.7	523.5	735.1	973.0	1,075.9	1,254.8	1,182.3	884.6	1,037.9
P.3	სახელმწიფო მართვის ორგანოები	3,332.4	3,497.1	3,707.5	4,008.1	4,441.8	4,849.5	5,485.9	5,646.8	5,890.6	6,457.7	7,132.4
P.31	ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	1,045.7	1,023.8	1,104.0	1,307.4	1,523.1	1,598.2	2,047.0	2,092.3	2,212.3	2,538.9	2,648.8
P.32	კოლექტიური მომსახურება	2,286.7	2,473.4	2,603.5	2,700.7	2,918.8	3,251.3	3,438.9	3,554.5	3,678.3	3,918.7	4,483.5
P.5	(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	4,478.7	5,657.2	7,045.4	6,002.0	7,907.3	8,923.1	10,805.3	11,123.9	12,542.6	12,460.4	12,920.9

P.51	ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	4,128.6	5,175.7	6,021.3	5,372.4	6,802.0	8,263.9	9,504.7	10,391.0	11,215.7	11,836.9	12,110.3
P.52	მარაგების ცვლილება	350.1	481.6	1,024.0	629.6	1,105.3	659.2	1,300.6	732.9	1,326.9	623.5	810.6
P.53	ფასეულობის შექენა, წმინდა
P.6	(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	7,191.2	8,838.0	9,942.4	11,929.5	12,429.3	13,866.6	14,620.9	18,965.4	22,548.9	26,999.6	18,455.8
P.61	საქონლის ექსპორტი	4,266.2	5,434.0	5,711.9	6,971.0	7,054.7	6,858.3	6,779.9	8,955.6	11,168.5	13,977.7	13,594.9
P.62	მომსახურების ექსპორტი	2,925.0	3,404.0	4,230.5	4,958.5	5,374.6	7,008.3	7,841.0	10,009.7	11,380.4	13,021.9	4,860.9
P.7	(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	10,898.6	13,467.7	15,091.0	15,406.0	17,691.0	19,650.6	20,077.5	23,443.0	27,293.5	31,413.8	27,625.7
P.71	საქონლის იმპორტი	8,951.1	11,334.5	12,690.3	12,803.3	14,622.6	15,829.9	15,968.8	18,511.5	21,600.1	24,554.6	23,130.8
P.72	მომსახურების იმპორტი	1,947.5	2,133.2	2,400.7	2,602.6	3,068.4	3,820.7	4,108.7	4,931.5	5,693.4	6,859.2	4,494.9
B.1*გ	(=) მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	21,821.6	25,478.7	27,227.3	28,593.0	31,124.1	33,935.0	35,836.0	40,761.7	44,599.3	49,252.7	49,407.3

მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი გამოყენება ძირითადი
კატეგორიების მიხედვით
(მუდმივ 2015 წლის ფასებში, მლნ. ლარი)

ეას კატეგორია		2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
P.3	ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	24 397,4	26 109,8	27 167,3	27 908,3	29 646,5	30 795,9	29 855,7	31 722,1	33 345,2
P.3	შინამეურნეობები და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები	20 316,2	22 135,9	23 060,2	23 646,6	24 999,0	25 946,3	24 478,8	26 287,0	27 814,6
P.3	სახელმწიფო მართვის ორგანოები	4 110,2	3 975,1	4 106,2	4 262,5	4 647,4	4 849,5	5 376,9	5 434,8	5 522,5
P.31	ინდივიდუალური საქონელი და მომსახურება	1 284,7	1 163,9	1 222,9	1 395,2	1 592,7	1 598,2	1 998,4	2 007,3	2 069,7
P.32	კოლექტიური მომსახურება	2 824,7	2 810,8	2 882,9	2 866,9	3 054,6	3 251,3	3 378,4	3 427,6	3 452,8
P.5	მთლიანი კაპიტალის ფორმირება	5 607,9	6 409,4	7 410,3	6 334,4	8 298,4	8 923,1	10 108,8	9 871,7	10 517,4
P.51	ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	5 137,3	5 902,4	6 259,0	5 607,4	7 119,4	8 263,9	8 864,5	9 162,4	9 338,5
P.52	მარაგების ცვლილება	504,9	541,2	1 182,6	725,3	1 200,3	659,2	1 244,3	696,3	1 197,8
P.6	საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	8 544,1	9 963,0	11 332,6	13 287,7	13 313,8	13 866,6	15 074,5	16 835,3	18 528,4
P.61	საქონლის ექსპორტი	4 428,9	5 448,1	5 875,5	6 957,3	6 859,2	6 858,3	7 399,6	8 188,7	9 540,8
P.62	მომსახურების ექსპორტი	4 082,8	4 379,4	5 394,1	6 240,1	6 393,3	7 008,3	7 675,0	8 638,9	9 008,7
P.7	საქონლისა და მომსახურების იმპორტი	12 170,3	14 074,8	15 594,1	16 006,0	18 331,0	19 650,6	20 117,9	21 745,8	23 977,9
P.71	საქონლის იმპორტი	9 691,4	11 382,3	12 620,8	12 867,2	14 708,5	15 829,9	16 096,2	17 253,5	18 706,5
P.72	მომსახურების იმპორტი	2 495,8	2 680,2	2 957,1	3 143,0	3 632,9	3 820,7	4 021,7	4 488,0	5 259,3
B.1*g	მშპ საბაზრო ფასებში	26 640,7	28 601,6	30 436,9	31 537,4	32 938,1	33 935,0	34 921,1	36 612,5	38 385,5

საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის გაანგარიშებისას გამოიყენება მონაცემთა შემდეგი წყაროები:

❖ **ბიზნესსტატისტიკის კვარტალური და წლიური გამოკვლევები.**

მონაცემთა ბაზები ყოველკვარტალურად მუშავდება ეროვნული ანგარიშებისთვის საჭირო ფორმატით, რის საფუძველზეც გაიანგარიშება პროდუქციის მთლიანი გამოშვება, საქმიანობის სახეების მიხედვით და დაუკვირვებადი ეკონომიკის გათვალისწინებით;

❖ **შინამეურნეობების კვარტალური გამოკვლევის მონაცემები.**

ყოველკვარტალურად მუშავდება დასაქმებულთა და შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების მონაცემთა ბაზები ეროვნული ანგარიშებისთვის საჭირო ფორმატით;

❖ **ფასების სტატისტიკის მონაცემები** მწარმოებელთა, სამომხმარებლო და ექსპორტ-იმპორტის ფასების შესახებ;

❖ **სოფლის მეურნეობის სტატისტიკის** კვარტალური და წლიური გამოკვლევის მონაცემები;

❖ **საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის** მონაცემები საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ;

❖ **საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები:**

- კომერციული ბანკების ყოველთვიური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ;
- ეროვნული ბანკის ყოველთვიური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ;
- ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მონაცემები;

❖ **სადაზღვევო კომპანიების ყოველკვარტალური მონაცემები;**

❖ **ფინანსთა სამინისტროს ყოველთვიური მონაცემები** (ნაერთი, სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების (გადასახადის სახეების მიხედვით) და გადასახდელების (ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით); ასევე, გამოიყენება გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი).

4.3. ტესტები

1. რომელი მეთოდებით შეიძლება გამოითვალოს მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა?

I – წარმოების მეთოდით

II – დანახარჯების მეთოდით

III – დარიცხვის მეთოდით

IV – შემოსავლების მეთოდით

ა) სწორია მხოლოდ II და IV

- ბ) სწორია მხოლოდ I და III
- გ) სწორია მხოლოდ I, II და IV
- დ) სწორია მხოლოდ II, III და IV

2. წარმოების მეთოდით მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზისო ფასებში განისაზღვრება, როგორც:

- I – საქმიანობის სახეობების მიხედვით, პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში
- II – საქონლისა და მომსახურების გამოშვებისათვის გამოყენებული შუალედური მოხმარება
- III – გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე
- IV – სუბსიდიები პროდუქტებზე
- V – მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზრო ფასებში.
 - ა) I + II
 - ბ) I – II
 - გ) I – II + IV + V = VI
 - დ) I – II + IV – V = VI

3. წარმოების მეთოდით მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზრო ფასებში განისაზღვრება როგორც:

- I – საქმიანობის სახეობების მიხედვით, პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში
- II – საქონლისა და მომსახურების გამოშვებისათვის გამოყენებული შუალედური მოხმარება
- III – გადასახადები პროდუქციასა და იმპორტზე
- IV – სუბსიდიები პროდუქტებზე
- V – მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზრო ფასებში.
 - ა) I + II
 - ბ) I – II
 - გ) I – II + IV + V = VI
 - დ) I – II + IV – V = VI

4. დანახარჯების მეთოდით მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზისო ფასებში განისაზღვრება, როგორც:

- I – შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები
- II – შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული ხარჯები
- III – სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული კოლექტიური (სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა) და პერსონალური (განათლებისა და ჯანდაცვის) მომსახურების ხარჯები
- IV – ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება

V – მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება

VI – საქონლისა და მომსახურების ექსპორტი

VII – საქონლისა და მომსახურების იმპორტი

ა) $I + II + III - IV - V + VI + VII$

ბ) $I + II + III + IV + V + VI - VII$

გ) $I + II + III - IV - V$

დ) $I + II + III + IV + V$

5. დანახარჯების მეთოდით მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზრო ფასებში განისაზღვრება, როგორც:

I – შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები

II – შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ განეული ხარჯები

III – სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ განეული კოლექტიური (სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა) და პერსონალური (განათლებისა და ჯანდაცვის) მომსახურების ხარჯები

IV – ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება

V – მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება

VI – საქონლისა და მომსახურების ექსპორტი

VII – საქონლისა და მომსახურების იმპორტი

ა) $I + II + III - IV - V + VI + VII$

ბ) $I + II + III + IV + V + VI - VII$

გ) $I + II + III - IV - V$

დ) $I + II + III + IV + V$

6. შემოსავლების მეთოდით მთლიანი შიგა პროდუქტი საბაზრო ფასებში განისაზღვრება, როგორც:

I – შემოსავალი დასაქმებიდან დარიცხული ხელფასისა და დანამატების სახით (ხელფასზე დარიცხული გადასახადების ჩათვლით)

II – თვითდასაქმებიდან მიღებული შერეული შემოსავალი

III – კომპანიების მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მთლიანი მოგება

IV – გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე

V – სუბსიდიები წარმოებასა და პროდუქტებზე

ა) $I + II + III + IV - V$

ბ) $I + II + III + IV + V$

გ) $I + II + III - IV - V$

დ) $I + II + III - IV + V$

7. რომელი მეთოდოლოგიის მიხედვით გაანგარიშდება ამჟამად საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის?

ა) SNA 1993 ბ) SNA 2002 გ) SNA 2008 დ) SNA 2010

თემა 5

დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური მაჩვენებლების გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე

სალექციო საკითხები

1. შრომის ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები;
2. მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით;
3. დასაქმების დონის სტატისტიკა და თვითდასაქმებულთა კატეგორიის კვლევა დასაქმებულებში;
4. უმუშევრობის დონის სტატისტიკური გაზომვა;
5. არაფორმალური დასაქმების სტატისტიკა;
6. ტესტები

5.1. შრომის ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის რთული ელემენტი და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დინამიკური სფეროა. მასზე უშუალოდ აისახება ეკონომიკური რეფორმების ძირითადი შედეგები და მისი წარმომქმნელი ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მოვლენები.

საქართველოში შრომის ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება ეყრდნობა შრომის საერთაშორისო ბიუროს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა (შსო) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდოლოგიებს.

შრომის ბაზარი საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე სამუშაო ძალის კვლავწარმოებას, განაწილებასა და გამოყენებას. შრომის ბაზრის ძირითადი შემადგენელი ელემენტებია: შრომის ბაზრის სუბიექტები; შრომის ბაზრის სუბიექტების მიერ მიღებული ეკონომიკური პროგრამები, გადანყვეტილებები და იურიდიული ნორმები; შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა; სოციალური დაცვის სისტემა.

შრომის ბაზარზე დამქირავებლებისა და სამუშაოს მაძიებლების ინტერესების თანხვედრა მიიღწევა შრომის ბაზრის მექანიზმის მეშვეობით და ის მოიცავს სამუშაო ძალაზე მოთხოვნას, სამუშაო ძალის მიწოდებას, შრომის ფასსა და კონკურენციას.

შრომის ბაზარზე დამქირავებლებისა და სამუშაოს მაძიებლების ინტერესების შეთანხმებას უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მექანიზმი, რომლის ძირითადი ელემენტებია სამუშაო ძალაზე მოთხოვნა, სამუშაო ძალის მიწოდება, შრომის ფასი და კონკურენცია.

შრომის ბაზარი საზოგადოებრივი ურთიერთობების, სოციალური ნორმებისა და ინსტიტუტების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე სამუშაო ძალის კვლავნარმოებას, განაწილებასა და გამოყენებას. შრომის ბაზრის შემადგენელი ელემენტებია: შრომის ბაზრის სუბიექტები; შრომის ბაზრის სუბიექტების მიერ მიღებული ეკონომიკური პროგრამები, გადაწყვეტილებები და იურიდიული ნორმები; შრომის ბაზრის კონიუნქტურა; შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა; სოციალური დაცვის სისტემა.

შრომის ბაზარზე დიდი მნიშვნელობა აქვს გარიგების არაფულად ასპექტებს – შრომის შინაარსი და პირობები, სამუშაო ადგილის შენარჩუნების გარანტიები, სამსახურებრივი დანინაურებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობები და ა. შ.

ფართო გაგებით შრომის ბაზარი მოიცავს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას მთლიანად, ანუ დასაქმებულებსა და უმუშევრებს, რომლებიც აყალიბებენ სამუშაო ძალის ერთობლივ მიწოდებას და ერთობლივ მოთხოვნას. სამუშაო ძალის ერთობლივი მიწოდებით და ერთობლივი მოთხოვნით განისაზღვრება შრომის ბაზრის ტევადობა. დროის გარკვეულ მონაკვეთში ზოგიერთი დამქირავებელი შეიძლება არ იყოს დაკავებული ახალი მომუშავეების აქტიური ძიებით, ხოლო დაქირავებულთა დიდი ნაწილი არ აპირებდეს სამუშაოს შეცვლას. ამის მიუხედავად, ისინი იმყოფებიან საბაზრო კონკურენციის ურთიერთობათა სისტემაში და ამ თვალსაზრისით არ განსხვავდებიან მათგან, ვინც აქტიურად მონაწილეობს სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის პროცესში.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ერთი ნაწილი დაკმაყოფილებულია სამუშაო ადგილებით, ხოლო მეორე – აქტიურად ეძებს მას. სწორედ ეს უკანასკნელი აყალიბებს შრომის ბაზარს **ვინრო გაგებით**.

შრომის ბაზრის სტატისტიკა შეისწავლის შრომის სტატისტიკის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ეკონომიკურად აქტიური და არააქტიური მოსახლეობა, მათი რიცხოვნობა და შემადგენლობა, დასაქმება, დასაქმების დონე და სტრუქტურა პროფესიების, ეკონომიკის სექტორების, დარგების, გენდერულ, ქალაქდსოფლის და რეგიონების მიხედვით და ა. შ.

შრომის ბაზრის სტატისტიკის შესწავლის ობიექტია შრომის ბაზარზე მიმდინარე მოვლენები და პროცესები, ხოლო შესწავლის საგანია ამ მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარე. სტატისტიკა ადგენს შრომის ბაზრის რაოდენობრივ კანონზომიერებებს. აღნიშნული კანონზომიერებების შესასწავლად გამოიყენება სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომლის საშუალებითაც დგინდება შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესების მოცულობა, სტრუქტურა, დონე, დინამიკა და სხვ. საკითხების შესწავლა-ანალიზისათვის გამოიყენება სტატისტიკური მეთოდების მთელი არსენალი, როგორიცაა: შრომის ბაზრის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების და პირველადი დამუშავების მეთოდები, აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეები, ვარიაციის მაჩვენებლები, დროითი მწკრივის საანალიზო მაჩვენებლები, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სამუშაო ძალის სტატისტიკას აწარმოებს შინამეურნეობების გამოკვლევის საფუძველზე. სამუშაო ძალის

მაჩვენებლების წყაროს წარმოადგენს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა. შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის შერჩევის ზომა შეადგენს 6 000 შინამეურნეობას.

შინამეურნეობა არის ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით. ასევე, შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისგანაც.¹

სამუშაო ძალის გამოკვლევას ექვემდებარება კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის წევრები, გარდა:

1. იმ პირებისა, რომლებიც არ იმყოფებიან შინამეურნეობაში 12 თვის და მეტი პერიოდის განმავლობაში;
2. სამხედრო პირებისა (წვევამდებლები და სამხედრო პირები), რომლებიც ცხოვრობენ ყაზარმებში;
3. საპატიმროებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, მოხუცთა თავშესაფრებში, ინტერნატებში და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები პირებისა.

განასხვავებენ ინსტიტუციურ შინამეურნეობებს, რომელთაც წარმოადგენენ პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ობოლ და მშობლების მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სახლებში, ქრონიკულად დაავადებულთა საავადმყოფოებში, რელიგიურ დაწესებულებებში (მონასტრებში), თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ყაზარმებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებში.

შრომის ბაზრის სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლებია: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა, დასაქმება და უმუშევრობა.

ქვეყანაში უმუშევრობისა და დასაქმების დონის შესწავლა და ისეთი სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება, როგორებიცაა დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით, უმუშევრების განაწილება ასაკისა და განათლების დონის მიხედვით და სხვ., საშუალებას იძლევა დეტალურად გამოვიკვლიოთ შრომის ბაზარი.

საქსტატის კვლევის შედეგად მიღებული სამუშაო ძალის სტატისტიკური მონაცემების გამოყენება შეუძლიათ: სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ქართველ და უცხოელ მკვლევარებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, პროფესიული კავშირების წარმომადგენლებს, მედიას, მეცნიერ-ეკონომისტებს, სტატისტიკოსებს, აკადემიურ წრეს, სტუდენტებსა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ კერძო პირებს. მომხმარებლებს აღნიშნული მონაცემების გამოყენება შეუძლიათ საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შეფასებისა და გაანალიზების მიზნით.

¹ იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეტამონაცემები – მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა, გვ. 2.

სამუშაო ძალის გამოკვლევა ეფუძნება შერჩევით მეთოდს, რასაც ახლავს სტატისტიკური ცდომილების არსებობა. აქედან გამომდინარე კვლევის შედეგების გაანგარიშებისას მხედველობაში იღებენ შერჩევის სტრანდარტულ გადახრას.¹

კვლევის პროცესში ასევე ითვალისწინებენ არაშერჩევით ცდომილებას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გამოუზუსტებლობით, კერძოდ: რესპონდენტის მხრიდან ინფორმაციის მონოდებაზე უარის თქმა; ინფორმაციის არაზუსტად ან არასრულად მონოდება, ინტერვიუერის მიერ რესპონდენტის ნაცვლად შინამეურნეობის სხვა წევრის გამოკითხვა. მნიშვნელოვანია, რომ გამოკვლევაში მოხდეს არაშერჩევითი ცდომილების მინიმიზაცია, რისთვისაც, რესპონდენტის გამოკითხვის მიზნით, ინტერვიუერი შინამეურნეობაში ახორციელებს 3 ვიზიტს.

შრომის ბაზრის გამოკვლევისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ როგორ იღებს საქსტატი პირველად მონაცემებს:

2017 წლამდე სამუშაო ძალის სტატისტიკური მონაცემების ძირითადი წყარო იყო შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, რომელშიც სამუშაო ძალის გამოკვლევა ჩართული იყო ერთ-ერთი მოდულის სახით. შერჩევის ჩარჩოს კი წარმოადგენდა 1989 და 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მონაცემთა ბაზები. შერჩეულ მისამართზე მცხოვრები შინამეურნეობა 1 წლის განმავლობაში გამოიკითხებოდა 4-ჯერ (კვარტალში ერთხელ). 1 წლის შემდეგ მისი ჩანაცვლება ხდებოდა ახალი შინამეურნეობით (მისამართით) და ყოველთვიურად ხდებოდა შერჩევის 1/12-ის განახლება, ამ მეთოდით წლის განმავლობაში ხორციელდებოდა მთელი შერჩევის განახლება.

2017 წლიდან მონაცემების წყაროა სამუშაო ძალის გამოკვლევა. შერჩევის ჩარჩოა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზა. თითოეულ რეგიონში საქალაქო და სასოფლო ტიპის დასახლებები განისაზღვრა როგორც შერჩევის ძირითადი სტრატა, ხოლო შინამეურნეობები შეირჩევა ორ ეტაპად.

1. შერჩევის პირველადი ერთეული არის სააღწერო უბანი,
2. შერჩევის მეორადი ერთეული – შინამეურნეობის მისამართი.

თითოეულ სტრატაში სისტემურად შეირჩევა განსაზღვრული რაოდენობის სააღწერო უბნები, სააღწერო უბნის რაოდენობა გამოითვლება სტრატის ზომის პროპორციული ალბათობით.

საქსტატის მკვლევრები პირველ რიგში შემოივლიან შერჩეულ სააღწერო უბნებში და შემდეგ თითოეული სააღწერო უბნიდან სისტემურად შეარჩევენ კვლევაში მონაწილე შინამეურნეობების განსაზღვრულ რაოდენობას.

2017 წლიდან შინამეურნეობები გამოიკითხება როტაციით, 2-(2)-2 სქემის მიხედვით. ამ სქემის მიხედვით შერჩეულ მისამართზე მცხოვრებ შინამეურნეობაში ინტერვიუ ტარდება ზედიზედ ორ კვარტალში. შემდეგ ორ კვარტალში ამ მისამართზე გამოკითხვა არ ტარდება, ხოლო შემდეგი 2 ინტერვიუ ტარდება მომდევნო წლის იმავე

¹ იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – მეტამონაცემები, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა, გვ. 1-4.

კვარტლებში. შესაბამისად, შერჩეული შინამეურნეობები გამოიკითხება 4-ჯერ 18 თვის განმავლობაში, ხოლო ყოველკვარტალურად განახლდება შერჩევის 1/4.

მონაცემთა შეგროვება:

საქსტატი შრომის ბაზრის კვლევის სტატისტიკურ მონაცემებს აგროვებს ყოველთვიურად. მონაცემებს აგროვებენ ინტერვიუერები ქალაქის კითხვარების (PAPI მეთოდი) გამოყენებით. საველე სამუშაოები იწყება ყოველი თვის 8 რიცხვიდან და გრძელდება თვის ბოლომდე.

სამუშაო ძალის გამოკვლევაში გამოიყენება 3 კითხვარი:

1. დემოგრაფიული კითხვარი, რომელიც განკუთვნილია შინამეურნეობის წევრების ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების შესაგროვებლად;
2. ძირითადი კითხვარი – თითოეულ შერჩეულ შინამეურნეობაში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის პირებისთვის;
3. უარების ფურცელი – გამოუზპასუხებლობის ფორმა უარების მიზეზების დასაფიქსირებლად.

2021 წლიდან საქსტატი სამუშაო ძალის გამოკვლევაში მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდების დანერგვას აანონსებს, რის შედეგადაც სამუშაო ძალის გამოკვლევას კომპიუტერიზირებული პერსონალური ინტერვიუს (CAPI) მეთოდით განახორციელებს და ქალაქის კითხვარებს ჩაანაცვლებს. ცხადია ამ მიზნით დაგეგმილია საველე პერსონალისთვის ფართომასშტაბიანი ტრენინგები.

მონაცემთა კონტროლი:

სტატისტიკური კვლევის დასრულებისას აუცილებელია მონაცემთა კონტროლი, რადგან თავიდან იქნეს აცილებული ინტერვიუერის მიერ ტექნიკური ხარვეზით გამოწვეული ცდომილება. მონაცემთა კონტროლი ხორციელდება რამდენიმე ეტაპად:

1. საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ საველე სამუშაოების ზედამხედველები რეგიონებში იღებენ ინტერვიუერებისგან შევსებულ კითხვარებს და აკეთებენ კითხვარების პირველად კონტროლს;
2. შემდეგ რეგიონული სტატისტიკის წარმომადგენლებს შევსებული კითხვარები ჩამოაქვთ საქსტატის ცენტრალურ ოფისში; პირველ ყოვლისა, ლოგიკური კონტროლის ჯგუფის მიერ ხდება კითხვარის კოდირება ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE Rev1. და NACE Rev2.) და დასაქმების (ISCO-88) კლასიფიკატორების მიხედვით.
3. მონაცემები კომპიუტერში ინერება 8 ოპერატორის მიერ, MS Access-ის ბაზაზე ამ გამოკვლევისთვის სპეციალურად შექმნილი კომპიუტერული პროგრამის საშუალებით;
4. ბაზებში ჩანერილი მონაცემების შესაბამისობისა და ლოგიკური კავშირების შესამოწმებლად ლოგიკური კონტროლების სია არის მომზადებული, რომელშიც კითხვარის სტრუქტურის შესაძლო შეუსაბამობები და დარღვევები დეტალურადაა განხილული;

5. პირველ ყოვლისა, სწორდება უხეში შეცდომები (გადასვლებთან დაკავშირებული შეცდომები), ამის შემდეგ მონმდება და სწორდება საეჭვო შეცდომები; არასრული და შეუსაბამო მონაცემების გადამონმება ხდება კითხვართან. შეუსაბამობის გამოსასწორებლად, საჭიროების შემთხვევაში, საველე პერსონალს ან/და რესპონდენტებს ვუკავშირდებით;
6. ბოლო ეტაპზე ხდება კვარტლებს შორის მონაცემების შედარება და საბოლოო მონაცემების გაანალიზება. მონაცემთა ბაზების დამუშავება/რედაქტირება ხორციელდება MS Access პროგრამაში შრომის სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლების მიერ.¹

5.2. მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით

ეკონომიკური სტატუსი აღნიშნავს ადამიანის როლს, მდგომარეობას, შესრულებული საქმიანობის პროცესში მის ფუნქციას. მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით წარმოადგენს კლასიფიკაციას სტატუსის მიხედვით განუელ საქმიანობაში.

ეკონომიკური საქმიანობა მოიცავს საბაზრო წარმოებას და არასაბაზრო წარმოებას. საბაზრო წარმოება მოიცავს საქმიანობას ქარხნებში, ფაბრიკებში, ფირმებში, ფერმებში, მაღაზიებში, საოჯახო საწარმოებში და ა. შ., სადაც ინარმოება საქონელი და მომსახურება შემდგომში ბაზარზე გასაყიდად. საბაზრო წარმოება მოიცავს აგრეთვე საქმიანობას სახელმწიფო და სხვა სოციალურ და კულტურულ დაწესებულებებში, რომელთა პროდუქციაც შეიძლება არ იყოს გაყიდული ბაზარზე.

არასაბაზრო წარმოება თავის მხრივ მოიცავს საქმიანობის ოთხ ჯგუფს:

1. საკუთარი მოხმარებისათვის პირველადი პროდუქციის წარმოებას;
2. საკუთარი მოხმარებისათვის პირველადი პროდუქციის გადამუშავებას თვითმწარმეტა მიერ;
3. საკუთარი საჭიროებისათვის ძირითადი ფონდების წარმოებას;
4. საკუთარი საჭიროებისათვის არაპირველადი პროდუქტების წარმოებას, რომლებიც შეიძლება გატანილი იქნენ ბაზარზე გასაყიდად.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა – 15 და მეტი წლის ასაკის მოსახლეობა, რომელიც დასაქმებულია ეკონომიკური საქმიანობით და უმუშევრები (მკაცრი კრიტერიუმით), ანუ პიროვნება, რომელიც მუშაობს ან შრომით ბაზარს სთავაზობს თავის შრომას. ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას უწოდებენ სამუშაო ძალას.

ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა – სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობა. გამოითვლება 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას გამოკლებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა.

პრაქტიკული მიზნებისათვის გამოითვლება მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის შეფარდებით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან, ხოლო ეკონომიკურად

¹ იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – მეტამონაცემები, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა, მონაცემთა კონტროლი. გვ. 1-4.

არააქტიურობის დონე გამოითვლება ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის შეფარდებით 5 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან, ან ეკონომიკური არააქტიურობის დონე = 100% – ეკონომიკური აქტიურობის დონე.

$$K_{\text{ეკ.აქტიური}} = \frac{m}{M_{15+}} \times 100$$

$$K_{\text{ეკ.არააქტიური}} = \frac{n}{M_{15+}} \times 100$$

სადაც m – არის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა; n – ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა; M_{15+} – 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა.


ეკონომიკური აქტიურობის დონე გაიანგარიშება როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ისე ქალაქისა და სოფლის მიხედვით ცალ-ცალკე (იხ. ცხრილი 5.1).

ცხრილი 5.1. საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე (2010-2020 წლები, %)

წლები	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
ქალაქი	54,0	55,5	56,9	56,2	56,4	59,4	58,3	57,1	55,4	54,2	53,9
სოფელი	48,3	48,8	50,5	50,1	50,2	50,4	50,4	51,1	49,6	48,6	46,0
საქართველო	51,5	52,6	54,1	53,6	53,7	55,5	55,0	54,5	52,9	51,8	50,5

ეკონომიკური აქტიურობის დონე გამოითვლება სქესობრივ ჭრილშიც (დიაგრამა 5.2). დიაგრამაზე მოცემული მაჩვენებლები გვიჩვენებენ, რომ საქართველოში კაცებში ბევრად მაღალია აქტიურობის დონე ვიდრე ქალებში.

დიაგრამა 5.2. ეკონომიკური აქტიურობის დონე სქესობრივ ჭრილში (2010-2020 წლები, %)



დასაქმებისა და უმუშევრობის დონის სქესობრივ ჭრილში განხილვისას დავინახავთ, რომ მამაკაცებში ქალებთან შედარებით მაღალია როგორც უმუშევრობის დონე, ისე დასაქმების მაჩვენებელიც. ეს კი ერთადერთი მიზეზით აიხსნება, კერძოდ: მამაკაცებში მაღალია ეკონომიკური აქტივობა, რის გამოც შეფარდებითი მაჩვენებლები მამაკაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში. თავის მხრივ, ქალებში დაბალ ეკონომიკურ აქტივობას მთელი რიგი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები წარმოადგენს.

2020 წელს საქსტატი დასაქმების და უმუშევრობის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშების ახალ მეთოდოლოგიაზე გადავიდა, რაც გულისხმობდა სამუშაო ძალის სტატისტიკაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვას.

2020 წლამდე მოქმედ დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ 1982 წელს, შრომის სტატისტიკოსთა მე-13 საერთაშორისო კონფერენციაზე შემუშავებული სახელმძღვანელო.

ახალი სტანდარტი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეიმუშავა 2013 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 2018 წლის ოქტომბერში, შრომის სტატისტიკოსთა მე-20 საერთაშორისო კონფერენციაზე.

საქსტატმა საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკის ახალი სტანდარტის დანერგვაზე მუშაობა და მოსამზადებელი სამუშაოები 2019 წლიდან აქტიურად დაიწყო, აღნიშნული ღონისძიებები მიმდინარეობდა ევროკავშირისა და ევროსტატის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, სადაც მჭიდრო თანამშრომლობით ჩართულნი იყვნენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და დანიის სტატისტიკის სამსახური.

საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ახალი სტანდარტების დანერგვა განაპირობებს უმუშევრობის დონის ზრდასა და დასაქმების დონის მაჩვენებლის შემცირებას. რაც შეეხება ახალი მეთოდოლოგიით დათვლილ მიღებულ დინამიკურ მწკრივს, უნდა მოხდეს ახალი მეთოდოლოგიით დათვლილ მაჩვენებლებისა და წინა პერიოდის მაჩვენებლებს შორის შესადარისობის მიღწევა, რისთვისაც საჭიროა წინა ისტორიული მწკრივის გადაანგარიშება. რსტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული დასაქმების და უმუშევრობის სტატისტიკის მაჩვენებლების გამოქვეყნებასთან ერთად განაახლა წინა ისტორიული მწკრივი 2010 წლიდან.

„შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა ითვალისწინებდა თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირებას და სამუშაო ძალის დამატებითი ინდიკატორების გაანგარიშებას. კერძოდ, ახალი სტანდარტით თვითდასაქმებულებად აღარ ჩაითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებულები და სასოფლო სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად (50%-ზე მეტი) საკუთარი მოხმარებისათვის. აღნიშნული სტატუსის მქონე პირები გადაკვალიფიცირდნენ ან უმუშევართა

კატეგორიაში ან მოსახლეობაში სამუშაო ძალის გარეთ, იმის მიხედვით, ეძებდნენ თუ არა სამუშაოს და მზად იყვნენ თუ არა სამუშაოს დასაწყებად“.¹

ახალი მეთოდოლოგიის დანერგვის შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტები:

1. შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმების დონე;
2. გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე;
3. შემცირდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა და ეკონომიკური აქტიურობის დონე. რისი მთავარი გამომწვევი მიზეზიც იყო ის, რომ მეთოდოლოგიის ცვლილების შედეგად თვითდასაქმებულთა ის ნაწილი გადავიდა ეკონომიკურად არააქტიურ ნაწილში, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ არ არიან დასაქმებულნი, არ ეძებენ სამსახურს და არიან სამუშაო ძალის მიღმა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ახალი მეთოდოლოგიით დათვლილი შრომის ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები რეალობას უფრო ობიექტურად ასახავენ, რადგან თვითდასაქმებულთა კატეგორიაში შემავალი საოჯახო მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირები ახალი მეთოდოლოგიით გადაკლასიფიცირდებიან და მხოლოდ ტექნიკური მიზეზით აღარ ჩაითვლებიან დასაქმებულებად.

5.3. დასაქმების დონის სტატისტიკა და თვითდასაქმებულთა კატეგორია

შრომის ბაზრის განხილვისას გამოყოფენ ორ კატეგორიას, დასაქმებს და უმუშევრობას, დასაქმებულები და უმუშევრები (რომლებიც ეძებენ სამსახურს), თავის მხრივ, ერთიანდებიან ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.

დასაქმებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

დასაქმებულები იყოფიან ორ დიდ კატეგორიად: **დაქირავებულები** და **თვითდასაქმებულები**.

დაქირავებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. აგრეთვე, პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს შევებულების, ავადმყოფობის, წარმოების დროებით გაჩერების, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ან მსგავსი მიზეზების გამო.

თვითდასაქმებული – მესაკუთრის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ სანარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.

¹ იხ. საქსტატი სამუშაო ძალის სტატისტიკაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალ სტანდარტებს ნერგავს.

თვითდასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნებიან: ინდივიდუალურად მომუშავე, დამქირავებელი (სამუშაოს მიმცემი) და ოჯახურ სანარმოში უსასყიდლოდ მომუშავე პირები.

ინდივიდუალურად მომუშავე, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს შრომითი შემოსავლის მომტან საქმიანობას, არ იყენებს დაქირავებულ მომუშავეებს ან იყენებს მათ მხოლოდ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში;

დამქირავებელი, რომელიც მუშაობს დამოუკიდებლად, ერთ ან რამდენიმე პარტნიორთან ერთად საკუთარ სანარმოში და მუდმივად ჰყავს დაქირავებული მომუშავეები;

ოჯახურ სანარმოში უსასყიდლოდ მომუშავე პირი, რომელიც მუშაობს უსასყიდლოდ ოჯახურ სანარმოში ან მეურნეობაში და რომლის მფლობელიც მისი ნათესავია.

არაიდენტიფიცირებადი (გაურკვეველი) პირები – ეს არის დასაქმებულთა ის კატეგორია, რომელთათვისაც გაძნელებულია დასაქმების ამა თუ იმ სტატუსის მიკუთვნება.

დასაქმებულად ითვლება არა მხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაქირავებით დასაქმებულია კერძო ან სახელმწიფო სექტორში და იღებს გასამრჯელოს ხელფასის სახით, აგრეთვე მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურის სახით) ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით საქმიანობს.


თვითდასაქმებულად ითვლება ადამიანი, რომელიც საკუთარ სანარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მუშაობს და გააჩნია საკუთარი შემოსავალი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ადამიანი რომ ჩაითვალოს დასაქმებულად, არ არის აუცილებელი, მას ჰქონდეს ხანგრძლივადიანი შრომითი ხელშეკრულება ან დაქირავებული იყოს ვინმეს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ თვითდასაქმებულთა გარკვეული ნაწილის სოციალური მდგომარეობა სახარბიელო არ არის და შესაძლოა ისინი ეძებდნენ დამატებით სხვა სამსახურს, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, თუ ადამიანი საკუთარი შრომით შემოსავალს იღებს, ის დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს. თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობაში. მაგალითად, აქვს მინის ნაკვეთი ან ჰყავს პირუტყვი, რომლიდან მიღებულ პროდუქციას იყენებს როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ისე გასაყიდად.

თვითდასაქმებულთა კატეგორია, თავის მხრივ, იყოფა დამქირავებლებად, ინდივიდუალურად მომუშავეებად და ოჯახურ სანარმოში ან ახლობლისთვის უსასყიდლოდ მომუშავეებად. როგორც წესი, წინა მეთოდოლოგიით გამოთვლილ დასაქმების დონეში ეს ბოლო კატეგორია იწვევდა თვითდასაქმებულთა რაოდენობის ზრდას. ოჯახურ მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე წევრები, რომლებიც თვითდასაქმებულთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ, რეალურად არ არიან დასაქმებულები. ეს ნაწილი სამუშაოს არ ქონის გამო იძულებულია, დაბალი ანაზღაურებით ან სულაც ანაზღაურების გარეშე იმუშაოს და დაეხმაროს ოჯახს. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში, რომელთა უმრავლესობაც ძირითადად სოფლის მეურნეობაში საქმიანობის შესაძლებლობა აქვთ.

დასაქმების დონე გამოითვლება შემდეგი ფორმულით:


$$K_{\text{დასაქ}} = \frac{\text{დასაქმებულთა რაოდენობა}}{\text{სამუშაო ასაკის მოსახლეობასთან (15+)}} \times 100$$


დიაგრამა 5.3. დასაქმების დონე საქართველოში (2010-2020 წლები, %)



დიაგრამა 5.3-ში წარმოდგენილია ახალი და ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული დასაქმების დონის მაჩვენებლები წლების მიხედვით. როგორც დიაგრამაზე ვხედავთ, ახალი მეთოდოლოგიის დანერგვის შედეგად მწკრივის ყველა მაჩვენებელი შემცირდა. ახალი მეთოდოლოგიის დანერგვამ გამოიწვია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირება, რამაც, თავის მხრივ, დასაქმებისა და უმუშევრობის დონეების შემცირება გამოიწვია.

დიაგრამა 5.4. თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულებში, %, 2014-2020 წლები






დიაგრამა 5.5-ში მოცემულია უმუშევრობის დონის დინამიკა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ახალი მეთოდოლოგიით დათვლილი უმუშევრობის დონის დროითი მწკრივის მაჩვენებლები გაზრდილი, დინამიკაში უმუშევრობის დონე მცირდება, რისი ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზიც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კლებაა.

უმუშევრობის დონეს გამოითვლიან ქალაქისა და სოფლის მიხედვით, რაც შესაძლებლობას იძლევა, უკეთ გავაანალიზოთ ეკონომიკური მდგომარეობა მოცემული ნიშნით. უმუშევრობის დონე ქალაქში გამოითვლება ქალაქში მყოფი უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით ქალაქში მყოფ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან და 100-ზე გამრავლებული. ანალოგიურად, სოფლად უმუშევრობის დონე გამოითვლება სოფლად მცხოვრებ უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით სოფელში მყოფ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან და 100-ზე გამრავლებული (დიაგრამა 5.6).

დიაგრამა 5.6. უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ტერიტორიაში, 2010-2020 წლები




უმუშევრობის დონე ასევე გამოითვლება ქალაქების მიხედვით. მაგალითად, ქ. თბილისში უმუშევრობის დონე შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\text{უმუშევრობის დონე} = \frac{\text{უმუშევართა რაოდენობა თბილისში}}{\text{ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა თბილისში}} * 100.$$


მსგავსი გამოთვლებით ვადარებთ ქალაქებსა და რეგიონებში უმუშევრობის დონეებს და ამით ცხოვრების დონეს ვახასიათებთ.

უმუშევრობისა და დასაქმების დონეებს ასევე ანგარიშობენ სქესის მიხედვით (იხ. დიაგრამები 5.7 და 5.8).

დიაგრამა 5.7. უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში, 2009-2018



დიაგრამა 5.8. დასაქმების დონე სქესობრივ ჭრილში, 2009-2018



ის ფაქტი, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის დონეები კაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში, გამონვეულია ქალებში დაბალი ეკონომიკური აქტიურობით, ანუ უმუშევარი ქალების დიდი ნაწილი დიასახლისია და ეკონომიკურად არააქტიური. პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, დასაქმებისა და უმუშევრობის დონეებს გამოითვლიან ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მიღებულია, რომ ასაკობრივი ჯგუფები წარმოდგენილია 5-წლიანი ინტერვალებით.

უმუშევრობის კატეგორიის მიხედვით, გამოყოფენ: ფრიქციული უმუშევრობა, სტრუქტურული უმუშევრობა და ციკლური უმუშევრობა.

ფრიქციული უმუშევრობა. პროფესიისა და საქმიანობის არჩევის დროს გარკვეული მომუშავეები დროის გარკვეულ მომენტში უმუშევარი აღმოჩნდებიან, ნაწილი ნებაყოფლობით იცვლის სამუშაო ადგილს, ზოგი დროებით კარგავს სეზონურ სამუშაოს და ასევე არსებობს მომუშავეთა კატეგორია – ახალგაზრდები, რომლებიც პირველად ეძებენ სამუშაოს. როდესაც ყველა ეს დასახელებული ადამიანი მოძებნის ახალ სამუშაოს ან ძველს დაუბრუნდება დროებით გათავისუფლების შემდეგ, მათ შეცვლის სამუშაოს სხვა მაძიებლები. ფრიქციული წარმოიშობა მომუშავეთა გადანაცვლების პერიოდში ერთი დასაქმების ადგილიდან მეორეში. ამ შემთხვევაში უმუშევრობა გამონვეულია უკეთესი სამუშაო ადგილის ძიების სურვილით.

სტრუქტურული უმუშევრობა. დროთა განმავლობაში სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურა და ტექნოლოგია იცვლება, რაც, თავის მხრივ, ცვლის სამუშაო ძალაზე ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურას. ასეთ ცვლილებათა შედეგად მოთხოვნა პროფესიათა ზოგიერთ სახეობაზე (რომლებიც ადრე არ არსებობდა) იზრდება. მოცემულ შემთხვევაში უმუშევრობა წარმოიშობა იმიტომ, რომ სამუშაო ძალა სრულად ვერ პასუხობს ახალ ცვლილებებს სამუშაო ადგილების სტრუქტურაში. ზოგიერთი მომუშავე დაინახავს, რომ ის პროფესიული ჩვევები, რომლებიც მათ ახლა აქვთ, უკვე აღარ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს: მათი გამოცდილება და უნარი მოძველდა და შეუსაბამო გახდა ტექნოლოგიური პროგრესის გამო. სტრუქტურული უმუშევრობა წარმოიშობა ეკონომიკაში ხანგრძლივი სტრუქტურული ცვლილებების შედეგად. მომუშავეების მომზადებისა და გადამზადებას ახალი სპეციალობების მიხედვით გარკვეული დრო ჭირდება, რის გამოც წარმოიშობა სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობა.

ციკლური უმუშევრობა. ქვეყნების ეკონომიკები ხასიათდება ციკლურობით, გარკვეულ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკა ხასიათდება ზრდის ტემპით ან, პირიქით, გვაქვს ეკონომიკის რეცესია. ამ დროს სანარმოების ბრუნვა და შემოსავლები მცირდება, იწყებენ ხარჯების შემცირებას, რაც აისახება დასაქმებულთა განთავისუფლებაში.

სრული დასაქმება. ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება სულაც არ ნიშნავს უმუშევრობის აბსოლუტურ არარსებობას. ნებისმიერ შემთხვევაში ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა გარდაუვალია. მაშასადამე, სრული დასაქმება განისაზღვრება როგორც დასაქმება, რომელიც მოიცავს სამუშაო ძალის 100%-ზე ნაკლებს. ზუსტად რომ ვთქვათ, უმუშევრობის დონე სრული დასაქმების დროს

ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის დონეთა ჯამის ტოლია. სხვა სიტყვებით, უმუშევრობის დონე სრული დასაქმების დროს იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც ციკლური უმუშევრობა 0-ის ტოლია. უმუშევრობის დონეს სრული დასაქმების პირობებში ასევე უწოდებენ უმუშევრობის ბუნებრივ დონეს.

შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მთელი რიგი ელემენტების არსებობა: **შრომის ბაზრის სუბიექტები**, რომლებსაც შეადგენენ დამქირავებლები, დაქირავებული მომუშავეები, დაქირავებით მუშაობის მსურველი უმუშევრები, დასაქმებულები; სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების სახით და ასრულებს სოციალურ-ეკონომიკურ, საკანონმდებლო და მარეგულირებელ ფუნქციებს. შრომის ბაზრის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია **საკანონმდებლო აქტები, წესები, ნორმები**, რომლებიც დაარეგულირებენ შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის ურთიერთობებს, ზუსტად განსაზღვრავენ მათ უფლებებს, ხელს შეუწყობენ ხელსაყრელი ეკონომიკური ეკონომიკური პირობების შექმნას, დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარებას. **შრომის ბაზრის კონიუნქტურა** შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობაა. აღნიშნული თანაფარდობიდან გამომდინარე, შრომის ბაზრის კონიუნქტურა შეიძლება ხასიათდებოდეს: სამუშაო ძალის დეფიციტით – როცა შრომის ბაზარზე მოთხოვნა ჭარბობს სამუშაო ძალის მიწოდებას. წონასწორობით – როცა სამუშაო ძალაზე მოთხოვნა შეესაბამება მის მიწოდებას. სამუშაო ძალის სიჭარბით – როცა შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება ჭარბობს მოთხოვნას. სწორედ ეს უკანასკნელი თანაფარდობაა დამახასიათებელი ჩვენი ქვეყნის შრომის ბაზარზე. **შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა** დასაქმების სამსახურების, პროფორიენტაციის, კადრების პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრების, სარეკლამო ფირმები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ფონდების, ფირმების საკადრო სამსახურების სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას. **სოციალური დაცვის სისტემა** თანამედროვე შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი ელემენტია. საბაზრო პირობებში ჩვეულებრივი მოვლენაა მომუშავეთა გარკვეული ნაწილის გამოთავისუფლება და უმუშევრობის არსებობა. გამოთავისუფლებულ პერსონალს უმუშევრობის პერიოდში სჭირდება ფინანსური დახმარება, გადამზადება, რათა შეძლონ შრომით საქმიანობაში ხელახალი ჩაბმა. ამიტომ, შრომის ბაზრის ფუნქციონირება სრულყოფილი ვერ იქნება დახმარებების (შემწეობების), განთავისუფლების შემთხვევაში კომპენსაციებისა და სწავლის პერიოდში სტიპენდიების გაცემის გარეშე.

5.4. არაფორმალური დასაქმების სტატისტიკა

„არაფორმალური ეკონომიკა გულისხმობს ისეთ ეკონომიკურ აქტივობებს, რომლებიც სხვადასხვა საგადასახადო, საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური მიზეზის გამო სახელმწიფო ორგანოებისგან დაფარულია. საგადასახადო მიზეზი გულისხმობს გადასახადებისგან თავის არიდებას, საკანონმდებლო მიზეზები – სა-

ხელმწიფო ბიუროკრატიის ან სამართლებრივი რეგულაციების ტვირთისგან გათავისუფლებას, ხოლო ინსტიტუციური მიზეზები აერთიანებს კორუფციის დონეს, პოლიტიკური ინსტიტუტების ხარისხსა და კანონის სუსტ აღსრულებას“.

საქართველოში არაფორმალური ეკონომიკის პრობლემის არსებობას განაპირობებს ქვეყანაში თვითდასაქმებულთა განსაკუთრებულად დიდი რაოდენობა, რაც ყველაზე მწვავედ რეგიონებში გვხვდება, სადაც სოფლად მცხოვრები ადამიანები საკუთარ მეურნეობებში წარმოებულ პროდუქციას ყიდვიან, იღებენ გარკვეულ შემოსავალს, თუმცა ისინი გადასახადებს არ იხდიან და არაფორმალურ ეკონომიკას მიეკუთვნებიან. თვითდასაქმებულთა მიერ შექმნილი დამატებითი ღირებულება არაფორმალურ ეკონომიკას განეკუთვნება, რადგან საგადასახადო ბაზაში არ აღირიცხება, თუმცა, მათი შრომა, ისევე როგორც არაფორმალური ეკონომიკის უდიდესი ნაწილი, არ მიეკუთვნება დანაშაულებრივ საქმიანობას. შესაბამისად არაფორმალურად დასაქმებულები არიან ადამიანები, რომელთაც არ აქვთ დამსაქმებელთან ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულება და შემოსავალს იღებენ სეზონურად, გარკვეული პერიოდით და არა უწყვეტ რეჟიმში კონტრაქტის საფუძველზე.

თავისთავად ჩრდილოვანი ეკონომიკის ნაწილია კრიმინალიც, რაც კანონით აკრძალულია, ამიტომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) მიჯნავს არაფორმალურ ეკონომიკას ე. წ. არადაკვირვებადი ეკონომიკისგან, რომელიც სახელმწიფოს კონტროლს მიღმაა და შეიძლება მოიცავდეს უკანონო საქმიანობით მოპოვებულ შემოსავალს.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ განსაზღვრებებში არაფორმალური დასაქმება მოცემულია შემდეგი სახით – „არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულები, რომლებიც თავიანთ სამუშაოზე არ იყვნენ ან ნაწილობრივ იყვნენ დაცული ფორმალური შეთანხმებებით (დამქირავებელი არ იხდიდა საშემოსავლო გადასახადს დაქირავებულის ხელფასიდან; დასაქმებულს არ შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულებით; ან დასაქმებულს არ შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი საავადმყოფო ფურცლით ავადმყოფობის შემთხვევაში) ან განსაზღვრავენ საკუთარი დასაქმების სტატუსს, როგორც ოჯახის სანარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე, ან უძღვებიან შინამეურნეობის საქმიანობებს, როგორც საშინაო პერსონალის დამქირავებლები, ან მუშაობენ სანარმოში, რომელიც არ არის რეგისტრირებული“.¹

2019 წლიდან საქსტატი არაფორმალურ ეკონომიკაზე დაკვირვების მასშტაბებს ზრდის და მომავალშიც იგეგმება კვლევის არეალის გაფართოება. სტატისტიკურ მონაცემთა წყარო გაუმჯობესდა შემდეგი მიზეზების გამო: შუალედური მოხმარების სტრუქტურის განახლება სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე, დაუკ-

¹ იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – მეტამონაცემები, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა, გვ: 2.

ვირვებადი ეკონომიკის შეფასების მეთოდების გაუმჯობესება (IMF, EU-Twinning); არალეგალური საქმიანობების გამოშვების გათვალისწინება მშპ-ში; ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების გამოკვლევა.

დიაგრამა 5.9. დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი დამატებულ ღირებულებაში (%)



დაუკვირვებადი ეკონომიკის სპეციალური გამოკვლევა განხორციელდა შემდეგ სექტორებში: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, სასტუმროები და რესტორნები, რის შედეგადაც სწორედ ამ სექტორებში გაიზარდა დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი ყველაზე მეტად. ჩამოთვლილთაგან, დაუკვირვებადი ეკონომიკა ყველაზე მეტად სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში გაიზარდა, რისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი ტურიზმის სფეროს განვითარება და აქ მომსახურე სერვისების ზრდაა.

ცხრილი 5.2. არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში (2017-2018 წლები, %)

წლები	ქალი	მამაკაცი	ქალაქი	სოფელი	სულ
2017	29,2	37,9	33,2	35,8	33,9
2018	29,8	41,5	34,6	40,0	36,2

ცხრილი 5.2-ის მიხედვით, არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში არაფორმალურად დასაქმებულთა წილი 2017-2018 წლებში გაზარდილია 2,3%-ით, ასევე ზრდა აღინიშნება როგორც სქესის მიხედვით, ისე ქალაქ-სოფლის ჭრილში.

როგორც ცხრილი 5.2.-დან ჩანს, არაოფორმალური დასაქმება სოფლად უფრო მაღალია ვიდრე ქალაქში, ასევე, კაცებში არაოფორმალური დასაქმების დონე აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს.

მსოფლიო პრაქტიკა და გამოცდილება ადასტურებს, რომ რაც უფრო თავისუფალი და ხელსაყრელი პირობებია ბიზნესის წარმოებისათვის, რაც უფრო ლიბერალური, გამჭირვალე და მდგრადია საგადასახადო სისტემა, რაც უფრო დაცულია კერძო საკუთრება და სამართლებრივი ფონი, მით უფრო დაბალია იმ ქვეყანაში დაუკვირვებადი ეკონომიკის სიდიდე და მასშტაბები.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემებით, მსოფლიოში 2 მილიარდ ადამიანზე მეტი არაოფორმალურადაა დასაქმებული. არაოფორმალურად დასაქმებულთა უმეტესი წილი კი განვითარებად ქვეყნებზე მოდის, ხოლო დასაქმების სფეროებს შორის ლიდერობს სოფლის მეურნეობა.

არაოფორმალური დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აფრიკაშია (კონტინენტის საშუალო მაჩვენებელი – 85,0%), ხოლო ყველაზე დაბალი – ევროპის ქვეყნებში (25,1%).

5.5. კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიას ეყრდნობა საქართველოში შრომის ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება ?
2. დაახასიათეთ შრომის ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები
3. რას მოიცავს ფართო გაგებით შრომის ბაზარი ?
4. რას მოიცავს ვიწრო გაგებით შრომის ბაზარი ?
5. რა საკითხებს შეისწავლის შრომის ბაზრის სტატისტიკა ?
6. რა წარმოადგენს შრომის ბაზრის სტატისტიკის შესწავლის ობიექტს ?
7. ვისი გამოკვლევის საფუძველზე აწარმოებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სამუშაო ძალის სტატისტიკას ?
8. ვინ წარმოადგენს ინსტიტუციურ შინამეურნეობებს ?
9. ჩამოთვალეთ შრომის ბაზრის სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებლები
10. რა წარმოადგენს სამუშაო ძალის გამოკვლევის შერჩევის ჩარჩოს ?
11. როგორ გროვდება შრომის ბაზრის სტატისტიკის მონაცემები ?
12. როგორ კონტროლდება სტატისტიკური კვლევის დასრულების შემდეგ მიღებული მონაცემები ?
13. რას მოიცავს საბაზრო და არასაბაზრო წარმოება ?
14. ვინ მიეკუთვნება სამუშაო ძალას ?
15. ვინ არ შედის სამუშაო ძალაში ?
16. როგორ გამოითვლება ეკონომიკური აქტიურობისა და ეკონომიკურად არააქტიურობის დონები ?

17. რა ცვლილებები განხორციელდა უმუშევრობის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშების ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლის შემდეგ? რა ეტაპები გაიარა საქსტატმა კვლევის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვამდე?
18. რა ნიშნით იყოფა სამუშაო ძალა?
19. ვინ მიეკუთვნება დასაქმებულს? როგორ გამოითვლება დასაქმების დონე?
20. რა კატეგორიებად იყოფიან დასაქმებულები?
21. ვინ არის არაიდენტიფიცირებადი (გაურკვეველი) პირი?
22. ვინ მიეკუთვნება თვითდასაქმებულს?
23. ვინ მიეკუთვნება უმუშევარს? როგორ გამოითვლება უმუშევრობის დონე?
24. რა კატეგორიებად იყოფიან უმუშევრები?
25. რა ნიშნით შეიძლება გამოვთვალოთ დასაქმებისა და უმუშევრობის დონეები?
26. რა არის არაფორმალური დასაქმება?
27. რა განსხვავებაა არაფორმალურ დასაქმებასა და არადაკვირვებად ეკონომიკას შორის?
28. ვის შეუძლია გამოიყენოს საქსტატის კვლევის შედეგად მიღებული სამუშაო ძალის სტატისტიკური მონაცემები?

5.6. ტესტები

1. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიას ეყრდნობა საქართველოში შრომის ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება?
 - ა) შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
 - ბ) ევროსტატი
 - გ) მსოფლიო ბანკი
 - დ) საერთაშორისო სავალუტო ფონდი
2. საქსტატის მიერ ჩატარებული გამოკვლევისას სამუშაო ძალის მაჩვენებლების წყაროა:
 - ა) ქუჩის გამოკითხვა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით
 - ბ) შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა
 - გ) სანარმოების გამოკითხვა
 - დ) სახელმწიფო უწყებების გამოკითხვა
3. რამდენი პირისგან შედგება შინამეურნეობა?
 - ა) 1 ბ) 4 გ) 2-დან 6-მდე დ) ყველა პასუხი სწორია

- 4. უმუშევრობისა და დასაქმების დონე შეიძლება შესწავლილ იქნეს:**
- ა) სქესის მიხედვით
 - ბ) ასაკის მიხედვით
 - გ) განათლების დონის მიხედვით
 - დ) ყველა პასუხი სწორია
- 5. სამუშაო ძალის გამოკვლევა ხორციელდება:**
- ა) სრული დაკვირვებით
 - ბ) შერჩევით მეთოდით
 - გ) სერიული დაკვირვებით
 - დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი
- 6. რით შეიძლება იყოს გამოწვეული არაშერჩევითი ცდომილება?**
- ა) რესპონდენტის მხრიდან ინფორმაციის მოწოდებაზე უარის თქმა
 - ბ) არაზუსტი ინფორმაციის მიწოდება;
 - გ) რესპონდენტის ნაცვლად შინამეურნეობის სხვა წევრის გამოკითხვა;
 - დ) ყველა პასუხი სწორია
- 7. 2017 წლიდან შრომის ბაზრის გამოკვლევასა შერჩევის ჩარჩო არის:**
- ა) შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა
 - ბ) საჯარო რეესტრის მონაცემები
 - გ) მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზა
 - დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი
- 8. რა პერიოდულობით აგროვებს საქსტატი შრომის ბაზრის კვლევის სტატისტიკურ მონაცემებს?**
- ა) ყოველდღიურად ბ) ყოველ კვირეულად
 - გ) ყოველთვიურად დ) ყველა პასუხი სწორია
- 9. ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს მონაცემთა კონტროლის ეტაპს?**
- ა) მოწმდება საეჭვო შეცდომები
 - ბ) მოწმდება მონაცემებს შორის ლოგიკური კავშირები
 - გ) დარდება მონაცემები
 - დ) ტარდება საველე სამუშაოები
- 10. რომელ წელს გადავიდა საქსტატი დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშების ახალ მეთოდოლოგიაზე?**
- ა) 2017 წელს ბ) 2018 წელს გ) 2019 წელს დ) 2020 წელს

11. ეკონომიკურად აქტიურს მიეკუთვნება პირი, რომელიც:

- ა) დასაქმებულია
- ბ) არ მუშაობს მაგრამ ეძებს სამსახურს
- გ) მუშაობს, მაგრამ გამოკითხვის მომენტში არ იმყოფება სამსახურში
- დ) ყველა პასუხი სწორია

12. უმუშევრობის ქვედა ასაკობრივი ზღვარია:

- ა) 15 წელი ბ) 16 წელი
- გ) 18 წელი დ) ქვედა ასაკობრივი ზღვარი არ აქვს

13. უმუშევრად ითვლება პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე:

- ა) 2 საათი ბ) 1 საათი გ) 1,5 საათი დ) 0,5 საათი

14. დასაქმებისა და უმუშევრობის კრიტერიუმები განისაზღვრება შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებით:

- ა) ევროსტატი ბ) გაეროს სტატისტიკური კომისია
- გ) შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია დ) მსოფლიო ბანკი

15. დასაქმებულთა კატეგორიაში შედის:

- ა) დაქირავებით დასაქმებულები და თვითდასაქმებულები
- ბ) თვითდასაქმებულები და გაურკვეველი პირები
- გ) დაქირავებით დასაქმებულები და გაურკვეველი პირები
- დ) დაქირავებით დასაქმებულები, თვითდასაქმებულები და გაურკვეველი პირები

16. ეკონომიკურად არააქტიურ, ანუ სამუშაო ძალის გარეთ მყოფ მოსახლეობას მიეკუთვნება:

- ა) 15 წლამდე ასაკის მოსახლეობას დამატებული პენსიონერები
- ბ) უმუშევრები, რომლებიც არ არიან მზად მუშაობის დასაწყებად
- გ) 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობას გამოკლებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

17. დასაქმებულთა ზედა ასაკობრივი ზღვარია:

- ა) 15 წელი
- ბ) 65 წელი
- გ) ზედა ასაკობრივი ზღვარი არ აქვს
- დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

18. დასაქმებულად ითვლება პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე:

ა) 2 საათი ბ) 1 საათი გ) 1,5 საათი დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი

19. უმუშევარი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მკაცრი კრიტერიუმით არის:

- ა) 15 და მეტი წლის ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, ეძებს სამუშაოს და მზად არის დაინყოს მუშაობა
- ბ) 15 და მეტი წლის ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, არ ეძებს სამუშაოს, რადგან გადაენურა მისი შოვნის იმედი
- გ) 15 და მეტი წლის პირი, რომელიც გამოსაკვლევ კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, არ ეძებს სამუშაოს, რადგან გადაენურა მისი შოვნის იმედი, მაგრამ შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას
- დ) ყველა პასუხი სწორია

20. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შერბილებული კრიტერიუმით, უმუშევარი არის:

- ა) 15 და მეტი წლის ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, ეძებს სამუშაოს და მზად არის დაინყოს მუშაობა
- ბ) 15 და მეტი წლის ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, არ ეძებს სამუშაოს, რადგან გადაენურა მისი შოვნის იმედი
- გ) 15 და მეტი წლის პირი, რომელიც გამოსაკვლევ კვირის განმავლობაში არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, არ ეძებს სამუშაოს, რადგან გადაენურა მისი შოვნის იმედი, მაგრამ შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

21. ეკონომიკურად არააქტიურს მიეკუთვნება პირი, რომელიც:

- ა) დასაქმებულია
- ბ) არ მუშაობს და არ ეძებს სამსახურს
- გ) მუშაობს, მაგრამ გამოკითხვის მომენტში არ იმყოფება სამსახურში
- დ) ყველა პასუხი სწორია

22. სამუშაო ძალის გამოკვლევას ექვემდებარება კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები ადამიანები, რომლებიც არიან:

- ა) 15 წლის და უფროსი ასაკის წევრები
- ბ) 16 წლის და უფროსი ასაკის წევრები

- გ) ოჯახის ყველა წევრი
- დ) ის პირები რომლებიც იმყოფებიან შინამეურნეობაში 12 თვის და მეტი პერიოდის განმავლობაში

23. თვითდასაქმებულად არ ითვლება პირი, თუ ის:

- ა) დაქირავებულია
- ბ) დამქირავებელია
- გ) ოჯახურ სანარმოში უსასყიდლოდ მომუშავე პირია
- დ) ინდივიდუალურად მომუშავეა

24. რა განაპირობებს საქართველოში არაფორმალური ეკონომიკის პრობლემის არსებობას?

- ა) თვითდასაქმებულთა დიდი რაოდენობა
- ბ) დაქირავებით დასაქმებულთა დიდი რაოდენობა
- გ) უმუშევართა დიდი რაოდენობა
- დ) დასაქმებულთა დიდი რაოდენობა

25. არაფორმალურად დასაქმებულები:

- ა) შემოსავალს იღებენ სისტემურად
- ბ) შემოსავალს იღებენ კონტრაქტის მიხედვით
- გ) შემოსავალს იღებენ სეზონურად
- დ) შემოსავალს იღებენ კრიმინალიდან

26. რომელი წლიდან დაიწყო საქსტატმა არაფორმალურ ეკონომიკის კვლევის არეალის გაფართოება და სტატისტიკურ მონაცემთა წყაროს გაუმჯობესება?

- ა) 2010 წლიდან ბ) 2015 წლიდან გ) 2019 წლიდან დ) 2020 წლიდან

27. რომელ სექტორში გაიზარდა დაუკვირვებადი ეკონომიკა ყველაზე მეტად?

- ა) სოფლის მეურნეობაში
- ბ) მშენებლობაში
- გ) განათლებაში
- დ) სასტუმრობსა და რესტორნების სექტორში

28. როგორი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გვხვდება ძირითადად არაფორმალური დასაქმების მაღალი დონე?

- ა) განვითარებად ქვეყნებში
- ბ) განვითარებულ ქვეყნებში
- გ) თანაბრად, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში
- დ) არაფორმალური დასაქმების დონე არ არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე

5.7. ამოცანები თემიდან

1. გამოთვალეთ ეკონომიკური აქტიურობის დონე 2020 წელს, თუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეადგენდა 1 523,7 ათას კაცს, ხოლო 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა – 3018,5 ათასს.

2. გამოთვალეთ ეკონომიკური პასიურობის დონე 2019 წელს, თუ ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა შეადგენდა 1 464,3 ათასს კაცს, ხოლო 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა – 3037,1 ათასს.

3. გამოთვალეთ ეკონომიკურად არააქტიურობის დონე 2018 წელს, თუ ეკონომიკური აქტიურობის დონე შეადგენდა 52,9%-ს

4. ეკონომიკური აქტიურობის დონე შეადგენს 64,5%-ს, ხოლო 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა – 4 117,4 ათასს. გაიანგარიშეთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა.

5. გამოთვალეთ ეკონომიკური აქტიურობის დონე, თუ ეკონომიკურად არააქტიურთა რიცხოვნობამ შეადგინა 1 370,9 ათასი, ხოლო 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობამ – 3012,3 ათასი.

6. გამოთვალეთ უმუშევრობის დონე 2018 წელს, თუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) შეადგენდა 1 939,9 ათას კაცს, ხოლო უმუშევართა რაოდენობა – 245,7 ათასს.

7. საქართველოში მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით 2018 წელს მოცემულია შემდეგი ცხრილის სახით:

<i>მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით</i>	<i>ათასი კაცი</i>
სულ 15+ ასაკის მოსახლეობა	3034,3
სულ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	1939,9
დასაქმებული	1694,2
დაქირავებული	860,2
თვითდასაქმებული	833,4
გაურკვეველი	0,6
უმუშევარი	245,7

გამოთვალეთ:

- ა) უმუშევრობის დონე;
- ბ) ეკონომიკური აქტიურობის დონე
- გ) ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რაოდენობა
- გ) თვითდასაქმებულთა ხვედრითი წილი დასაქმებულებში

8. მოცემული მაჩვენებლების მიხედვით გაიანგარიშეთ, როგორ გაიზარდა უმუშევრობის დონე 2015 წელს 2010 წელთან შედარებით:

	2010	2020
ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა (მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ), ათასი კაცი	1511,0	1494,8
დასაქმებული, ათასი კაცი	1167,6	1241,8
15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, ათასი კაცი	3114,8	3018,5

9. ცხრილში მოცემული მაჩვენებლების მიხედვით გამოთვალეთ დასაქმების დონე 2019-2020 წლებში და შეადარეთ ერთმანეთს:

	2019	2020
დაქირავებული	897,5	845,3
თვითდასაქმებული	397,9	395,9
გაურკვეველი	0,5	0,7
სულ 15+ მოსახლეობა	3037,1	3018,5

10. საწარმომ სამუშაოდან გაათავისუფლა 500 დასაქმებული, მათ შორის 55 ადამიანი ნებაყოფლობით წავიდა უკეთესი სამსახურის შოვნის იმედით; ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლის გამო გაათავისუფლა 150 ადამიანი, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისა და რეცესიის გამო საწარმო იძულებული იყო გაეთავისუფლებინა 250 ადამიანი, ხოლო 45-მა ადამიანმა სამსახური დატოვა გაურკვეველი მიზეზების გამო.

გამოთვალეთ ციკლური, სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრების %-ული წილები უმუშევართა მთლიან რაოდენობაში.

თემა 6

ხელფასის სტატისტიკის მარჯვენაელთა სისტემა, როგორც ცხოვრების დონის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი

სალექციო საკითხები

1. ხელფასის სტატისტიკის ზოგადი მეთოდოლოგია
2. ხელფასის სტატისტიკური მაჩვენებლები – ხელფასის დარგობრივი და სექტორული განაწილება
3. ნომინალური და რეალური ხელფასის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე
4. ტესტები

6.1. ხელფასის სტატისტიკის ზოგადი მეთოდოლოგია

შრომის ბაზრის კონიუნქტურა შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობაა. აღნიშნული თანაფარდობიდან გამომდინარე, შრომის ბაზრის კონიუნქტურა შეიძლება ხასიათდებოდეს: სამუშაო ძალის დეფიციტით – როცა შრომის ბაზარზე მოთხოვნა ჭარბობს სამუშაო ძალის მიწოდებას. ნონასწორობით – როცა სამუშაო ძალაზე მოთხოვნა შეესაბამება მის მიწოდებას. სამუშაო ძალის სიჭარბით – როცა შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება ჭარბობს მოთხოვნას.

უმუშევრობის მაღალი დონე ნიშნავს რესურსების ნაწილობრივ გამოყენებას და მოსახლეობის დაბალ შემოსავლებს, რაც ამწვავებს მრავალ სოციალურ პრობლემას და ზრდის ემოციურ დაძაბულობას საზოგადოებაში. საბაზრო ეკონომიკის განვითარების მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ უმუშევრობას სერიოზული უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგები მოაქვს, როგორც უმუშევრებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის.

სამუშაო ძალის გარკვეული ზომით გამოყენებლობა გამოიხატება ეკონომიკური დანაკარგებით, საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის შემცირებით. უმუშევრობის შედეგად ძლიერდება მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია, უარესდება სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი საზოგადოებაში.

შრომის ბაზრის სიღრმისეული შესწავლის, ანალიზისა და მის წინაშე მდგარი პრობლემების ეფექტიანად გადაჭრისათვის კონკრეტულად უმუშევრობა უნდა დაიყოს კატეგორიებად, მათი მთავარი მახასიათებლების მიხედვით. თანამედროვე ეტაპზე საქართველოში უმუშევართა მთლიანი რაოდენობიდან არ გამოიყოფა სა-

მუშაო ძალის ის რაოდენობა, რომელიც კვალიფიკაციის ამაღლებას საჭიროებს ან ისეთი პროფესიის მქონე უმუშევრები, ვისზეც არსებული დასაქმების ბაზრის მხრიდან მოთხოვნა დაბალია, შესაბამისად, რთულია განსაზღვრო, თუ რა პროფესიები, კვალიფიკაცია ან უნარებია მოთხოვნადი დღეს შრომის ბაზარზე.

ექსპერტთა აზრით, განათლების შესახებ კანონპროექტზე მუშაობის და შემდგომში კანონის აღსრულების პროცესში ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ პროფესიული განათლების ხარისხი დამოკიდებული იქნება მენარმეებთან ურთიერთობის და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების ხარისხზე. შრომის ბაზრის კვლევა მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ განისაზღვროს, რა ტიპის უნარ-ჩვევებსა და პროფესიებზე ყველაზე დიდი მოთხოვნა, რის შესაბამისადაც განისაზღვრება პროფესიული განათლების პროგრამები, რათა არ გამოიყენონ ისეთი სასწავლო პროგრამები, რომლებიც პრაქტიკაში გამოუსადეგარია და დასაქმების პერსპექტივის ზრდაზე ვერ იმოქმედებს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ხელფასების სტატისტიკური გამოკვლევა მიმდინარეობს საწარმოებსა და ორგანიზაციებში,¹ ხოლო გამოკვლევა ხორციელდება ყოველ კვარტალურად და წლიურად. კვლევაში მონაწილეობს ყველა საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაცია. კვლევა არ მოიცავს ბაზრებსა და ბაზრობებზე საცალოდ მოვაჭრე საწარმოებს. **სრული მოცვით გამოიკითხება:** ყველა მსხვილი საწარმო; ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები; საფინანსო დაწესებულებები (სავალუტო ფიზურების და ლომბარდების გარდა). **შერჩევით გამოიკითხება:** საშუალო და მცირე საწარმოები; საჯარო სკოლები და ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებია; არასახელმწიფო ა(ა)იპ-ები (არასახელმწიფო არასამწარმოო არაკომერციული იურიდიული პირები). საწარმოების სტრატეგიფიცირება ხდება ეკონომიკური საქმიანობის სახეების, საწარმოების ზომისა და რეგიონების მიხედვით. კვარტალური გამოკვლევების დროს შეისწავლიან 15 000 სუბიექტს, ხოლო წლიური გამოკვლევებისას – 18 000 სუბიექტს. სუბიექტების შერჩევის განახლება ხდება ყოველწლიურად.

ხელფასის გამოკვლევა ტარდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მეთოდოლოგიის მიხედვით. კვლევა მოიცავს იმ დასაქმებულებს, რომლებიც საწარმოში/ორგანიზაციაში სრული ან/და არასრული სამუშაო დროით არიან დასაქმებულები და რომელთა შრომითი ურთიერთობები განსაზღვრულია კონტრაქტით.

ნომინალურ ხელფასად ითვლება დარიცხული ხელფასის ფონდი საშემოსავლო გადასახადისა და სხვა ვალდებულებების გადახდამდე. შრომის ანაზღაურებად ითვლება:

- ა) ძირითადი ხელფასი გაცემული ნამუშევარი დროის ან შესრულებული სამუშაოს მიხედვით;
- ბ) დანამატი, პრემია და სხვა წამახალისებელი სახის გასაცემლები;

¹ <https://www.geostat.ge/media/20613/xelpasebis-statistikis-metodologia-%28geo%29.pdf>

- გ) საკომპენსაციო და სხვა გასაცემლები, რომლებიც დაერიცხა დასაქმებულ პერსონალს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ნამუშევარი და არანამუშევარი დროისათვის (შვებულება, მოცდენები);
- დ) ნატურით გაცემული ხელფასის ღირებულება.

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გამოითვლება შემდეგნაირად: საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დარიცხული შრომის ანაზღაურების/ხელფასის ფონდი იყოფა დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობაზე.

წლის განმავლობაში დარიცხული საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გამოითვლება შრომის ანაზღაურების/ხელფასის ფონდის ჯერ დაქირავებულთა საშუალო რიცხოვნობაზე და შემდეგ 12-ზე გაყოფით, ხოლო კვარტლის პერიოდში დარიცხული საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გამოითვლება შრომის ანაზღაურების (ხელფასის) ფონდის გაყოფით დაქირავებულთა საშუალო რიცხოვნობაზე და შემდეგ მიღებული კვლავ იყოფა 3-ზე.

ამასთან, სტატისტიკაში არასრული დროით დაქირავებულ პირთა საშუალო რაოდენობა გადაანგარიშდება სრული დროით დაქირავებულების პროპორციით. მიღებული შედეგები ვრცელდება შემდეგი კონკრეტული მიმართულებით: ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით; სქესობრივ ჭრილში; სამენარმეო და არა-სამენარმეო სფეროს მიხედვით; სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორების მიხედვით; რეგიონების მიხედვით.

2006 წლამდე ხელფასების გამოკვლევა მოიცავდა ყველანაირი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის აქტიურ სანარმოს/ორგანიზაციას. 2006 წლიდან ყველა აქტიურ დაწესებულებას, რომელთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: სახელმწიფო დაწესებულება; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო; საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ); არასამენარმეო (არაკომერციული იურიდიული პირი (ა(ა)იპ). ასევე მოიცავს ფინანსურ დაწესებულებებს (ვალუტის გადამცვლელი ჯიხურების და ლომბარდების გამოკლებით), განურჩევლად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, კვლევა მოიცავს ყველა ეკონომიკურ საქმიანობის სახეს, გარდა: შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის საქმიანობები; შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის არადიფერენცირებული საქონლისა და მომსახურების წარმოება. ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“.¹

როგორც ყოველვარტალურად, ისე ყოველწლიურად გამოიკითხება 2 500 - 2 600 ორგანიზაცია.

საქსტატი გამოკვლევიდან მიღებულ მონაცემებს ადარებს გასული პერიოდის შესაბამის მონაცემებს. დამუშავების პროცესში მოწმდება მონაცემები როგორც ადმინისტრაციულ წყაროებთან, ისე ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

ხელფასების გამოკვლევა შერჩევით დაკვირვებას წარმოადგენს, შესაბამისად, როგორც სხვა შერჩევითი დაკვირვების შემთხვევაში, აქაც გათვალისწინებულია შერჩევითი დაკვირვების ცდომილება.

¹ იხ. არასამენარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი. გვ: 1-6.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევის მაგალითზე წარმოდგენილ ცხრილში 6.1 მოცემულია 2018 წელს არასამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის სტანდარტული ცდომილება, ნდობის ინტერვალი და ვარიაციის კოეფიციენტი.

ცხრილი 6.1. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის სტანდარტული ცდომილება, ნდობის ინტერვალი და ვარიაციის კოეფიციენტი, 2018 წ.

	სტანდარტული ცდომილება	95%-იანი ნდობის ინტერვალი		ვარიაციის კოეფიციენტი
		ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი	
საშუალო ხელფასი, ლარი	4.1	1 000.1	1 016.2	0.4%

არაშერჩევითი ცდომილების მინიმიზაციის მიზნით, მონაცემების დარდება ადმინისტრაციულ წყაროებთან.

2013 წლამდე ხელფასების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს საქსტატი ქალაქის კითხვარით აგროვებდა, 2013 წლის შემდეგ კი უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება ონლაინ კითხვარი.¹

მონაცემები მოწმდება რამდენიმე ეტაპად:

- გამოკვლევის მონაცემები მიიღება საანგარიშო პერიოდის გასვლიდან 25 დღეში;
- სავსე სამუშაოების დასრულების შემდეგ რეგიონებში ინტერვიუები ახორციელებენ მონაცემების პირველად კონტროლს;
- ბაზებში ჩანერილი მონაცემების შესაბამისობისა და ლოგიკური კავშირების შესამოწმებლად მომზადებულია ლოგიკური კონტროლის სქემა, რომელშიც ყველა შესაძლო შეუსაბამობა დეტალურადაა განხილული;
- არასრული და შეუსაბამო მონაცემები გადამოწმდება ადმინისტრაციული წყაროების ხელმისაწვდომ მონაცემებთან. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შეუსაბამობის გამოსასწორებლად უკავშირდებიან რესპონდენტს;
- ბოლო ეტაპზე დარდება კვარტალებს შორის მონაცემები და გაანალიზდება საბოლოო მონაცემები;
- მონაცემთა ბაზები დამუშავდება/რედაქტირდება MS Access პროგრამაში შრომის სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლების მიერ.²

საზოგადოება ხშირად უკმაყოფილოა საშუალო ხელფასისა და მისი დათვლის მეთოდოლოგიით. ცხადია, დაქირავებით დასაქმებულთა უმეტესობის ხელფასები მკვეთრად ჩამორჩება საშუალო ხელფასს. საშუალო ხელფასის გამოთვლის მეთოდი შემდეგია: ყველა დაქირავებით დასაქმებულის ხელფასების ჯამი იყოფა ყველა დაქირავებით დასაქმებულის რაოდენობაზე და მიიღება საშუალო ხელფასი. ცხა-

¹ მონაცემები შრომის შესახებ – <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/563/monatsemebi-shromis-shesakheb>

² იხ. არასამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი. გვ. 7.


დია, აქ მოხვდება ის დასაქმებული, რომლის ხელფასია, პირობითად, 15 000 ლარი და ის დასაქმებული, რომლის ხელფასიც 500 ლარია. აქედან გამომდინარე, საშუალო ხელფასი ქვეყნის ეკონომიკური და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შეფასების ზუსტ და სრულ სურათს ვერ იძლევა. შრომის ბაზრის უფრო დეტალური დახასიათებისათვის აუცილებელია ისეთი სტატისტიკური სიდიდეების გამოყენება, როგორებიცაა მოდა (დასაქმებულთა უმეტესობას რამდენი აქვს ხელფასი) და მედიანა (ხელფასის რაოდენობა, რომელზე ნაკლები დასაქმებულთა 50%-ს აქვს და დასაქმებულთა მეორე 50%-ს ამ ხელფასზე მეტი).

ქვეყნებში, სადაც მომსახურების სფეროებში მაღალი ფასებია, მომსახურებაც მაღალი ხარისხისაა და მოსახლეობის ცხოვრების დონეც. იქ, სადაც მოსახლეობის მყიდველუნარიანობა მაღალია, მას შეუძლია ამ ძვირი სერვისის ყიდვა განსხვავებით დაბალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისგან, სადაც მომსახურების ფასის არასაბაზრო მექანიზმებით ზრდის ფონზე დაბალია შემოსავლები და ცხოვრების დონე, შესაბამისად, მოსახლეობა დაბალმყიდველუნარიანია გაძვირებული სერვისების მიმართ.

6.2. ხელფასის სტატისტიკური მაჩვენებლები – ხელფასის დარგობრივი და სექტორული განაწილება

დიაგრამა 6.1-ში მოცემულია დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასები. დაკვირვების შედეგად ვიზუალურადაც მარტივად ჩანს, რომ ბოლო 10-წლიან დინამიკაში საშუალო ხელფასები იზრდება. თუმცა, ხშირად სხვა სოციალური და ეკონომიკური მოვლენების განვითარება დინამიკაში ასე მარტივი ანალიზის შესაძლებლობას არ იძლევა და უფრო სიღრმისეული ანალიზისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვა სტატისტიკური მაჩვენებლები.

დიაგრამა 6.1. საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი), 2011-2020 წლებში¹



¹ წყარო: საქსტატი – <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>

შეგვიძლია განვიხილოთ დინამიკის შეფარდებითი სიდიდე, რომელიც ახასიათებს მაჩვენებლის ცვლილებას (მატებას ან კლებას) მიმდინარე პერიოდში გასულ პერიოდთან შედარებით.

განვიხილოთ დინამიკის **საბაზისო** შეფარდებით სიდიდე.

საბაზისო = მიმდინარე დონე/საბაზისო დონე × 100;

$$K_1 = \frac{X_2}{X_1} \times 100; K_2 = \frac{X_3}{X_1} \times 100; K_3 = \frac{X_4}{X_1} \times 100 \dots K_n = \frac{X_{n+1}}{X_1} \times 100$$

$$K_{2015} = \frac{900.4}{636.0} \times 100 = 141.6\% \quad K_{2018} = \frac{1068.3}{636.0} \times 100 = 168.0\%$$

$$K_{2020} = \frac{1227.3}{636.0} \times 100 = 193.0\%$$

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გავიანგარიშოთ, თუ რამდენი პროცენტით, ან რამდენჯერ იზრდება (მცირდება) ხელფასი თითოეულ წელს, საბაზისო წელთან შედარებით. მაგალითად, 2015 წელს 2011 წელთან შედარებით, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა 1.416-ჯერ, ან 41,6%-ით. ხოლო 2020 წელს, 2011 წელთან შედარებით, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა 1,93-ჯერ, ანუ 93,0%-ით.

განვიხილოთ დინამიკის **ჯაჭვური** შეფარდებითი სიდიდე:

ჯაჭვური = მიმდინარე დონე/წინა დონე × 100.

$$K_1 = \frac{X_2}{X_1}; K_2 = \frac{X_3}{X_2}; K_3 = \frac{X_4}{X_3} \dots K_n = \frac{X_{n+1}}{X_n}$$

$$K_{2015} = \frac{900.4}{818.8} \times 100 = 110.0\% \quad K_{2018} = \frac{1068.3}{999.1} \times 100 = 106.9\%$$

$$K_{2020} = \frac{1227.3}{1129.5} \times 100 = 108.7\% .$$

აღნიშნული მეთოდით შეგვიძლია გავიანგარიშოთ, თუ რამდენი პროცენტით, ან რამდენჯერ იზრდება (მცირდება) ხელფასი თითოეულ წელს, წინა წელთან შედარებით. მაგალითად, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა 1.07-ჯერ, ანუ 6.9%-ით. ხოლო 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა 1.087-ჯერ ანუ 8.7%-ით.

თუ ჯაჭვური შეფარდებით სიდიდეების დინამიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საშუალო ნომინალური ხელფასი ყოველ წელს, წინა წელთან შედარებით, თითქმის თანაბრად იზრდება, თუმცა პროცენტული განსხვავებები არსებობს და სხვა შემ-

თხვევაში, შესაძლოა, მსგავსი დაკვირვების შესაძლებლობა არც მოგვცემოდა. ამიტომ დროითი მწკრივის უკეთ გასაანალიზებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ მწკრივის **საშუალო აბსოლუტური მატება და ზრდის საშუალო ტემპი**.

საშუალო აბსოლუტური მატება გვიჩვენებს, შერჩეული პერიოდის განმავლობაში (2011-2020 წწ.), საშუალოდ რამდენი ლარით იზრდებოდა ნომინალური ხელფასი და იგი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\bar{\Delta} = \frac{\sum \Delta_i}{n - 1}$$

სადაც, Δ_i არის ჯაჭვური წესით გაანგარიშებული აბსოლუტური მატებები, ხოლო n -დროითი მწკრივის დონეთა რიცხვი.

პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე, 2020-2011 წლებში საშუალო აბსოლუტური მატების გასაანგარიშებლად, ჯერ გამოვთვალოთ ცალკეული აბსოლუტური მატებანი:

$$\begin{aligned} \Delta_1 &= x_2 - x_1 = 712,5 - 636 = 76,5 \\ \Delta_2 &= x_3 - x_2 = 773,1 - 712,5 = 60,6 \\ \Delta_3 &= x_4 - x_3 = 818 - 773,1 = 44,9 \\ \Delta_4 &= x_5 - x_4 = 900,4 - 818 = 82,4 \\ \Delta_5 &= x_6 - x_5 = 940 - 900,4 = 39,6 \\ \Delta_6 &= x_7 - x_6 = 999,1 - 940 = 59,1 \\ \Delta_7 &= x_8 - x_7 = 1068,3 - 999,1 = 69,1 \\ \Delta_8 &= x_9 - x_8 = 1129,5 - 1068,3 = 61,2 \\ \Delta_9 &= x_{10} - x_9 = 1227,3 - 1129,5 = 97,8. \end{aligned}$$

ახლა კი გავიანგარიშოთ საშუალო აბსოლუტური მატება:

$$\bar{\Delta} = \frac{\sum \Delta_i}{n - 1} = \frac{76,5 + 60,6 + 44,9 + 82,4 + 39,6 + 59,1 + 69,1 + 61,2 + 97,8}{10 - 1} = 65,6 \text{ ლარი.}$$

ზრდის საშუალო ტემპი გვიჩვენებს, შერჩეულ პერიოდში (2011-2018 წწ.), საშუალოდ რამდენჯერ იზრდებოდა ნომინალური ხელფასი, ან ზრდის რა პროცენტული სიდიდე დაფიქსირდა. იგი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\bar{K} = \sqrt[n-1]{\frac{x_n}{x_1}}$$

პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე, 2011-2018 წლებში ზრდის საშუალო ტემპი იქნება:

$$\bar{K} = \sqrt[8]{\frac{1068.3}{636.0}} = 1.08; \text{ სადაც } n = 8.$$

ეკონომიკური ანალიზისას ხშირად გამოიყენება **მატების 1%-ის აბსოლუტური მნიშვნელობა**. მატების 1%-ის აბსოლუტური მნიშვნელობა გაიანგარიშება აბსოლუტური მატების შეფარდებით მატების ტემპთან და გვიჩვენებს, მატების თითოეული პროცენტი (%) რა აბსოლუტური მნიშვნელობისაა.

დაქირავებით დასაქმებულთა ანაზღაურების ანალიზისას ასევე განიხილავენ სტრუქტურის შეფარდებით სიდიდეებს, რომელიც ახასიათებს შესასწავლი ერთობლიობის შემადგენლობას. ის გაიანგარიშება ერთობლიობის თითოეული წევრის (ერთეულის) აბსოლუტური სიდიდის შეფარდებით მთელი ერთობლიობის ჯამურ აბსოლუტურ სიდიდესთან. შესაბამისად, ის წარმოადგენს მთლიანი ერთობლიობის ხვედრით წილს.

პირველ ყოვლისა, ხელფასების მაჩვენებლები დარგების მიხედვით უნდა დალაგდეს სიდიდის მიხედვით, რანჟირებულად (ზრდიდან კლებადისკენ, ან პირიქით), რაც შესაძლებლობას იძლევა გამოიკვეთოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი და ყველაზე დაბალანაზღაურებადი დარგები. ამის საფუძველზე გავიანგარიშებთ ვარიაციის დიაპაზონს, ანუ მწკრივის მაქსიმალურ და მინიმალურ წევრებს შორის სხვაობას შემდეგნაირად: $R = X_{\max} - X_{\min} = 2236 - 596,4 = 1639,4$ (ლარი). ის გამოიყენება მაშინ, როდესაც თითოეული ვარიანტი გვხდება მხოლოდ ერთხელ, ან მაშინ, როდესაც მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს დიდი როლი ენიჭებათ ვარიაციულ მწკრივში.

რომ გავიგოთ, როგორია საშუალო ხელფასიდან დანარჩენი დარგების საშუალო ხელფასების გადახრა, ამისთვის ვიყენებთ სტანდარტული გადახრის ფორმულას:

$$\begin{aligned} \sigma &= \sqrt{\frac{\sum (x - \mu)^2}{N}} = \\ &= \sqrt{\frac{(2236-1068)^2 * (17122-10683)^2 * (1552-10683)^2 * (15069-10683)^2 * (14891-10683)^2 *}{19}} \Rightarrow \\ &\Rightarrow \sqrt{\frac{(13792-10683)^2 * (12958-10683)^2 * (12666-10683)^2 * (11062-10683)^2 * (9936-10683)^2}{19}} \Rightarrow \\ &\Rightarrow \sqrt{\frac{(9836-10683)^2 * (9509-10683)^2 * (9296-10683)^2 * (8314-10683)^2 * (8246-10683)^2}{19}} \Rightarrow \\ &\Rightarrow \sqrt{\frac{(802.1 - 1068.3)^2 * (773.7 - 1068.3)^2 * (701 - 1068.3)^2 * (596.4 - 1068.3)^2}{19}} = \\ &= 404,4 \text{ (ლარი)}. \end{aligned}$$

ცხრილი 6.2. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით (ლარი), 2018 წელი

საქმიანობის სახეები	ლარი
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	2 236,0
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 712,2
მშენებლობა	1 552,0
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	1 506,9
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 489,1
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1 379,2
ტრანსპორტირება და დასაწყობება	1 295,8
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	1 266,6
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 106,2
ხელოვნება, გართობა და დასვენება	993,6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	983,6
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების შეკეთება	950,9
დამამუშავებელი მრეწველობა	929,6
სხვა სახის მომსახურება	831,4
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	824,6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	802,1
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	773,7
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	701,0
განათლება	596,4
სულ	1 068,3

ხელფასის მაჩვენებლები შეიძლება შედარდეს რეგიონულ ჭრილში, რაც გამოიხატება რეგიონებს შორის მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების შესადარებლად როგორც კონკრეტული წლებისათვის, ისე დინამიკაში.

ცვალებადი, ფიქსირებული და სტრუქტურული შემადგენლობის ინდექსების გამოყენება

ეკონომიკური პროცესების ანალიზისას საინტერესოა შევისწავლოთ ერთი მაჩვენებლის ცვლილებას რამდენად განაპირობებს სხვა მაჩვენებლების ცვლილება. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პერიოდში, საბაზისოსთან შედარებით, საშუალო ხელფასი შემცირდა 629.2-იდან 582 ლარამდე, მაგრამ ამავე პერიოდში გვაქვს დასაქმებულთა ცვლილებები სოფლის მეურნეობის დარგების მიხედ-

ვით, ასევე, ამავე დარგებში იცვლება ხელფასები. რამდენად განაპირობებს და ინვესს საშუალო ხელფასის ცვლილებას თითოეული ამ მაჩვენებლის ცვლილება, ამ ანალიზისთვის ვიყენებთ ცვალებად, ფიქსირებულ და სტრუქტურული შემადგენლობის ინდექსებს.

ხელფასის ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი გვიჩვენებს, როგორ იცვლება ხელფასის საერთო დონე თითოეული დარგის ხელფასების ცვლილების შედეგად და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$I = \frac{\sum w_1 f_1}{\sum f_1} : \frac{\sum w_0 f_0}{\sum f_0},$$

სადაც w_1 და w_0 შესაბამისად დასაქმებულთა ხელფასებია მიმდინარე და საბაზისო პერიოდებში; f_1 და f_0 დასაქმებულთა რაოდენობაა მიმდინარე და საბაზისო პერიოდებში.

ცხრილი 6.3. ხელფასებისა და დასაქმებულთა განაწილება სოფლის მეურნეობის დარგებში

	I_0		I_1	
	ხელფასი W_0	დასაქმებულები (ათასი კაცი), f_0	ხელფასი W_1	დასაქმებულები (ათასი კაცი), f_1
მემცენარეობა	550	5	570	9
მეცხოველეობა	700	5	500	4
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	650	2	800	2
საშუალო	629.2	-	582.0	-

ხელფასის ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსი გვიჩვენებს, როგორ იცვლება მთლიანი საშუალო ხელფასი დარგებში ხელფასების ცვლილების შედეგად. იგი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$I = \frac{\sum w_1 f_1}{\sum f_1} : \frac{\sum w_0 f_1}{\sum f_1}.$$

ხელფასის სტრუქტურული შემადგენლობის ინდექსი გვიჩვენებს, როგორ იცვლება მთლიანი საშუალო ხელფასი დარგებში დასაქმებულთა ცვლილების შედეგად. სტრუქტურული შემადგენლობის ინდექსი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$I = \frac{\sum w_0 f_1}{\sum f_1} : \frac{\sum w_0 f_0}{\sum f_0}$$

გამოვთვალოთ ხელფასის ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი (იხ. ცხრილი 6.4):

$$I = \frac{\sum w_1 f_1}{\sum f_1} : \frac{\sum w_0 f_0}{\sum f_0} = \frac{8730}{15} : \frac{7550}{12} = 0.925.$$

მიღებული შედეგი გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის დარგებში დასაქმებულთა და ხელფასების ცვლილების შედეგად საშუალო ხელფასი შემცირდა 7.5%-ით. ეს რომ მართლაც ასეა, შეგვიძლია დავამტკიცოთ, თუ 6.3 ცხრილში უკვე გამოთვლილ საშუალო ხელფასებს ერთმანეთს შევუფარდებთ, ე. ი.:

$$I = \frac{582 - 629.2}{629.2} \times 100 = -7.5\%.$$

როგორც შედეგი აჩვენებს, საშუალო ხელფასი მართლაც 7.5%-ით შემცირდა.

ცხრილი 6.4. ხელფასებისა და დასაქმებულთა ინდექსები

	W_0	f_0	W_1	f_1	$w_1 f_1$	$w_0 f_0$	$w_0 f_1$
1	550	5	570	9	81	2750	4950
2	700	5	500	4	2000	3500	2800
3	650	2	800	2	1600	1300	1300
Σ					3681	7550	9050

გამოვთვალოთ ხელფასის ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსი:

$$I = \frac{\sum w_1 f_1}{\sum f_1} : \frac{\sum w_0 f_1}{\sum f_1} = \frac{8730}{15} : \frac{9050}{15} = 0.965,$$

რაც გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის დარგებში ხელფასების ცვლილების შედეგად საშუალო ხელფასი შემცირდა 3.5%-ით.

ახლა გამოვთვალოთ ხელფასის სტრუქტურული შემადგენლობის ინდექსი:

$$I = \frac{\sum w_0 f_1}{\sum f_1} : \frac{\sum w_0 f_0}{\sum f_0} = \frac{9050}{15} : \frac{7550}{12} = 0.958.$$

მიღებული შედეგი გვიჩვენებს, რომ დარგებში დასაქმებულთა ცვლილების შედეგად საშუალო ხელფასი შემცირდა 4.2%-ით.

6.3. ნომინალური და რეალური ხელფასის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე

სტატისტიკაში განასხვავებენ ნომინალურ და რეალურ ხელფასებს. ნომინალური ხელფასი არის დარიცხული ხელფასი, ხოლო ნომინალური ხელფასის სამომხმარებლო ფასების ინდექსზე გაყოფითი მივიღებთ რეალურ ხელფასს. რატომ გახდა საჭირო რეალური ხელფასის გამოთვლა? დარიცხული ნომინალური ხელფასის ფონზე ინფლაცია ამცირებს ნომინალური ხელფასის მყიდველუნარიანობას, ანუ გაძვირებული ფასების ფონზე მცირდება ნომინალური ხელფასის რეალური ღირებულება. ამიტომ სხვადასხვა დროითი მწკრივის ანალიზის საფუძველზე განვიხილავთ ნომინალური და რეალური ხელფასების ცვლილებებს.

2018 წელს საქართველოში საშუალო ნომინალური ხელფასია 1 068,3 ლარი, ხოლო სამომხმარებლო ფასების ინდექსმა შეადგინა 1,015. მაშინ რეალური ხელფასი იქნება $1068,3:1,015=1052,5$ (ლარი). ანუ გამოდის, რომ ფასების 1,5%-ით მატეხამ გამოიწვია რეალური ხელფასის 15,8 ლარით შემცირება. რეალური ხელფასი გაიზრდება იმ შემთხვევაში, როცა გვექნება დეფლაცია, ანუ სამომხმარებლო ფასების ინდექსი იქნება 1,0-ზე ნაკლები.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის სიდიდიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვთვალოთ ვალუტის მყიდველუნარიანობის ინდექსიც, რომელიც სამომხმარებლო ფასების შებრუნებული ინდექსია. ლარის მყიდველუნარიანობის ინდექსი = $\frac{1}{1.015} = 0.985$. ეს ნიშნავს, რომ 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, იმავე ფასად

შევიძენთ 1,48%-ით ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას.


2018 წლის მონაცემებით, ევროპის ტოპ 10 ქვეყანა, სადაც ყველაზე მაღალი ხელფასი (ნეტო-ხელფასი, ხელფასი გადასახადის გადახდის შემდეგ) აქვთ: 1. დანია – 3 270 ევრო; 2. ლუქსემბურგი – 3 159 ევრო; 3. შვედეთი – 2 570 ევრო; 4. ფინეთი – 2 509 ევრო; 5. ირლანდია – 2 479 ევრო; 6. ავსტრია – 2 324 ევრო; 7. გერმანია – 2 270 ევრო; 8. საფრანგეთი – 2 225 ევრო; 9. ნიდერლანდები – 2 155 ევრო და 10. დიდი ბრიტანეთი – 1 990 ევრო.

საქართველოში, როცა საუბარია მომსახურების სფეროს რეგულირებით ფასის ხელოვნურად ზრდაზე იმ მოტივით, რომ ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც მსგავსი ტარიფებია, არასწორი მიდგომაა. ქვეყნებში, სადაც მომსახურების სფეროებში ფასები მაღალია, იქ მომსახურებაც მაღალი ხარისხისა და მოსახლეობის ცხოვრების დონეც. მოსახლეობის მყიდველუნარიანობა მაღალია და შეუძლია ამ ძვირი სერვისის ყიდვა, განსხვავებით საქართველოსგან, სადაც მომსახურების ფასის ხელოვნურად ზრდის ფონზე დაბალია შემოსავლები და ცხოვრების დონე, შესაბამისად, მოსახლეობა დაბალმყიდველუნარიანია გაძვირებული სერვისების მიმართ.

2018 წელს საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 1 068,3 ლარი შეადგინა, ხოლო რეალურმა ხელფასმა

(2013 წლის მუდმივ ფასებში) 900,4 ლარი. ბოლო 5 წლის განმავლობაში (2013 წლის მუდმივ ფასებში გადაყვანით) საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ყოველწლიურად საშუალოდ 62.6 ლარით იზრდება, ხოლო ინფლაციის საერთო დონის გათვალისწინებით, რეალური ხელფასი საშუალოდ 24.6 ლარით იზრდება.

დიაგრამა 6.5. ნომინალური და რეალური ხელფასი (ლარი), 2014-2018 წლებში¹ (2013 წლის მუდმივ ფასებში)



ხელფასის მყიდველუნარიანობა შეიძლება შევაფასოთ როგორც გამსხვილებული სასურსათო ჯგუფების მიმართ, ისე ცალკეული პროდუქტების მიმართაც. მაგალითად, თუ 2018 წელს 1 კგ ხორბლის ფქვილი ღირდა 2,4 ლარი, ნომინალური ხელფასის შემთხვევაში შესაძლებელი იყო 445,1 კგ ხორბლის ფქვილის შეძენა ($1068.3:2.4=445.1$), მაშინ, როცა 2013 წლის მუდმივ ფასებში გადაყვანილი საშუალო რეალური ხელფასით შევიძენდით 375,2 კგ ფქვილს ($900,4:2,4=375,2$).

6.4. კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. დაახასიათეთ შრომის ბაზრის კონიუნქტურა.
2. რა არის შრომის ბაზრის კონიუნქტურა?
3. რა პერიოდულობით ხდება ხელფასების გამოკვლევა?
4. ბაზრის რომელი სუბიექტების გამოკვლევა ხდება გამოკითხვისას?
5. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით ხდება ხელფასების გამოკვლევა?
6. რა ითვლება ნომინალურ ხელფასად?

¹ წყარო: საქსტატი – <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>

7. როგორ გამოითვლება საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი?
8. რომელი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით ხდება ხელფასების გამოკვლევა?
9. როგორ ხდება არაშერჩევითი ცდომილების მინიმიზაცია?
10. რა ფორმით ხდება ხელფასების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება?
11. რამდენ ეტაპად კონტროლდება მონაცემები?
12. განიხილეთ საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მოცულობები დინამიკაში.
13. რას გვიჩვენებს დინამიკის ჯაჭვური და საბაზისო შეფარდებითი სიდიდეები ?
14. რას გვიჩვენებს სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდეები და რა შემთხვევაში გამოიყენება სტატისტიკურ ანალიზში ?
15. რას გვიჩვენებს საშუალო აბსოლუტური მატება და ზრდის საშუალო ტემპი? როგორ გამოიყენება ის ხელფასების დინამიკის შესწავლაში?
16. დაახასიათეთ საქმიანობის სახეები საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მიხედვით.
17. განიხილეთ ცვალებადი, ფიქსირებული და სტრუქტურული შემადგენლობის ინდექსები და მათი გამოყენების მნიშვნელობა.
18. რას გვიჩვენებს ნომინალური და რეალური ხელფასები?
19. რატომ არის საჭირო რეალური ხელფასის გამოთვლა?

6.5. ტესტები

1. ხელფასების კვლევისას შერჩევით გამოიკითხება:
 - ა) მსხვილი საწარმოები
 - ბ) საფინანსო დაწესებულებები
 - გ) საშუალო და მცირე საწარმოები
 - დ) ყველა პასუხი სწორია
2. რა პერიოდულობით ხდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ხელფასების სტატისტიკური გამოკვლევა?
 - ა) ყოველ თვიურად და კვარტალურად
 - ბ) ყოველ თვიურად და წლიურად
 - გ) ყოველ კვარტალურად და წლიურად
 - დ) ყველა პასუხი სწორია
3. რა მოცულობით გამოიკითხება მსხვილი საწარმოები?
 - ა) შერჩევითი დაკვირვებით
 - ბ) სრული მოცვით

- გ) მხოლოდ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

4. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით ტარდება ხელფასის გამოკვლევა:

- ა) ევროსტატის მეთოდოლოგიის მიხედვით
- ბ) საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით
- გ) მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიის მიხედვით
- დ) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით

5. შრომის ანაზღაურებად ითვლება:

- ა) ძირითადი ხელფასი გაცემული ნამუშევარი დროის ან შესრულებული სამუშაოს მიხედვით
- ბ) დანამატი, პრემია და სხვა წამახალისებელი სახის გასაცემლები
- გ) ნატურით გაცემული ხელფასის ღირებულება
- დ) ყველა პასუხი სწორია

6. როგორ გამოითვლება საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი?

- ა) დარიცხული შრომის ანაზღაურების ფონდი იყოფა დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობაზე
- ბ) დარიცხული შრომის ანაზღაურების ფონდი მრავლდება დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობაზე
- გ) დარიცხული შრომის ანაზღაურების ფონდი მრავლდება 12-ზე
- დ) დარიცხული შრომის ანაზღაურების ფონდი იყოფა 12-ზე

7. ხელფასების გამოკვლევა არ მოიცავს:

- ა) სახელმწიფო დანესებულებას
- ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირებსა (სსიპ) და არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირებს (ა(ა)იპ)
- გ) შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის არადიფერენცირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებას
- დ) ყველა პასუხი სწორია

8. მონაცემთა დამუშავების პროცესში ვისთან გადამონმდება მონაცემები?

- ა) ადმინისტრაციულ წყაროებთან
- ბ) ორგანიზაციის წარმომადგენლებთან
- გ) როგორც ადმინისტრაციულ წყაროებთან, ისე ორგანიზაციის წარმომადგენლებთან
- დ) საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან

9. როგორ ვრცელდება მიღებული შედეგები?

- ა) სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროს მიხედვით;
- ბ) სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორების მიხედვით;
- გ) რეგიონების მიხედვით;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

10. როგორ კონტროლდება მონაცემები ეტაპების მიხედვით?

- ა) ბაზებში ჩანერილი მონაცემების შესაბამისობისა და ლოგიკური კავშირების შესამოწმებლად ამზადებენ ლოგიკურ კონტროლებს
- ბ) საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ რეგიონებში ინტერვიუები პირველად აკონტროლებენ მონაცემებს
- გ) დარდება კვარტლებს შორის მონაცემები
- დ) ყველა პასუხი სწორია

11. 2018 წელს საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შეადგენდა 1068,3 ლარს, ხოლო 2015 წელს – 900,4 ლარს. ხელფასის ზრდის ტემპია:

- ა) 15,6% ბ) 18,6% გ) 84,3% დ) 118,6%

12. 2017 წელს საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შეადგენდა 999,1 ლარს, ხოლო 2010 წელს – 597,6 ლარს. რამდენი პროცენტით გაიზარდა ხელფასი 2017 წელს 2010 წელთან შედარებით?

- ა) 1,67%-ით ბ) 6,7%-ით გ) 67,2%-ით დ) 167,2%-ით

13. 2019 წელს საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შეადგენდა 1 129,5 ლარს, გამოთვალეთ რეალური ხელფასის დონე, თუ სამომხმარებლო ფასების ინდექსმა შეადგინა 107,0.

- ა) 1055,6 ლარი ბ) 1208,6 ლარი
- გ) 10,6 ლარი დ) განსაზღვრა შეუძლებელია

14. რამდენ წევრზეა დამოკიდებული ვარიაციის დიაპაზონი ?

- ა) 1 წევრზე ბ) 2 წევრზე
- გ) 4 წევრზე დ) წევრთა რაოდენობა განუსაზღვრელია

15. ვარიაციის დიაპაზონი არის:

- ა) საშუალო წრფივი გადახრა
- ბ) ნიშნის მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობებს შორის სხვაობა
- გ) ნიშნის მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის სხვაობა
- დ) საშუალო კვადრატული გადახრა

16. ვალუტის მყიდველუნარიანობის ინდექსი არის:

- ა) სამომხმარებლო ფასების შებრუნებული ინდექსი
- ბ) სამომხმარებლო ფასების ინდექსი
- გ) სამომხმარებლო ფასების საშუალო გეომეტრიული
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

17. სამომხმარებლო ფასების შებრუნებული ინდექსმა შეადგინა 1,02. გამოთვალეთ ვალუტის მყიდველუნარიანობის ინდექსი

- ა) 0,01 ბ) 0,02 გ) 0,98 დ) 1,02

18. ლარის მყიდველუნარიანობის ინდექსმა შეადგინა 0,8. რაც ნიშნავს რომ:

- ა) მიმდინარე პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით შევიძენთ 80%-ით ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას
- ბ) მიმდინარე პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით შევიძენთ 20%-ით ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას
- გ) მიმდინარე პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით შევიძენთ 20%-ით მეტ საქონელსა და მომსახურებას
- დ) მიმდინარე პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით შევიძენთ 80%-ით მეტ საქონელსა და მომსახურებას

6.6. ამოცანები თემიდან

1. მოცემულია კომპანიაში დასაქმებული ადამიანების განაწილება ხელფასების დონეების მიხედვით. გამოთვალეთ პოპულაციის სტანდარტული გადახრა

	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
ხელფასი (ათასი ლარი)	3,2	2,5	1,3	1,0

2. მომდევნო ცხრილში მოცემულია სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და ხელფასები თითოეული კატეგორიისათვის:

	დასაქმებულთა რაოდენობა	ხელფასი
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	400	1500
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	500	1000

მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	750	700
პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	2 000	500
მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	6 080	300

- ა) გამოთვალეთ საშუალო ხელფასი სახელმწიფო სექტორში;
- ბ) გამოთვალეთ სტანდარტული გადახრა;
- გ) გამოთვალეთ შერჩევის დისპერსია;
- დ) გამოთვალეთ ვარიაციის კოეფიციენტი;
- ე) მიღებული შედეგებიდან გამოიტანეთ შესაბამისი დასკვნები.

3. მოცემულია საშუალო ნომინალური ხელფასების ვარიაციული მწკრივის შემდეგი ვარიანტები: **452; 555; 630; 720; 848; 920; 1 050; 700; 800; 733; 750; 730** გამოთვალეთ ვარიაციის დიაპაზონი.

4. მოცემული დარგების საფუძველზე, გაიანგარიშეთ საშუალო ხელფასი ქვეყანაში.

დარგები	დასაქმებულთა რაოდენობა (ათასი კაცი)	ხელფასი (ლარი)
ვაჭრობა	15,0	700
მშენებლობა	35,0	650
მრეწველობა	70,0	680
სოფლის მეურნეობა	88,0	350

5. მომდევნო ცხრილში მოცემულია საშუალო თვიური ნომინალური ხელფასები წლების მიხედვით. გამოთვალეთ ჯაჭვური და საბაზისო ზრდის ტემპები.

	2014	2015	2016	2017	2018
საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი	818.0	900.4	940.0	999.1	1068.3

6. მოცემულია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასები 2006-2015 წლებში: **2006 წ. – 277,9 ლარი; 2007 წ. – 368,1 ლარი; 2008 წ. – 534,9 ლარი; 2009 წ. – 556,8 ლარი; 2010 წ. – 597,6 ლარი; 2011 წ. – 636,0 ლარი; 2012 წ. – 712,5 ლარი; 2013 წ. – 773,1 ლარი; 2014 წ. – 818,0 ლარი; 2015 წ. – 900,4 ლარი.** გამოთვალეთ აღნიშნულ პერიოდში ნომინალური ხელფასის საშუალო წლიური მატებისა და ზრდის ტემპები.

7. მომდევნო ცხრილში მოცემულია სოფლის მეურნეობის დარგებში დასაქმებულთა რიცხოვნობა და მათი საშუალო ხელფასები.

	2016 წ.		2018 წ.	
	ხელფასი	დასაქმებულები (ათასი კაცი)	ხელფასი	დასაქმებულები (ათასი კაცი)
მემცენარეობა	400	80	450	70
მეცხოველეობა	300	100	350	120
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	350	70	400	70

გამოთვალეთ:

- ა) ხელფასების ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი;**
- ბ) ხელფასების ფიქსირებული შემადგენლობის ინდექსი;**
- გ) ხელფასების სტრუქტურული შემადგენლობის ინდექსი;**
- დ) მიღებული შედეგებიდან გამოიტანეთ შესაბამისი დასკვნები.**

თემა 7

მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების სტატისტიკა

სალექციო საკითხები

1. შინამეურნეობების შემოსავლების სტატისტიკა
2. შინამეურნეობების ხარჯების სტატისტიკა
3. ტესტები

7.1. შემოსავლების სტატისტიკა

ცხოვრების დონის სტატისტიკის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს შინამეურნეობების შემოსავლები, ხარჯები და საცხოვრებელი პირობები. აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით, განისაზღვრება შინამეურნეობების – მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. კერძოდ, შინამეურნეობის მდგომარეობა შესაძლოა გაანალიზდეს სამ ქრილში: შემოსავლების მიღება (შემოსავლები), მიღებული შემოსავლების ხარჯვა (დანახარჯები) და ცხოვრების დონის მაჩვენებლების ანალიზი. უკანასკნელი გულისხმობს მოსახლეობის უზრუნველყოფას მატერიალური, სულიერი, სოციალური დოვლათითა და საცხოვრებელი პირობებით, ანუ იგივეა, რაც მოხმარების მიღწეული დონე და ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი.

შემოსავლების და ხარჯების სტატისტიკის მჭიდრო კავშირზე მიუთითებს სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტების მწარმოებლების შეხედულებები. კერძოდ, როგორც შემოსავლების, ისე დანახარჯების მიხედვით, შეიძლება სიღარიბის სტატისტიკის წარმოება. აღნიშნული ფაქტი არ არის სტატისტიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის განსაკუთრებული მიგნება, რადგან ეკონომიკური თეორიისა თუ ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების ანალიზისას მიიღება მარტივი დასკვნა: ადამიანი იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, რომელთათვისაც გასწევს ხარჯებს, ხოლო ხარჯები ფინანსდება მისი შემოსავლებით. მოსახლეობის თუ შინამეურნეობების ცხოვრების დონის შეფასება შეიძლება როგორც მათი ხარჯების მიხედვით, ისე მიღებული შემოსავლებით.

შინამეურნეობების შემოსავლები მოიცავს შინამეურნეობისა და მისი წევრების ყველა შემოსულობას გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში. მთლიანი შემოსავალი შედგება ფულადი და არაფულადი შემოსავლებისაგან.

$$\text{მთლიანი შემოსავალი} = \text{ფულადი შემოსავალი} + \text{არაფულადი შემოსავალი} \quad (1)$$

ფულადი შემოსავლები მოიცავს შემოსავლებს დაქირავებული შრომიდან, თვითდასაქმებიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, ქონების გაქი-

რავებიდან, ანაბრიდან (პროცენტი), პენსიებიდან, სტიპენდიებიდან, დახმარებებიდან, უცხოეთიდან მიღებული გზავნილებიდან და საჩუქრად მიღებული ფულიდან.

- ❖ **შემოსავლები დაქირავებული შრომიდან** – ხელფასი ან სხვა ანაზღაურება ფულით ან ნატურით, პრემიები, საჩუქრები, ერთჯერადი დახმარებები;
- ❖ **შემოსავლები თვითდასაქმებიდან** – წმინდა შემოსავალი (თვითდასაქმება – მესაკუთრის საქმიანობა, რომლის შემოსავალი დამოკიდებულია მისი მუშაობის საბოლოო შედეგებზე, მოგებაზე);
- ❖ **შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან** – საკუთარ მამულში მონეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვა;
- ❖ **შემოსავლები ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან და სხვ.)** – წილიდან, დივიდენდები აქციებიდან, პროცენტი ობლიგაციებიდან ან ანაბრებიდან, ქირა საკუთრების გაქირავებიდან;
- ❖ **უცხოეთიდან მიღებული გზავნილები** – საზღვარგარეთიდან მიღებული ფული ან გზავნილების ღირებულება;
- ❖ **ახლობლებისაგან მიღებული ფული** – სხვა შინამეურნეობების წევრებისაგან საჩუქრის ან დახმარების სახით მიღებული შემოსავალი;

არაფულადი შემოსავლები – საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული, ჰუმანიტარული დახმარებით ან ახლობლებისაგან უსასყიდლოდ მიღებული პროდუქციის ღირებულება, გამოთვლილი განსახილავი პერიოდის საშუალო ფასებით.

მთლიანი შემოსავლების გარდა, არსებობს სხვა ფულადი სახსრები, რომლებიც მოიცავს შემოსავალს ფულის სესხება/დანაზოგის გამოყენებიდან და შემოსავლებს ქონების გაყიდვიდან.

$$\text{სხვა ფულადი შემოსავლები} = \text{ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება} + \text{შემოსავლები ქონების გაყიდვიდან} \quad (2)$$

ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება – ფულის სესხება სხვა შინამეურნეობებისაგან ან ორგანიზაციისგან ან შინამეურნეობის დანაზოგის გამოყენება სამომხმარებლო ხარჯების განწვევის მიზნით;

შემოსავლები ქონების გაყიდვიდან – ბინის, აგარაკის, სხვა ნაგებობის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ავეჯის, ტანსაცმლის, მინის, პირუტყვის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები;

ამასთან, თუ ზემოთ წარმოდგენილ კატეგორიებს განვიხილავთ ფულადი და არაფულადი სახრების ჭრილში, მაშინ:

$$\text{ფულადი სახსრები} = \text{ფულად შემოსავლები} + \text{სხვა ფულადი სახსრები} \quad (3)$$

$$\text{ფულადი და არაფულადი სახსრები} = \text{ფულად შემოსავლები} + \text{არაფულადი შემოსავლები} + \text{სხვა ფულადი სახსრები} \quad (4)$$

სოციალურ სტატისტიკაში შემოსავლების სტატისტიკის აგრეგირება ხდება, როგორც წესი, სამ ჭრილში: შინამეურნეობების მთლიანი შემოსავლების მოცულობა, შემოსავლების მოცულობა ერთ შინამეურნეობაზე და შემოსავლების მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე.

საქართველოში მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკა დინამიკაში შემდეგნაირად გამოიყურება:

მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება წლების მიხედვით*

მილიონი ლარი

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
1. შემოსავლები, სულ (2+3)	395.2	494.5	542.0	595.9	636.4	711.2	814.1	904.9	951.7	1,001.2	1,016.0	1,062.0	1,132.0
2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	322.5	410.3	456.1	518.1	549.3	628.5	736.3	823.5	875.4	923.8	940.9	985.7	1,057.1
დაქირავებული შრომიდან	146.3	185.9	205.9	227.1	240.7	279.2	331.1	363.7	429.1	449.5	465.5	490.0	515.0
თვითდასაქმებიდან	47.5	58.3	60.7	61.9	59.9	75.7	80.2	83.0	90.7	92.0	104.2	112.6	120.5
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	25.9	28.4	27.4	35.5	42.9	42.4	45.4	62.2	71.4	66.8	52.0	60.7	64.2
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	4.3	3.8	7.4	8.0	6.5	5.1	8.8	10.6	10.3	12.8	11.5	14.9	13.1
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	43.6	65.5	75.9	85.4	89.4	98.1	124.7	152.6	151.4	163.2	171.3	176.0	201.3
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	19.3	21.8	25.0	27.8	30.9	30.3	36.9	39.2	30.6	31.2	36.2	42.5	49.9
საჩუქრად მიღებული ფული	35.5	46.7	53.9	72.5	78.9	97.8	109.2	112.3	91.9	108.3	100.1	89.0	93.0
3. არაფულადი შემოსავლები	72.7	84.2	85.8	77.9	87.0	82.7	77.8	81.4	76.3	77.4	75.2	76.3	74.9
4. სხვა ფულადი სახსრები	55.8	79.0	68.2	93.4	108.9	119.5	119.7	131.0	128.5	125.6	165.9	125.3	119.3
ქონების გაყიდვა	7.3	11.7	7.6	12.6	18.7	20.9	8.7	10.4	8.7	9.0	12.3	5.5	7.8
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	48.5	67.3	60.6	80.8	90.2	98.6	110.9	120.7	119.7	116.7	153.5	119.8	111.5
5. ფულადი სახსრები, სულ (2+4)	378.3	489.4	524.4	611.5	658.2	748.0	856.0	954.6	1,003.9	1,049.4	1,106.7	1,111.0	1,176.4
6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3+5)	451.0	573.6	610.2	689.3	745.2	830.7	933.7	1,035.9	1,080.2	1,126.8	1,181.9	1,187.2	1,251.3

შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით.

* 2002-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე წლების მიხედვით*

ლარი

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
1. შემოსავლები, სულ (2+3)	371.7	469.9	518.8	569.1	605.6	679.0	781.3	869.2	912.7	944.1	954.8	1,005.0	1,063.2
2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	303.3	389.9	436.6	494.7	522.8	600.0	706.6	791.1	839.5	871.1	884.2	932.8	992.9
დაქირავებული შრომიდან	137.6	176.7	197.1	216.8	229.1	266.5	317.7	349.3	411.5	423.8	437.5	463.7	483.7
თვითდასაქმებიდან	44.7	55.3	58.1	59.1	57.0	72.2	77.0	79.7	87.0	86.7	98.0	106.5	113.2
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	24.4	27.0	26.2	33.9	40.8	40.5	43.5	59.8	68.5	63.0	48.8	57.4	60.3
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	4.1	3.6	7.1	7.6	6.2	4.9	8.5	10.2	9.9	12.1	10.8	14.1	12.3
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	41.0	62.2	72.6	81.5	85.1	93.6	119.6	146.6	145.2	153.9	161.0	166.6	189.1
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	18.2	20.7	23.9	26.6	29.4	28.9	35.4	37.6	29.3	29.4	34.1	40.2	46.9
საჩუქრად მიღებული ფული	33.4	44.3	51.5	69.2	75.1	93.4	104.8	107.8	88.1	102.1	94.1	84.2	87.3
3. არაფულადი შემოსავლები	68.3	80.0	82.2	74.4	82.8	79.0	74.6	78.2	73.2	73.0	70.6	72.2	70.3
4. სხვა ფულადი სახსრები	52.4	75.1	65.3	89.2	103.6	114.1	114.9	125.9	123.2	118.5	155.9	118.5	112.1
ქონების გაყიდვა	6.8	11.1	7.3	12.0	17.8	20.0	8.4	10.0	8.4	8.5	11.6	5.2	7.3
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	45.6	64.0	58.0	77.2	85.8	94.2	106.5	115.9	114.8	110.0	144.3	113.3	104.7
5. ფულადი სახსრები, სულ (2+4)	355.8	465.0	501.9	583.9	626.4	714.2	821.5	916.9	962.7	989.6	1,040.1	1,051.3	1,105.0
6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3+5)	424.1	545.0	584.1	658.3	709.2	793.1	896.1	995.1	1,035.9	1,062.6	1,110.7	1,123.5	1,175.3

შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით.

* 2002-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ სულზე წლების მიხედვით*

ლარი

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
1. შემოსავლები, სულ (2+3)	102.0	128.5	141.5	156.8	168.6	190.2	218.9	243.5	255.7	268.5	272.7	284.7	304.0
2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	83.3	106.6	119.1	136.3	145.6	168.1	198.0	221.6	235.2	247.8	252.5	264.3	283.9
დაქირავებული შრომიდან	37.8	48.3	53.8	59.8	63.8	74.7	89.0	97.8	115.3	120.5	124.9	131.4	138.3
თვითდასაქმებიდან	12.3	15.1	15.8	16.3	15.9	20.2	21.6	22.3	24.4	24.7	28.0	30.2	32.4
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	6.7	7.4	7.2	9.3	11.4	11.3	12.2	16.7	19.2	17.9	13.9	16.3	17.2
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	1.1	1.0	1.9	2.1	1.7	1.4	2.4	2.8	2.8	3.4	3.1	4.0	3.5
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	11.3	17.0	19.8	22.5	23.7	26.2	33.5	41.1	40.7	43.8	46.0	47.2	54.1
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	5.0	5.7	6.5	7.3	8.2	8.1	9.9	10.5	8.2	8.4	9.7	11.4	13.4
საჩუქრად მიღებული ფული	9.2	12.1	14.1	19.1	20.9	26.1	29.4	30.2	24.7	29.0	26.9	23.9	25.0
3. არაფულადი შემოსავლები	18.8	21.9	22.4	20.5	23.1	22.1	20.9	21.9	20.5	20.8	20.2	20.5	20.1
4. სხვა ფულადი სახსრები	14.4	20.5	17.8	24.6	28.8	32.0	32.2	35.3	34.5	33.7	44.5	33.6	32.0
ქონების გაყიდვა	1.9	3.0	2.0	3.3	4.9	5.6	2.3	2.8	2.3	2.4	3.3	1.5	2.1
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	12.5	17.5	15.8	21.3	23.9	26.4	29.8	32.5	32.2	31.3	41.2	32.1	29.9
5. ფულადი სახსრები, სულ (2+4)	97.7	127.2	136.9	160.9	174.4	200.0	230.2	256.8	269.7	281.5	297.0	297.9	316.0
6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3+5)	116.4	149.1	159.4	181.4	197.5	222.2	251.1	278.7	290.2	302.2	317.2	318.3	336.1

შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით.

* 2002-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2019 წ.

(მილიონი ლარი)

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	აჭარის ა.რ.	გურია	სამეგრელო-ზემო სვანეთი	იმერეთი*	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	საქართველო
1. შემოსავლები, სულ (2+3)	91.6	402.1	71.8	112.1	46.8	102.2	25.4	89.7	155.5	24.3	10.7	1,132.0
2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	82.3	398.5	62.8	104.5	41.6	97.1	21.8	79.1	137.8	22.8	8.8	1,057.1
დაქირავებული შრომიდან	27.0	246.8	26.8	48.1	13.3	51.0	8.3	30.9	50.1	9.8	2.9	515.0
თვითდასაქმებიდან	8.4	42.9	8.7	14.5	3.0	15.7	2.3	8.8	13.3	2.4	0.5	120.5
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	17.3	0.5	6.1	6.4	9.4	3.7	1.7	7.4	9.6	1.3	0.9	64.2
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაზრდიდან)	0.3	7.6	0.7	0.2	0.3	2.8	0.1	0.8	0.2	0.1	0.1	13.1
პენსიები, სტიპენდიები, დანმარებები	18.4	57.2	13.8	19.9	8.2	14.7	7.1	21.0	31.3	6.2	3.4	201.3
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	3.0	8.5	1.8	6.9	4.9	2.2	0.8	3.3	17.7	0.8	0.1	49.9
საჩუქრად მიღებული ფული	7.9	34.9	4.9	8.5	2.6	7.1	1.5	6.7	15.7	2.2	1.0	93.0
3. არაფულადი შემოსავლები	9.3	3.6	8.9	7.6	5.2	5.0	3.5	10.6	17.6	1.5	1.9	74.9
4. სხვა ფულადი სახსრები	16.8	26.1	7.8	10.6	8.9	14.3	1.3	5.4	23.7	2.6	1.8	119.3
ქონების გაყიდვა	0.6	1.9	1.5	0.7	0.2	0.3	0.1	0.3	1.9	0.1	0.3	7.8
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	16.2	24.2	6.4	10.0	8.7	14.0	1.2	5.1	21.8	2.6	1.4	111.5
5. ფულადი სახსრები, სულ (2+4)	99.0	424.6	70.6	115.1	50.5	111.5	23.1	84.5	161.6	25.4	10.5	1,176.4
6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3+5)	108.3	428.2	79.6	122.7	55.7	116.5	26.6	95.1	179.2	26.9	12.4	1,251.3

შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით.

* 2011-2018 წლები მოიცავს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებს.

** მოიცავს სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს.

... მონაცემი არ არსებობს გამოკვლევის შერჩევის ზომის სიმცირის გამო. 2019 წლიდან გაიზარდა გამოკვლევის შერჩევის ზომა.

**5. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება რეგიონების მიხედვით, გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე
(ლარი)**

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	აჭარის ა.რ.	გურია	სამეგრელო-ზემო სვანეთი	იმერეთი*	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	საქართველო
2019												
1. შემოსავლები, სულ (2+3)	980.2	1,168.6	932.1	987.0	1,183.2	1,260.4	763.8	965.7	1,040.4	836.1	935.0	1,063.2
2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	880.4	1,158.1	815.9	919.9	1,052.1	1,198.5	657.2	851.5	922.5	785.0	768.1	992.9
დაქირავებული შრომიდან	288.8	717.2	348.2	423.5	335.8	628.7	249.2	333.3	335.5	338.6	253.2	483.7
თვითდასაქმებიდან	90.2	124.6	113.1	128.1	75.2	194.1	68.6	95.1	89.0	82.0	40.7	113.2
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	185.1	1.5	79.6	56.1	237.0	45.4	51.8	79.8	64.2	44.1	75.3	60.3
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	2.8	22.2	8.5	1.7	6.4	35.1	3.4	9.0	1.2	3.6	5.2	12.3
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	197.1	166.1	179.8	175.5	208.3	180.8	214.2	226.4	209.4	213.5	299.6	189.1
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	32.4	24.8	23.1	60.5	123.5	26.7	23.5	35.9	118.3	27.9	5.5	46.9
საჩუქრად მიღებული ფული	84.1	101.5	63.5	74.5	65.8	87.8	46.6	72.1	104.9	75.2	88.6	87.3
3. არაფულადი შემოსავლები	99.8	10.6	116.2	67.1	131.1	61.9	106.6	114.1	117.9	51.1	166.9	70.3
4. სხვა ფულადი სახსრები	179.5	75.9	101.4	93.7	224.8	176.8	38.8	58.4	158.7	89.8	153.5	112.1
ქონების გაყიდვა	6.0	5.5	18.9	5.9	5.3	3.6	3.2	3.7	12.9	1.8	28.0	7.3
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	173.5	70.4	82.6	87.8	219.5	173.2	35.7	54.7	145.8	88.0	125.5	104.7

5. ფულადი სახსრები, სულ (2+4)	1,059.8	1,233.9	917.3	1,013.7	1,276.8	1,375.4	696.1	909.9	1,081.2	874.8	921.7	1,105.0
6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3+5)	1,159.6	1,244.5	1,033.5	1,080.8	1,407.9	1,437.3	802.6	1,024.0	1,199.1	925.9	1,088.6	1,175.3

შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით.

* 2011-2018 წლები მოიცავს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებს.

** მოიცავს სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს.

... მონაცემი არ არსებობს გამოკვლევის შერჩევის ზომის სიმცირის გამო. 2019 წლიდან გაიზარდა გამოკვლევის შერჩევის ზომა.

შენიშვნა: 2011-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება რეგიონების მიხედვით, გაანგარიშებული ერთ სულზე, 2019 წელი
(ლარი)

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	აჭარის ა. რ.	გურია	სამეგრელო-ზემო სვანეთი	იმერეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	საქართველო
1. შემოსავლები, სულ (2+3)	293.1	343.4	278.9	258.8	303.7	292.7	231.8	283.6	312.6	259.4	359.3	304.0
2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	263.2	340.3	244.1	241.2	270.1	278.3	199.5	250.1	277.1	243.5	295.2	283.9
დაქირავებული შრომიდან	86.4	210.7	104.2	111.0	86.2	146.0	75.6	97.9	100.8	105.1	97.3	138.3
თვითდასაქმებიდან	27.0	36.6	33.9	33.6	19.3	45.1	20.8	27.9	26.7	25.4	15.6	32.4
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	55.3	0.5	23.8	14.7	60.8	10.5	15.7	23.4	19.3	13.7	28.9	17.2
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	0.8	6.5	2.6	0.5	1.6	8.1	1.0	2.6	0.4	1.1	2.0	3.5
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	58.9	48.8	53.8	46.0	53.5	42.0	65.0	66.5	62.9	66.2	115.2	54.1
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	9.7	7.3	6.9	15.9	31.7	6.2	7.1	10.5	35.5	8.7	2.1	13.4
საჩუქრად მიღებული ფული	25.2	29.8	19.0	19.5	16.9	20.4	14.1	21.2	31.5	23.3	34.1	25.0
3. არაფულადი შემოსავლები	29.8	3.1	34.8	17.6	33.7	14.4	32.3	33.5	35.4	15.9	64.1	20.1
4. სხვა ფულადი სახსრები	53.7	22.3	30.4	24.6	57.7	41.1	11.8	17.1	47.7	27.9	59.0	32.0

ქონების გაყიდვა	1.8	1.6	5.7	1.6	1.4	0.8	1.0	1.1	3.9	0.5	10.8	2.1
ფულის შესხება ან დანაზოგის გამოყენება	51.9	20.7	24.7	23.0	56.3	40.2	10.8	16.1	43.8	27.3	48.2	29.9
5. ფულადი სახსრები, სულ (2+4)	316.9	362.6	274.5	265.8	327.8	319.4	211.2	267.2	324.8	271.4	354.2	316.0
6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3+5)	346.7	365.7	309.3	283.4	361.4	333.8	243.6	300.7	360.2	287.2	418.3	336.1

შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით.

* 2011-2018 წლები მოიცავს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებს.

** მოიცავს სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს.

... მონაცემი არ არსებობს გამოკვლევის შერჩევის ზომის სიმცირის გამო. 2019 წლიდან გაიზარდა გამოკვლევის შერჩევის ზომა.

შენიშვნა: 2011-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების განაწილება წლების მიხედვით*

მილიონი ლარი

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
1. სამომხმარებლო ხარჯები, სულ (2+3)	425.5	504.0	513.6	555.4	601.2	638.5	710.0	758.6	772.5	803.5	859.6	854.5	906.6
2. სამომხმარებლო ფულადი ხარჯები	352.8	419.8	427.7	477.6	514.2	555.8	632.3	677.2	696.2	726.1	784.4	778.3	831.7
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	165.2	189.4	177.6	180.8	205.3	208.1	234.2	243.6	251.6	256.3	280.4	291.3	314.5
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	16.5	19.1	17.9	18.6	18.9	20.3	24.6	26.7	29.6	29.7	35.6	34.3	34.7
საოჯახო მოხმარების საქონელზე	13.0	14.6	13.6	17.9	19.4	22.2	28.8	31.2	34.1	30.7	34.0	31.7	29.8
ჯანმრთელობის დაცვაზე	29.0	39.2	49.7	65.9	59.5	62.5	72.5	79.7	84.6	104.1	105.7	96.9	98.3
საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე	36.5	47.5	48.3	54.7	64.9	72.7	73.4	79.1	84.8	90.8	101.7	101.2	107.1
ტრანსპორტზე	29.4	36.1	36.1	45.7	49.1	56.6	67.4	70.8	78.0	75.4	86.5	83.3	99.8
განათლებაზე	13.7	14.4	17.6	20.2	19.8	25.3	26.8	27.4	23.4	27.2	26.5	26.7	23.0
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	49.5	59.5	66.7	73.7	77.4	88.0	104.6	118.7	110.0	111.8	114.1	112.9	124.5
3. არაფულადი ხარჯები	72.7	84.2	85.8	77.9	87.0	82.7	77.8	81.4	76.3	77.4	75.2	76.3	74.9
4. არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები	56.4	77.6	78.7	98.9	126.1	168.5	208.5	251.1	287.0	306.7	303.5	310.0	313.6
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	8.6	8.9	8.1	10.2	13.6	14.8	17.9	18.5	23.7	25.9	21.6	23.5	24.9

ტრანსფერტებზე	13.5	13.6	15.2	19.3	20.3	23.6	28.0	37.7	41.4	42.6	43.1	35.8	37.5
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	23.5	34.6	40.4	45.6	55.7	102.6	127.9	156.5	190.1	201.6	205.0	214.0	218.6
ქონების შექენაზე	10.8	20.5	15.0	23.9	36.5	27.5	34.7	38.5	31.8	36.6	33.8	36.6	32.5
5. ფულადი ხარჯები, სულ (2+4)	409.2	497.4	506.4	576.5	640.3	724.2	840.8	928.3	983.2	1,032.8	1,087.9	1,088.2	1,145.3
6. ხარჯები, სულ (3+5)	481.9	581.6	592.3	654.3	727.4	806.9	918.6	1,009.7	1,059.5	1,110.2	1,163.0	1,164.5	1,220.1

შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით.

* 2002-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

შინამეურნეობების სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურა შესაბამისობაშია ხარჯების ინდივიდუალურ კლასიფიკატორთან (COICOP). "სხვა სამომხმარებლო ხარჯები" მოიცავს შინამეურნეობების ხარჯებს კავშირგაბმულობაზე (08 კატეგორია COICOP-ის მიხედვით), დასვენებაზე, გართობასა და კულტურაზე (09 კატეგორია COICOP-ის მიხედვით), სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე (11 კატეგორია COICOP-ის მიხედვით) და სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე (12 კატეგორია COICOP-ის მიხედვით).

საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე წლების მიხედვით*, ლარი

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
1. სამომხმარებლო ხარჯები, სულ (2+3)	400.2	478.8	491.6	530.4	572.2	609.6	681.4	728.7	740.8	757.7	807.8	808.7	851.5
2. სამომხმარებლო ფულადი ხარჯები	331.8	398.8	409.4	456.1	489.3	530.6	606.8	650.5	667.6	684.7	737.2	736.5	781.2
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	155.4	180.0	170.0	172.7	195.3	198.7	224.8	234.0	241.3	241.7	263.5	275.6	295.4
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	15.5	18.2	17.1	17.8	17.9	19.4	23.6	25.6	28.4	28.0	33.5	32.4	32.6
საოჯახო მოხმარების საქონელზე	12.3	13.8	13.0	17.1	18.5	21.2	27.7	30.0	32.7	29.0	31.9	30.0	28.0
ჯანმრთელობის დაცვაზე	27.3	37.2	47.6	62.9	56.7	59.7	69.6	76.6	81.1	98.1	99.3	91.7	92.3
საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტრო-ენერჯიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე	34.3	45.1	46.3	52.2	61.8	69.4	70.4	76.0	81.4	85.7	95.6	95.8	100.6
ტრანსპორტზე	27.6	34.3	34.6	43.7	46.7	54.0	64.7	68.0	74.8	71.1	81.3	78.8	93.8
განათლებაზე	12.9	13.7	16.9	19.2	18.8	24.2	25.7	26.3	22.4	25.7	25.0	25.2	21.6
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	46.6	56.6	63.9	70.4	73.7	84.0	100.4	114.1	105.5	105.4	107.2	106.8	116.9
3. არაფულადი ხარჯები	68.3	80.0	82.2	74.4	82.8	79.0	74.6	78.2	73.2	73.0	70.6	72.2	70.3
4. არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები	53.0	73.8	75.4	94.4	120.0	160.8	200.1	241.2	275.2	289.2	285.2	293.3	294.5
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	8.1	8.5	7.8	9.7	12.9	14.1	17.2	17.8	22.8	24.4	20.3	22.3	23.4
ტრანსფერტებზე	12.7	12.9	14.6	18.4	19.3	22.5	26.9	36.2	39.7	40.2	40.5	33.9	35.2
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	22.1	32.9	38.7	43.5	53.0	98.0	122.7	150.3	182.3	190.1	192.7	202.5	205.4
ქონების შექენაზე	10.1	19.5	14.3	22.8	34.7	26.2	33.3	36.9	30.5	34.5	31.8	34.7	30.6
5. ფულადი ხარჯები, სულ (2+4)	384.9	472.6	484.8	550.5	609.4	691.4	806.9	891.7	942.8	973.9	1,022.4	1,029.8	1,075.7
6. ხარჯები, სულ (3+5)	453.2	552.6	566.9	624.9	692.2	770.4	881.6	969.9	1,016.0	1,046.8	1,093.0	1,102.0	1,146.1

შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით.

* 2002-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

შინამეურნეობების სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურა შესაბამისობაშია ხარჯების ინდივიდუალურ კლასიფიკატორთან (COICOP). "სხვა სამომხმარებლო ხარჯები" მოიცავს შინამეურნეობების ხარჯებს კავშირგაბმულობაზე (08 კატეგორია COICOP-ის მიხედვით), დასვენებაზე, გართობასა და კულტურაზე (09 კატეგორია COICOP-ის მიხედვით), სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე (11 კატეგორია COICOP-ის მიხედვით) და სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე (12 კატეგორია COICOP-ის მიხედვით).

საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ერთ სულზე წლების მიხედვით* ლარი

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
1. სამომხმარებლო ხარჯები, სულ (2+3)	109.9	131.0	134.1	146.2	159.3	170.7	191.0	204.1	207.6	215.5	230.7	229.1	243.5
საქართველო	9,0	8,6	8,8	9,1	9,7	9,1	10,0	10,4	9,4	8,5	8,1	7,2	7,2	8,5	7,6

* 2004-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით
2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

8.3. ტესტები

1. გაიანგარიშეთ საარსებო მინიმუმის მნიშვნელობა შემდეგი პირობების გათვალისწინებით: სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება 150 ლარს შეადგენს, შევაჭრების კოეფიციენტი – 0.865 და არასასურსათო ხარჯების წილი საარსებო მინიმუმის 30%-ს წარმოადგენს.

ა) 38.9 ბ) 432.5 გ) 185.4 დ) 90.8

2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მინიმალურ სასურსათო კალათას ანგარიშობს:

- ა) სასურსათო კალათი ფასდება ხდება შინამეურნეობის შემოსავლების მიხედვით
- ბ) სასურსათო კალათის ფასდება ხდება შინამეურნეობის ხარჯების მიხედვით
- გ) სასურსათო კალათის ფასდება დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორით (CoiCop)
- დ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად

3. რამდენ კილოკალორიას შეადგენს საქართველოს მინიმალური სასურსათო კალათის კალორიულობა.

ა) 2300 ბ) 2400 გ) 2.3 დ) 2.4

4. საქართველოში საარსებო მინიმუმი გაიანგარიშება:

- ა) საარსებო მინიმუმის საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით
- ბ) დსთ-ს წევრი ქვეყნების მეთოდოლოგიის მიხედვით
- გ) ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით
- დ) საქართველოს კანონით საარსებო მინიმუმის გაანგარიშების შესახებ

5. მონეტარული სიღარიბის შესაფასებლად გამოიყენება:

- I – სიღარიბის დონის მაჩვენებელი
- II – სიღარიბის სიმწვავის მაჩვენებელი
- III – სიღარიბის სიღრმის მაჩვენებელი
- IV – საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი

- ა) სწორია მხოლოდ IV
- ბ) სწორია მხოლოდ I, II და III
- გ) სწორია მხოლოდ II, III და IV
- დ) სწორია I, II, III და IV

6. რომელი ფორმულით გაიანგარიშება სიღარიბის სიღრმის მნიშვნელობა:

ა) $\frac{q}{n} * 100$ ბ) $\frac{\sum_{i=1}^q (z - y_i)}{nz}$

ბ) $\frac{1}{n} \sum_{i=1}^q \left(\frac{z - y_i}{z} \right)^2$ დ) ყველა პასუხი არასწორია

7. სიღარიბის მაჩვენებლის კლასიფიკაცია საზომი ცვლადის მიხედვით შეიძლება, როგორც:

- I – მონეტარული სიღარიბის მაჩვენებლები
- II – არამონეტარული სიღარიბის მაჩვენებლები
- III – შემოსავლების მიხედვით
- IV – დანახარჯების მიხედვით
 - ა) სწორია მხოლოდ I და II
 - ბ) სწორია მხოლოდ III და IV
 - გ) სწორია მხოლოდ I, II, III და IV
 - დ) ყველა პასუხი არასწორია

თემა 9

ცხოვრების დონის ამსახველი სოციალური მაჩვენებლები: ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის სტატისტიკა

სალექციო საკითხები

1. ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები
2. სოციალური უზრუნველყოფის ძირითადი მაჩვენებლები
3. განათლების სტატისტიკა
4. კულტურის სტატისტიკა
5. კითხვები თვითშემონმებისათვის
6. ტესტები
7. ამოცანები თემიდან

9.1. ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები

განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დახმარება წარმოადგენს იმ ფაქტორთა ჯგუფს, რომელთა ურთიერთკავშირიც ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების საფუძველია. ქვეყანაში ადამიანის სრულფასოვნად განვითარებისათვის განათლების მაღალ დონესა და ჯანდაცვის გამართულ სისტემას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შეუძლებელია ადამიანმა ჯანმრთელობის გარეშე მიიღოს განათლების მაღალი დონე, ხოლო თუ ქვეყანაში არ იქნა განათლება შესაბამის დონეზე აყვანილი, მაშინ ჯანდაცვის სფეროც გაუმართავი იქნება, რაც მძიმე შედეგების მომტანი გახდება როგორც ცალკეული პიროვნებისთვის, ისე ზოგადად ქვეყნის სოციალური სფეროსთვის.

ჯანმრთელობა ხელს უწყობს პიროვნების ფიზიკურ, ხოლო განათლება კი სულიერ განვითარებას. ადამიანის სრულფასოვნებისთვის აუცილებელია როგორც ფიზიკური, ისე სულიერი განვითარება, რაც გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე კვალიფიციური სამუშაო ძალის კვლავწარმოებაზე, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, დემოგრაფიულ პროცესებზე: შობადობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, მიგრაცია.

ჯანდაცვის მაჩვენებლები საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ქვეყნებში, დაკავშირებულია გაეროს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან, საიდანაც ქვეყნები იღებენ შესაბამის ინსტრუქციებს, მითითებებს და იყენებენ საერთო მეთოდოლოგიებს.


საქართველო 1992 წლიდან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია:

- მზარდირსიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება, განსაკუთრებით კი დაბალ შემოსავლიან მოსახლეობაში;
- ჯანსაღირცხოვრების წესის დამკვიდრება და ადამიანის ჯანმრთელობისათვის იმ სახიფათო რისკფაქტორების შემცირება, რომლებიც დაკავშირებულია გარემო, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა ფაქტორებთან;
- ისეთი ჯანდაცვის სისტემების განვითარება, რომლებიც გააუმჯობესებს ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეესაბამება ხალხის მოთხოვნებს და ფინანსურადაც სამართლიანი იქნება;
- ჯანმრთელობის სექტორისათვის ინსტიტუციური გარემოს შექმნა, აგრეთვე სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და განვითარების პოლიტიკისათვის ეფექტური ჯანდაცვის მიდგომების ჩამოყალიბება.¹

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციაში ჯანმრთელობა განისაზღვრება, როგორც სრული ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ დაავადების არარსებობა.

დიაგრამა 9.1. დაბადებისას სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა და მედიანური ასაკი²



მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია დაბადებისას სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა (იხ. დიაგრამა 9.1). სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა არის წლების რაოდენობა, რომელსაც საშუალოდ იცოცხლებს ერთი ადამიანი დაბადებულთა თაობიდან იმ პირობით, რომ მოკვდაობის დონე ყოველ ასაკში დარჩება ისეთი, როგორიც არის მოცემულ პერიოდში. მოცემული მაჩვენებელი 80-იანი წლებიდან მოყოლებული მხოლოდ 1993 წელს დაეცა 70 წელზე დაბლა და შეადგინა 68.9 წელი, ვითარება უმჯო-

¹ <http://www.ungeorgia.ge/geo/>


² იხ. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, 2019, გვ. 34.

ბესდება 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ხოლო ბოლო 10 წელში აღნიშნულმა მაჩვენებელმა მოიმატა და თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას 2018 წელს მიაღწია.

სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელ ხანგრძლივობასთან ერთად ანგარიშობენ მედიანურ ასაკს, რომელიც აღნიშნავს შემდეგს: მედიანურ ასაკზე ახალგაზრდა მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის 50%-ს წარმოადგენს, ხოლო მეორე 50% მედიანურ ასაკზე უფროსია.

საქართველოში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2018 წელს შეადგენდა 74 წელს, მამაკაცებისთვის 69.7 წელს, ხოლო ქალებისთვის 78.2 წელს. მსოფლიო ქვეყნების წინასწარი შეფასებით მიღებულ მაჩვენებლებს თუ შევადარებთ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში მეტია მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე, ცხადია, მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე გავლენას ახდენს აფრიკის ქვეყნებში არსებული სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობა.

დიაგრამა 9.2. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა საქართველოში, ევროკავშირის ქვეყნებსა და მსოფლიოში, 2018 წელი



ქვეყანაში ჯანდაცვის დონეზე მიუთითებს შობადობის მაჩვენებელი. საქართველოში შობადობის კოეფიციენტი 2018 წელს შეადგინა 13.7%, ბოლო ხუთ წელში ეს მაჩვენებელი 2.6%-ით არის შემცირებული. ასევე ბოლო ხუთ წელში 13.2%-დან 12.5%-მდე შემცირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი. შესაბამისად ბუნებრივი მატებაც (სხვაობა შობადობასა და მოკვდაობას შორის) შემცირებულია და 2018 წელს შეადგინა 1.2%.

ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობას განსაზღვრავს ბუნებრივი მატებისა და მიგრაციული სალდოს ჯამი: მოსახლეობის რიცხოვნობა = დაბადებულები – გარდაცვლილები + იმიგრანტები – ემიგრანტები. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება განაპირობებს ავადობის მიზეზებით გარდაცვალების კლებასა და ემიგრაციის დონის შემცირებას. რაც შეეხება შობადობის ზრდას, ცხადია, ცხოვრების დონის ზრდა სტიმულს აჩენს შობადობის ზრდისათვის, თუმცა არა გადამწყვეტს, რადგან, მაგალითად, აფრიკაში ცხოვრების დაბალი დონის მიუხედავად, შობადობა მაინც მაღალია.

არსებობს მრავალი ფაქტორი, რომლებიც განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და აისახება ადამიანების ჯანმრთელობაზე. ესენია: სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, ბუნებრივი დარკლიმატური პირობები, ხოლო ყოველივე ამას ემატება ინდივიდუალური ქცევის თავისებურებები. სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელზე სხვადასხვა ფაქტორმა შეიძლება მოახდინოს გავლენა, თუმცა, ცხოვრების დონეზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ადამიანების ცხოვრების ხარისხი, მათ შორის საცხოვრებელი პირობებისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ქცევას, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ჯანსაღი ცხოვრების წესების დაცვასარდა მათზე ჩვევებზე უარის თქმაში.

ჯანდაცვის პირველი რიგის ამოცანებს მიეკუთვნება ასაკთან ერთად დაგროვილი ქრონიკული დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და მკურნალობა. თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე გავრცელებული დაავადებების გამოვლენა და მკურნალობა. გარდა მედიცინისა და ჯანდაცვის სისტემის განვითარებისა, საზოგადოებაში მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესების დამკვიდრება.

ჯანდაცვის სტატისტიკის ერთ-ერთ ამოცანას სწორედ ძირითადი ჯგუფების მიხედვით მოსახლეობის ავადობის შესწავლა, სიკვდილიანობის მიზეზების გამოვლენა და რეკომენდაციებისათვის შესაბამისი დასკვნების მომზადება წარმოადგენს.

2018 წელს საქართველოში ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მიხედვით 46 524 გარდაცვლილი ადამიანიდან, ყველაზე მეტი (21 549) გარდაიცვალა სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობით. წინა წელთან შედარებით აღნიშნული დაავადებით გარდაცვლილთა რაოდენობა გაიზარდა 1 690-ით. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები ყველაზე გავრცელებული დაავადებაა ქვეყანაში.

ცხრილი 9.1. სიკვდილიანობის მაჩვენებელი ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მიხედვით (2018 წელი, %)

1	სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები	46,32
2	სიმსივნეები	15,75
3	კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებით გამოვლენილი სიმპტომები, ნიშნები და გადახრები ნორმიდან, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	14,90
4	სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	7,90
5	ტრავმები, მონამვლისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი	4,33
6	საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	3,41
7	ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	1,45

8	შარდ-სასაქესო სისტემის ავადმყოფობები	1,38
9	ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობა	1,26
10	ნერვიული სისტემის ავადმყოფობები	1,12
11	სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები და იმუნური მექანიზმის ჩართვით გამოწვეული ზოგიერთი დარღვევა	1,06
12	პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა	0,64
13	თანდაყოლილი ანომალიები (განვითარების მანკები), დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	0,23
14	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	0,11
15	ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებული ქსოვილების ავადმყოფობები	0,06
16	კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები	0,04
17	ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	0,04

ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის გამართულად ფუნქციონირება, მისი ხელმისაწვდომობა და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა აუცილებელია მისი თითოეული მოქალაქის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ჯანდაცვის დონის შეფასებისას მნიშვნელოვანია ექიმთა უზრუნველყოფის მაჩვენებლის გამოთვლა (იხ. ცხრილი 9.2).

ცხრილი 9.2. ექიმთა უზრუნველყოფის მაჩვენებელი საქართველოში, 2014-2018 წლებში

	2014	2015	2016	2017	2018
ექიმების რიცხოვნობა, სულ (ათასი)	24.3	22.9	26.6	27.4	31.0
ექიმების რიცხოვნობა 100 000 მოსახლეზე	616	653	712	734	832
ექთნების რიცხოვნობა, სულ (ათასი)	15.6	16.4	17.6	18.0	18.0
ექთნების რიცხოვნობა 100 000 მოსახლეზე	420	440	472	483	483

აღამიანური რესურსების კუთხით, საქართველოში ექიმთა უზრუნველყოფის მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია ევროპის რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, მაშინ, როდესაც ექთნების რაოდენობა ერთ-ერთი დაბალია. ამასთან, შეგვიძლია გამოვთვალოთ ექიმებისა და ექთნების თანაფარდობა (1 ექიმზე – 0,6 ექთანი). აღნიშნული მაჩვენებლები შეიძლება გამოვთვალოთ რეგიონულ ჭრილშიც, თუ როგორ არის განაწილებული რეგიონებისა და ქალაქების მიხედვით, ასევე სოფლისა

და ქალაქის ქრილში, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, შევადაროთ აღნიშნული მაჩვენებლები გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით.

საავადმყოფოების რაოდენობასთან ერთად გამოითვლიან საწოლების უზრუნველყოფის მაჩვენებლებს, რომლებიც გამოითვლება ყოველ 100 000 მოსახლეზე გაანგარიშებით (იხ. ცხრილი 9.3).

ცხრილი 9.3. საავადმყოფო საწოლების რაოდენობა საქართველოში, 2014-2018 წლებში

	2014	2015	2016	2017	2018
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა, ათასი	11.7	12.8	13.8	15.1	16.0
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა 100 000 მოსახლეზე	315	344	370	405	429

აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება ქვეყანაში ეპიდსაშიშროების შემთხვევაში, რამდენად შეუძლია დარგს მიიღოს პაციენტები. ჯანდაცვის სფეროს მთელი რიგი მაჩვენებლების, მათი განაწილებისა და მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლები გამოითვლება ყოველ 1 000, 10 000 ან 100 000 მოსახლეზე გაანგარიშებით, რაც უზრუნველყოფს მათ შესადაარისობას.

9.2. სოციალური უზრუნველყოფის ძირითადი მაჩვენებლები

სოციალური პაკეტის გაცემის წესი და პირობები (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური პაკეტის მხოლოდ ფულადი გასაცემლის (შემდგომში – სოციალური პაკეტი) მოცულობას, მიმღებ პირთა წრეს, დანიშვნისა და გაცემის წესსა და პირობებს, რაც გულისხმობს სოციალური პაკეტის დანიშვნა-გაცემისათვის საჭირო მთელი ორგანიზაციული ციკლის რეგულირებას, ადგენს ადმინისტრირების ორგანოს, არეგულირებს სოციალური პაკეტის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. ეს წესი ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე, აგრეთვე სოციალური პაკეტის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.¹

სოციალური უზრუნველყოფის სტატისტიკაში წარმოდგენილია პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა და მათ შორის პენსიის მიმღებთა რიცხოვნობა.


¹ იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ, ზოგადი დებულებები

ცხრილი 9.4. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ძირითადი მაჩვენებლები, 2014-2018 წლებში


	2014	2015	2016	2017	2018
პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა, ათასი	866.2	874.9	887.3	898.1	910.0
მ. შ. პენსიის მიმღები (ასაკით პენსიონერი), ათასი	697.2	707.7	720.2	732.1	745.0

პროდუქტებზე ფასების მატება ამცირებს ნომინალური შემოსავლის მყიდველუნარიანობას. ინფლაციის გავლენის გამორიცხვა გვიჩვენებს, საბაზისო პერიოდის ფასების უცვლელად დატოვების შემთხვევაში რეალურად რა ღირებულება ექნებოდა ჩვენს შემოსავალს დღეს. თუ საბაზისო წლად ავიღებთ 2012 წელს, ვანგარიშობთ, 2012 წლის მუდმივი ფასებით რა რეალური ღირებულება ექნებოდა პენსიას ყოველ მომდევნო წელს. გამომდინარე იქიდან, რომ პენსიონერები პენსიას ყველაზე მეტად სურსათისა და მედიკამენტების შეძენაზე ხარჯავენ და სამომხმარებლო კალათაში შემავალი სხვა პროდუქტების ან ფუფუნების საგნების შეძენას ვერ ახერხებენ, ამიტომ ასეთ პროდუქტებზე ფასების მატება ვერ აისახება პენსიონერთა ცხოვრების ღირებულების განსაზღვრაში. თუ საბაზისო წლად ავიღებთ 2012 წელს, ვანგარიშობთ, 2012 წლის მუდმივი ფასებით რა რეალური ღირებულება ექნებოდა პენსიას ყოველ მომდევნო წელს.

დიაგრამა 9.3. ნომინალური პენსია საქართველოში (ლარი), 2012-2019 წლები




დიაგრამა 9.4. პენსიის რეალური ღირებულება საქართველოში 2012-2019 წლებში (2012 წლის მუდმივ ფასებში, ლარი)



დიაგრამა 9.4-ში გამოთვლილია პენსიის რეალური ღირებულება 2012 წლის მუდმივ ფასებში გადაყვანით. რაც გულისხმობს შემდეგს: თითოეული წლისათვის ჯაჭვური დინამიკური ზრდის გამოყენებით დათვლილია მოცემული წლის ფასების ინდექსი, ხოლო რეალური პენსიის მისაღებად, თითოეული წლის ნომინალური პენსიის მაჩვენებელი გაყოფილია ამავე წელს მიღებული ფასების ინდექსზე.

დიაგრამა 9.5. პენსიის დონე ნომინალური, რეალური, სურსათისა და ჯანდაცვის ჯგუფის მიხედვით (2012 წლის მუდმივ ფასებში, ლარი)



რეალური პენსიის დონე შეგვიძლია გამოვთვალოთ სურსათისა და ჯანდაცვის ჯგუფების მიმართაც. გამოთვლილი რეალური პენსიის დონე მხოლოდ სურსათის ჯგუფის მიხედვით, ნიშნავს შემდეგს: 2012 წლის შემდეგ ფასები რომ უცვლელი ყოფილიყო, რა ღირებულება ექნებოდა მომდევნო წლებში პენსიას სამომხმარებლო კალათაში შემავალი სურსათის პროდუქტების შესაძენად. ხოლო გამოთვლილი რეალური პენსიის დონე მხოლოდ ჯანდაცვის ჯგუფის მიხედვით, ნიშნავს შემდეგს: 2012 წლის შემდეგ ფასები რომ უცვლელი ყოფილიყო, რა ღირებულება ექნებოდა მომდევნო წლებში პენსიას, სამომხმარებლო კალათაში შემავალი ჯანდაცვის პროდუქტებისა და მომსახურების შესაძენად.

პენსიის ინდექსაცია ნიშნავს პენსიის რეალური ღირებულების გამოთვლას და მის საფუძველზე ნომინალური პენსიის მატებას. პენსიის ინდექსაციის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ორი მეთოდის გამოყენება: ნომინალური პენსიის ზრდა დამოკიდებული უნდა იყოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე და იზრდებოდეს ეკონომიკური ზრდის პარალელურად, ასევე, ნომინალური პენსიის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს ინფლაციის ცვლილება, რაც გულისხმობს ინფლაციის გავლენის გამორიცხვით რეალური პენსიის გამოთვლას და უნდა ეფუძნებოდეს იმ პროდუქტების მიმართ ინფლაციის დონის გამოთვლას, რომლებსაც ყველაზე მეტად მოიხმარს პენსიონერი; ასეთ ძირითად ჯგუფებს კი სურსათისა და ჯანდაცვის ჯგუფები წარმოადგენენ.

9.3. განათლების სტატისტიკა

განათლება პიროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და სხვა დანარჩენი სოციალური ფაქტორების არსებობის შემთხვევაში უმთავრესი ფაქტორიც კია საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად და სრულფასოვანი განვითარებისთვის.

განათლება ის ფაქტორია, რომელიც მოსახლეობას ჰყოფს განსხვავებულ სოციალურ შემადგენლობებად და განაპირობებს მათში სიღარიბის არსებობას. ის ასევე მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა მომავალი თაობებისთვის სიღარიბის დასაძლევად. ნაკლებად განათლებულ ადამიანს შემოსავლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობა აქვს და მით უფრო მეტადაა დაუცველი სიღარიბისგან. ამავე დროს, ღარიბ ბავშვებში დაბალია სკოლაში განათლების მიღების ხელმისაწვდომობა და მათი ოჯახები, მძიმე სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებულნი არიან, ნაკლები ხარჯი გაიღონ არასრულწლოვანთა განათლებაზე. მთელ მსოფლიოში სიღარიბის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებია იმ შინამეურნეობების წევრებში, რომლის ოჯახის უფროსსაც არ აქვს მიღებული განათლება და სიღარიბე განათლების დონის ზრდის საშუალებას უკარგავს.

საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემა რეგულირდება ძირითადად „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესებით.

კანონით, დადგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 3 სახეობა: 1. უნივერსიტეტი; 2. სასწავლო უნივერსიტეტი; 3. კოლეჯი. ამასთან, თითოეული მათგანი შეიძლება არსებობდეს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით. დღეს საქართველოში რაოდენობრივად ყველაზე გავრცელებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) ფორმით შექმნილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. შემდეგ მოდის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) ფორმით შექმნილი, ხოლო ყველაზე მცირეა არასამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით (აიპ) შექმნილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საქართველოს განათლების სისტემა მოიცავს სამ ძირითად საფეხურს:

- ზოგადი განათლება;
- პროფესიული განათლება;
- უმაღლესი განათლება.

ზოგადი განათლება გრძელდება 12 წელი და იყოფა სამ საფეხურად:

- დაწყებითი განათლება – 1-6 კლასი;
- საბაზო განათლება – 7-9 კლასი;
- საშუალო განათლება – 10-12 კლასი.

საშუალო განათლების შემდეგ სწავლა გრძელდება პროფესიულ სასწავლებლებში ან უნივერსიტეტებში.

თავის მხრივ, უმაღლესი განათლება მოიცავს სამ საფეხურს:

- ბაკალავრიატი;
- მაგისტრატურა;
- დოქტორანტიურა.

ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურები სავალდებულოა საქართველოში 6-15 წლის ასაკის ყველა ბავშვისთვის. უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება ენიჭებათ მხოლოდ სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატის მქონე მოსწავლეებს.

საქართველოში პროფესიული განათლება მოიცავს ხუთ საფეხურს: პროფესიული კოლეჯი; საზოგადოებრივი კოლეჯი; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:¹

„ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების

¹ იხ. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ

ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:

ა) ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

ბ) საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;

გ) საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან;

დ) ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვას;

ე) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების ნორმატივების დადგენას;

ვ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციულ და ფინანსურ ავტონომიას;

ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას;

თ) ინკლუზიური განათლების დანერგვას;

ი) მასწავლებელთა პროფესიის რეგულირებას¹.

თავის მხრივ, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ: აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს.²

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია:

„ა) ქართული და მსოფლიო კულტურული ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, იმ დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

¹ იხ. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=88>

² იხ. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო.

ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება და ინტერესებული პირებისათვის;

დ) სახელმწიფოს განვითარებისა და უზრუნველყოფისთვის ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება¹.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:

ა) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღია ხასიათს; სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;

ბ) უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

გ) უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციას;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარებას, რაც გულისხმობს ავტორიზაციის სისტემის, აკრედიტაციის სისტემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის (უზრუნველყოფის) მექანიზმების ფუნქციონირებას;

ე) სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში, აგრეთვე თანამშრომლობის სხვა საერთაშორისო სისტემებში სრულუფლებიან მონაწილეობას;

ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიას;

ზ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;

თ) უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;

ი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვისა და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას;

¹ იხ. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3. უმაღლესი განათლების მიზნები.

კ) სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას“.¹

განათლების სტატისტიკის მნიშვნელოვან ინფორმაციებს წარმოადგენს, აკადემიური პერსონალისა და მოსწავლე/სტუდენტების რაოდენობა. ასევე ის, თუ რამდენად უზრუნველყოფილი არიან მოსწავლეები სასწავლო დაწესებულებებითა და მასწავლებლების საკმარისი რაოდენობით, რაც საბოლოოდ განათლების ხარისხზეც აისახება. განათლების დონის შესწავლისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რიცხოვნობის სტატისტიკა დინამიკაში (ცხრილი 9.5). გამოვთვალოთ რამდენად მზარდი ან კლებადი ტენდენციით ხასიათდება, ასევე 1 000 მოსწავლეზე გაანგარიშებით მასწავლებლების რაოდენობის გამოთვლა დამატებითი მაჩვენებელია, რაც კადრების უზრუნველყოფის მაჩვენებლად შეიძლება წარმოვადგინოთ.

ცხრილი 9.5. მოსწავლეთა და პედაგოგთა რიცხოვნობა საქართველოში, 2014-2020 წლებში (სასწავლო წლის დასაწყისისათვის)

	2014/ 2015	2015/ 2016	2016/ 2017	2017/ 2018	2018/ 2019	2019/ 2020
მოსწავლეთა რიცხოვნობა, ათასი	554.0	553.9	564.7	575.2	584.4	592.9
პედაგოგების რიცხოვნობა, ათასი	67.4	66.4	65.5	66.6	67.3	63.8
პედაგოგების რიცხოვნობა, 1000 მოსწავლეზე	122	120	116	116	115	108

პედაგოგების რიცხოვნობა 1000 მოსწავლეზე ის შეფარდებითი სტატისტიკური მაჩვენებელია, რომელიც მოსწავლეების პედაგოგებით უზრუნველყოფას გვიჩვენებს. ამავე დროს, აღნიშნული მაჩვენებლის გამოთვლა დინამიკაში შედარებისა და ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნული აბსოლუტური მაჩვენებლები აღებულია სასწავლო წლის დასაწყისისათვის, ამიტომ საშუალო წლიური რიცხოვნობის გამოთვლისას ვიყენებთ ქრონოლოგიური საშუალოს ფორმულას:

$$\bar{x} = \frac{0.5x_1 + x_2 + x_3 + \dots + 0.5x_n}{n-1}$$

ჩვენს შემთხვევაში გვექნება:

$$\bar{x} = \frac{0.5 \times 554 + 553.9 + 564.7 + 575.2 + 584.4 + 0.5 \times 592.9}{6-1} = \frac{2851.7}{5} = 570.3$$

¹ იხ. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3. უმაღლესი განათლების მიზნები.

მაშასადამე, 2014-2020 წლებში მოსწავლეთა საშუალო რიცხოვნობამ შეადგინა 570 300 მოსწავლე.

ანალოგიურად შეგვიძლია გავიანგარიშოთ პედაგოგების საშუალო რიცხოვნობა, რომელიც ასევე გამოითვლება ქრონოლოგიური საშუალო არითმეტიკულით:

$$x = \frac{0.5 \times 67394 + 66373 + 65445 + 66634 + 67344 + 0.5 \times 63780}{6-1} = \frac{331383}{5} = 66276.6$$

რაც იმას ნიშნავს, რომ 2014-2020 წლებში პედაგოგების საშუალო რიცხოვნობამ 66 277 შეადგინა, ანუ ამ პერიოდში ყოველ 1 000 მოსწავლეზე 116 პედაგოგია.

ცხრილი 9.6. სტუდენტთა რიცხოვნობა სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით

სასწავლო წლის დასაწყისისთვის, კაცი	2018/2019 სასწ. წელი			2019/2020 სასწ. წელი		
	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ცეტიწინარის) პროგრამა, რეზიდენტურა	პროფესიული პროგრამა	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, დიპლომირებული მედიკოსის (ცეტიწინარის) პროგრამა, რეზიდენტურა	პროფესიული პროგრამა
სტუდენტები, სულ მათ შორის:	73 250	20 595	2 078	72 938	20 026	2 571
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	28690	4 899	364	28 626	4 746	564
მეცნიერება	16496	2 087	335	16 541	1 789	302
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	10056	883	279	9 270	1 048	452
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	8707	1 179	133	8 820	993	82
მომსახურება	3094	171	224	3 310	99	357
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 265	10 609	361	2 392	10 876	257
სოფლის მეურნეობა	2 211	366	45	2 079	214	132
განათლება	1 731	401	337	1 900	261	425

ცხრილში 9.6 მოცემულია სტუდენტთა რიცხოვნობა სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით, რაც, ერთი მხრივ, შესაძლებლობას იძლევა, წლების მიხედვით შევადაროთ სტუდენტთა რაოდენობები, რამდენად მზარდი ან კლებადია დინამიკა, ამავე დროს, სტრუქტურული შეფარდებითი სიდიდეების გამოყენებით შევადაროთ, თუ რომელ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს მეტი სტუდენტი. მაგალითად, სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართლის პროგრამაზე აბსოლუტურ მაჩვენებლებში სტუდენტების რაოდენობა მცირდება, თუმცა, შეფარდებითი სიდიდეებით, 2018/2019 წლებში აღნიშნულ პროგრამებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა 39,2% სწავლობდა, ხოლო 2019/2020 წლებში – 39,3%. მიუხედავად აბსოლუტური მაჩვენებლების კლებისა, ვხედავთ, რომ შეფარდებითი სიდიდეები თითქმის უცვლელი დარჩა, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული პროგრამის მიმართ ინტერესი არ შემცირებულა და ჩარიცხვის მაღალი დონეც უცვლელია.

ცხრილი 9.7. დოქტორანტების პროცენტული წილი სტუდენტებში

	2015	2016	2017	2018	2019	2020
სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში	124 200	132 900	140 300	143 800	147 700	148 800
დოქტორანტების რაოდენობა, ერთეული	3 410	3 765	4 076	3 977	3 512	3 976
დოქტორანტების წილი სტუდენტებში, პროცენტი	2,7	2,8	2,9	2,8	2,4	2,7

განათლების სტატისტიკის კიდევ ერთი მაჩვენებელია დოქტორანტების რაოდენობა და მათი წილი სტუდენტების მთლიან რიცხვში. შეფარდებით მაჩვენებელზე დაკვირვება

გვიჩვენებს, რომ დოქტორანტების რაოდენობა წლების განმავლობაში თითქმის ერთ დონეზეა და სტაბილური, რაც სამომავლოდ, მკვლევარ-მეცნიერების რაოდენობაზეც აისახება. საქსტატის 2019 წლის მონაცემებით, სულ 10 191 მკვლევარი აღირიცხა, საიდანაც 71,4 % დოქტორი ან მასთან გათანაბრებული მკვლევარი იყო. აქვე აღსანიშნავია, რომ ქალ მკვლევართა წილი 52,4%-ს შეადგენდა, ხოლო კაცების წილი 47,6% იყო.

განათლების სფეროში კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვთვალოთ განათლების სტატისტიკის შემდეგი მაჩვენებლები:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა;
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების განაწილება კლასების მიხედვით
3. საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა განაწილება კლასების მიხედვით;
4. პედაგოგების რაოდენობა სკოლებში;
5. სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით;

6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა კომპიუტერებითა და სხვა ტექნოლოგიებით;
7. კერძო და სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებები;
8. კერძო და სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების რიცხოვნობა;
9. კერძო და სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგების რიცხოვნობა;
10. პროფესიული განათლების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით;
11. კერძო და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა;
12. სტუდენტთა რიცხოვნობა უნივერსიტეტებისა და სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით;
13. სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა;
14. სტუდენტთა განაწილება ასაკის მიხედვით;
15. პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
16. დოქტორანტების მიღება, განაწილება და კურსდამთავრებულთა რაოდენობა პროგრამების მიხედვით;
17. მოსწავლეთა (სტუდენტთა) რიცხოვნობა 10 000 მცხოვრებზე გაანგარიშებით.

9.4. კულტურის სტატისტიკა

კულტურის სტატისტიკა შეისწავლის მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების რაოდენობას, დინამიკას. დეტალური გამოკვლევებისათვის გამოიყენება აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდეები, ვარიაციის საზომები, დროითი მწკრივების ანალიზი, შერჩევითი დაკვირვება, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

საქსტატის 2019 წლის მონაცემებით¹, საქართველოში 50 პროფესიული თეატრი ფუნქციონირებდა. აქედან, 39 ერთეული იყო დრამის, მუსიკალური კომედიისა და მინიატურების, 7 – თოჯინების, 2 – ბავშვთა და მოზარდ მაყურებელთა, ხოლო 2 ერთეული წარმოადგენდა ოპერისა და ბალეტის თეატრს.

საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას და ითვალისწინებს ქართული ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და კულტურის სფეროში მსოფლიოს ცივილიზებული ერების გამოცდილებას. „საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, კანონი „კულტურის შესახებ“ აკისრებს სახელმწიფოს, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავე-

¹ იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, კულტურის სტატისტიკა 2019.

ბასა და გაფართოებას, შემოქმედებით ინტეგრაციას. საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ კულტურის სფეროში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ჩამოყალიბებასთან ერთად, განსაზღვრავს თითოეული მოქალაქის ვალდებულებას კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და დაცვის საქმეში“.¹

„საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ კულტურის სფეროს პრიორიტეტულობის, მისი უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ავალეებს სახელმწიფოს, ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებს გაუწიონ მაქსიმალური ფინანსური და სხვა სახის მატერიალურ-ტექნიკური დახმარება კულტურის ყველა დარგს. საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ არეგულირებს კულტურის სფეროში სახელმწიფოს, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობებს, მათ შორის სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ურთიერთობებს, ამ ურთიერთობათა ძირითად პრინციპებსა და თავისებურებებს“.

ამავე დროს, საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეების უფლებას, მონაწილეობა მიიღონ კულტურულ მოღვაწეობაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, ამასთან ერთად აქვთ სახელოვნებო განათლების მიღების შეუზღუდავი უფლება.

სახელმწიფო აწარმოებს ოფიციალურ სტატისტიკას კულტურის სფეროში და ვალდებულია უზრუნველყოს სტატისტიკის მართებულობა, დროულობა და საჯაროობა. კულტურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საქმიანობის კოორდინაციას და ამ საქმიანობით დაკავებულ იურიდიულ პირთა სახელმწიფო აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

კულტურის სტატისტიკა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

1. ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და თეატრების რაოდენობა ქვეყნისა და რეგიონების მიხედვით;
2. ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და თეატრების რაოდენობა;
3. ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და თეატრების დამთვალიერებელთა და მაყურებელთა რაოდენობა;
4. წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების გამოცემა;
5. მუზეუმებში ექსპონატების რაოდენობა.

ცხრილი 9.8. მუზეუმების რაოდენობა 2014-2019 წლებში²

	2014	2015	2016	2017	2018	2019
მუზეუმების რაოდენობა	193	207	219	241	248	253
დამთვალიერებელთა რიცხვი, ათასი	1065.8	1335.9	1674.9	1910.0	2114.7	2253.2
მუზეუმების რაოდენობა 100 000 მოსახლეზე	5,2	5,6	5,9	6,5	6,7	6,8

¹ იხ. საქართველოს კანონი კულტურის შესახებ

² წყარო: საქსტატი – <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/615/kultura>

ცხრილში 9.8 მოცემულია მუზეუმებისა და დამთვალიერებლების ყოველწლიური მაჩვენებლები, რის საფუძველზეც შეგვიძლია წარმოვადგინოთ მისი დინამიკური ანალიზი, ჯაჭვური და საბაზისო მატების ტემპები, დამთვალიერებელთა საშუალო რიცხოვნობა, ასევე გამოვთვალოთ, საშუალოდ რამდენი დამთვალიერებელი სტუმრობს ერთ მუზეუმს, ხოლო ყოველ 100 000 კაცზე გაანგარიშებით განვიხილავთ მუზეუმების პოტენციური დატვირთვისა და მომსახურების მაჩვენებლებს, ხოლო დინამიკური დაკვირვებით ვზომავთ აღნიშნული მაჩვენებლების მატებას ან კლებას დროის გარკვეულ პერიოდში.

2019 წელს მოქმედი მუზეუმების 23.7 პროცენტი (60 ერთეული) ქ. თბილისშია განთავსებული, 15 პროცენტი (38 ერთეული) იმერეთის რეგიონში, 13.4 პროცენტი (34 ერთეული) კახეთში.

ცხრილი 9.9. პროფესიული თეატრების სტატისტიკა ¹

	2014	2015	2016	2017	2018	2019
პროფესიული თეატრები, სულ	49	49	49	49	49	50
მათ შორის:						
ოპერისა და ბალეტის	2	2	2	2	2	2
დრამის, მუსიკალური კომედიისა და მინიატურების	38	38	38	38	38	39
ბავშვთა და მოზარდ მაყურებელთა	2	2	2	2	2	2
თოჯინების	7	7	7	7	7	7
ჩატარებული სპექტაკლების (წარმოდგენების) რაოდენობა, სულ	4 433	4 724	4 679	4 827	4 764	4 887
მაყურებელთა რაოდენობა სულ, ათასი	486,9	554,5	601,8	576,8	582,7	614,6
მაყურებელთა რაოდენობა საშუალოდ ერთ სპექტაკლზე	110	117	129	119	122	126
საზღვარგარეთ გასტროლების დროს სპექტაკლების (წარმოდგენების) რაოდენობა, სულ	142	135	160	203	143	159

თეატრების სტატისტიკა შეიძლება წარმოვადგინოთ ისეთი მაჩვენებლებით (ცხრილი 9.9), როგორებიცაა: ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა, მაყურებელთა რაოდენობა, მაყურებელთა რაოდენობა საშუალოდ ერთ სპექტაკლზე და სხვ.

რეგიონების მიხედვით სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოდგენა საშუალებას იძლევა, შევადაროთ ამ რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონე, განათლებისა თუ კულტურის მახასიათებელი მაჩვენებლები და ა. შ.

¹ წყარო: საქსტატი – <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/615/kultura>

ცხრილი 9.10. პროფესიული თეატრების რაოდენობა რეგიონების მიხედვით¹

	2014	2015	2016	2017	2018	2019
საქართველო, სულ	49	49	49	49	49	50
ქ. თბილისი	23	24	24	24	24	25
აფხაზეთის ა. რ.	2	2	2	2	2	2
აჭარის ა. რ.	3	3	3	3	3	3
გურია	1	1	1	1	1	1
იმერეთი	9	8	8	8	8	8
კახეთი	2	2	2	2	2	2
სამეგრელო-ზემოსვანეთი	3	3	3	3	3	3
სამცხე-ჯავახეთი	3	3	3	3	3	3
ქვემო ქართლი	2	2	2	2	2	2
შიდა ქართლი	1	1	1	1	1	1

ცხრილში 9.10 წარმოდგენილია პროფესიული თეატრების განაწილება რეგიონების მიხედვით. აქ თვალშისაცემია თბილისში წარმოდგენილი თეატრების აბსოლუტური მაჩვენებლის მეტობა დანარჩენ რეგიონებთან შედარებით. თუმცა, მსგავს შემთხვევაში პირდაპირ აბსოლუტური მაჩვენებლების შედარებითა ანალიზმა შეიძლება არ მოგვცეს სრული სურათი, რისთვისაც საჭიროა დამატებითი მაჩვენებლების გამოყენება ანალიზში. ჩვენს შემთხვევაში, როცა ვადარებთ პროფესიული თეატრების რაოდენობებს რეგიონების მიხედვით, უნდა გავითვალისწინოთ აღნიშნული ტერიტორიული ერთეულების სიდიდე და იქ მცხოვრები მოსახლეობის რიცხოვნობა, რაც გვიჩვენებს, თუ რამდენად საკმარისია თეატრების რაოდენობა და მოსახლეობის რა რაოდენობის უზრუნველყოფას ახერხებს ის.

მაგალითისათვის ავიღოთ 2019 წლის სტატისტიკური მაჩვენებლები (ცხრილი 9.11), რომელშიც დავითვლით, რამდენი პროფესიული თეატრია ყოველ 100 000 კაცზე.

ცხრილი 9.11. პროფესიული თეატრების რაოდენობის განაწილება 100 000 კაცზე, 2019 წელი

	პროფესიული თეატრების რაოდენობა	მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი)	პროფესიული თეატრების რაოდენობა 100 000 მოსახლეზე
ქ. თბილისი	25	1 171,1	4,3
აჭარის ა. რ.	3	349,0	14,3
გურია	1	109,4	45,7
იმერეთი	8	497,4	10,1

¹ წყარო: საქსტატი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/615/kultura>

კახეთი	2	312,5	16,0
სამეგრელო-ზემოსვანეთი	3	316,2	15,8
სამცხე-ჯავახეთი	3	154,1	32,4
ქვემო ქართლი	2	433,2	11,5
შიდა ქართლი	1	257,3	19,4
სულ	48	3 723,5	1,34

თეატრების 100 000 ადამიანზე განაწილების დასათვლელად შეგვიძლია გამოვიყენოთ პროპორცია:

48 პროფესიული თეატრი – 3 723 500 ადამიანი

X პროფესიული თეატრი – 100 000 ადამიანი,

სადაც $X = 1,29$ პროფესიული თეატრი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ყოველ 100 000 ადამიანზე 1,29 პროფესიული თეატრი მოდის. ანალოგიური გაანგარიშებები შესაძლებელია ჩავატაროთ წინა წლებისთვისაც, რაც დინამიკაში აღნიშნული მაჩვენებლების შედარებისა და შესაბამისი ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

რეგიონების მიხედვით ანალიზისას ვხედავთ, რომ თბილისის აბსოლუტური მაჩვენებელი მკვეთრად აღემატება დანარჩენი რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებს. შეფარდებითი მაჩვენებლის შემთხვევაში კი მივიღეთ საპირისპირო სურათი. თუმცა, ანალიზისას მხოლოდ ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობა არ გამოდგება სრულფასოვანი სურათის მისაღებად. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მოსახლეობის მოთხოვნა და თეატრებში ვიზიტების მაჩვენებლები, რაც მოგვცემს დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნა.

რაც შეეხება კონკრეტულად ერთი წლისათვის ანალიზს, 2019 წლისათვის თუ გავიანგარიშებთ ვარიაციის დიაპაზონს, ვნახავთ, რომ მაქსიმალურ და მინიმალურ წევრებს შორის დიდი სხვაობაა, რაც, ცხადია, თბილისის მაღალი მაჩვენებლით არის გამოწვეული.

$$R = X_{\max} - X_{\min} = 25 - 1 = 24.$$

ვარიაციის ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელი, სტანდარტული გადახრა, გვიჩვენებს საშუალო სიდიდიდან დანარჩენი ვარიანტების გადახრების საშუალოს. მაშასადამე, ჯერ უნდა გავიანგარიშოთ საშუალო არითმეტიკული. ჩვენი მაგალითის შემთხვევაში იგი ტოლი იქნება:

$$\bar{x} = \frac{48}{9} = 5.3.$$

სტანდარტული გადახრა შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum (x - \bar{x})^2}{n}}$$

სათანადო მნიშვნელობების შეტანით მივიღებთ:

$$\begin{aligned}\sigma &= \sqrt{\frac{(25-5.3)^2 + (3-5.3)^2 + (1-5.3)^2 + (8-5.3)^2 + (2-5.3)^2 + (3-5.3)^2 + (3-5.3)^2 + (2-5.3)^2 + (1-5.3)^2}{9}} = \\ &= \sqrt{\frac{388.09 + 5.29 + 18.49 + 7.29 + 10.89 + 5.29 + 5.29 + 10.89 + 18.49}{9}} = \\ &= \sqrt{\frac{470.01}{9}} = \sqrt{52.27} = 7.23.\end{aligned}$$

ასევე, შეგვიძლია გამოვთვალოთ შენონილი სტანდარტული გადახრა; ამ შემთხვევაში, შესაბამისი ფორმულა და გაანგარიშების პროცედურა ჩაინერება შემდეგი სახით:

$$\begin{aligned}\sigma &= \sqrt{\frac{\sum (x - \bar{x})^2 f}{\sum f}} \\ \sigma &= \sqrt{\frac{(25-5.3)^2 + (3-5.3)^2 * 3 + (1-5.3)^2 * 2 + (2-5.3)^2 * 2 + (8-5.3)^2}{1+3+2+2+1}} = \\ &= \sqrt{\frac{47001}{9}} = 7.23\end{aligned}$$

რაც გვიჩვენებს, რომ საშუალო სიდიდიდან, 5,3 პროფესიული თეატრი, დანარჩენი რეგიონების თეატრების რაოდენობები საშუალოდ დაშორებულნი არიან 7,23-ით.

მოცემულ დარგში სხვადასხვა სახის მომსახურება შედის სამომხმარებლო კალათაში, შესაბამისად, მათი ფასების ცვლილებები შეგვიძლია განვიხილოთ დინამიკაში. მაგალითად, 2020 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გვაქვს შემდეგი სახის ინფლაციის მაჩვენებლები: დასწრება კინოსეანსზე 0,35%; დასწრება სპექტაკლზე 0,75%; მუზეუმის ბილეთი 14,97%; წიგნი 2,35%; გაზეთი 0,09%; ჟურნალი 1,26%; საბავშვო ბალის გადასახდელი 5,7%; სკოლა-ლიცეუმის გადასახდელი 4,3%; უმაღლესი სასწავლებლის გადასახდელი 0,28%.

9.5. კითხვები თვითშემოწმებისათვის

1. რომელი წლიდან არის საქართველო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა?
2. განიხილეთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები.
3. განიხილეთ სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის ტენდენციები საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყნებში.

4. როგორ გამოვთვალოთ ექიმთა უზრუნველყოფის მაჩვენებლები? რომელ სტატისტიკურ სიდიდეებს მიეკუთვნება აღნიშნული მაჩვენებელი?
5. რას ნიშნავს პენსიის ინდექსაცია?
6. რის საფუძველზე ხდება უმაღლესი განათლების სისტემის რეგულირება საქართველოში?
7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რამდენი სახეობაა დადგენილი განათლების კანონით?
8. რას შეისწავლის კულტურის სტატისტიკა და რა მაჩვენებლებით წარმოვადგენთ?
9. რა პრაქტიკულ მნიშვნელობა ატარებს ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის სტატისტიკის წარმოება ქვეყანაში?

9.6. ტესტები

1. რას ნიშნავს სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა?

- ა) წლების რაოდენობა, რომელსაც საშუალოდ იცოცხლებს ერთი ადამიანი დაბადებულთა თაობიდან იმ პირობით, რომ შობადობის დონე ყოველ ასაკში დარჩება ისეთი, როგორიც არის მოცემულ პერიოდში
- ბ) წლების რაოდენობა, რომელსაც საშუალოდ იცოცხლებს ერთი ადამიანი დაბადებულთა თაობიდან იმ პირობით, რომ მოკვდაობის დონე ყოველ ასაკში დარჩება ისეთი, როგორიც არის მოცემულ პერიოდში
- გ) ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების საშუალო ასაკი, იმის გათვალისწინებით, რომ მოკვდაობის დონე ყოველ ასაკში დარჩება ისეთი, როგორიც არის მოცემულ პერიოდში
- დ) წლების რაოდენობა, რომელსაც საშუალოდ იცოცხლებს ერთი ადამიანი დაბადებულთა თაობიდან იმ პირობით, რომ მიგრაციის დონე ყოველ ასაკში დარჩება ისეთი, როგორიც არის მოცემულ პერიოდში

2. მედიანური ასაკი არის:

- ა) ის ასაკი, რომელზე ახალგაზრდა მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის 50%-ს წარმოადგენს, ხოლო მეორე 50% მედიანურ ასაკზე უფროსია
- ბ) ის ასაკი, რომელზე ახალგაზრდა მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის 50%-ს წარმოადგენს
- გ) სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის 50%
- დ) პოპულაციაში ყველაზე მეტად გავრცელებული ასაკი

3. ჯანდაცვის მაჩვენებლები შეიძლება გამოვითვალოთ:

- ა) ასაკის მიხედვით ბ) სქესის მიხედვით
- გ) რეგიონების მიხედვით დ) ყველა პასუხი სწორია

4. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება განათლების სტატისტიკის მაჩვენებლებს?

- ა) პედაგოგების რაოდენობა სკოლებში
- ბ) პროფესიული განათლების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით
- გ) წიგნების, ჟურნალების და გაზეთების გამოცემა
- დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა

5. ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება კულტურის სტატისტიკის მაჩვენებლებს?

- ა) ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და თეატრების რაოდენობა
- ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა
- გ) წიგნების, ჟურნალების და გაზეთების გამოცემა
- დ) მუზეუმებში ექსპონატების რაოდენობა

9.7. ამოცანები თემიდან

1. შეადარეთ საქართველოში სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა და მედიანური ასაკი 2009-2018 წლებში.

2. შერჩევითი დაკვირვების შედეგად მოცემულია 20 ადამიანის ასაკი: 15; 15; 16; 18; 20; 35; 42; 37; 26; 28; 30; 42; 55; 65; 72; 18; 36; 29; 33; 34.

გამოთვალეთ მედიანური ასაკი შერჩევის ერთობლიობისათვის.

3. ექიმების რიცხოვნობამ 2017 წელს შეადგინა 27.4 ათასი, იმავე წელს მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა იყო 3 728,0 ათასი კაცი.

გამოთვალეთ ექიმების რიცხოვნობა 100 000 მოსახლეზე.

4. ნომინალურმა პენსიამ 2019 წელს შეადგინა 200 ლარი, 2015-2019 წლებში სამომხმარებლო ფასების ინდექსი იყო: 2015 – 104,9; 2016 – 101,8; 2017-106,7; 2018 – 101,5; 2019 – 107,0.

გამოთვალეთ 2019 წლის რეალური პენსიის დონე 2015 წლის მუდმივ ფასებში გადაყვანით.

5. სასწავლო წლის დასაწყისისათვის მოცემული გვაქვს პედაგოგების რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

	2015/ 2016	2016/ 2017	2017/ 2018	2018/ 2019	2019/ 2020
პედაგოგები – სულ					
სასწავლო წლის დასაწყისისათვის	66 373	65 445	66 634	67 344	63 780

გამოთვალეთ პედაგოგების საშუალო წლიური რიცხოვნობა 2015/2020 სასწავლო წლებში.

თემა 10

სამართალდარღვევისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ურთიერთკავშირის სტატისტიკური ანალიზი

სალექციო საკითხები

1. სამართლის სტატისტიკური შესწავლის მნიშვნელობა და ამოცანები;
2. სისხლის სამართლის სტატისტიკა;
3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკური მაჩვენებლები;
4. კითხვები თვითშემონებისთვის;
5. ტესტები
6. ამოცანები თემიდან

10.1. სამართლის სტატისტიკური შესწავლის მნიშვნელობა და ამოცანები

სტატისტიკური მეთოდების ცოდნა, სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და მათი ანალიზი იურისტებს, იურიდიულ სფეროში მომუშავე ადამიანებს თუ სამართლებრივი საკითხებით დაინტერესებულ პირებს ეხმარება დეტალურად შეისწავლონ სამართლებრივი საკითხები, უზრუნველყონ მაჩვენებლების შესადარისობა, ჩაატარონ დროითი და ტერიტორიული ანალიზი და გამოკვეთონ ძირითადი ტენდენციები, შერჩევითი დაკვირვების მეთოდების გამოყენებით განახორციელონ რეპრეზენტატული შერჩევა და მიღებულ შედეგებზე გააკეთონ სწორი დასკვნები, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საშუალებით გამოკვეთონ დამოკიდებული და დამოუკიდებელი ფაქტორები, შეისწავლონ ცვლადებს შორის დამოკიდებულებები და გავლენები, გაიანგარიშონ პროგნოზები და შეიმუშაონ ზუსტი სტრატეგიები.

იურიდიული სტატისტიკის მნიშვნელობაზე მიუთითებს ერთ-ერთი მაგალითი: 2015 წლის 3 დეკემბერს ამერიკულმა იურიდიული კვლევების კომპანია LexisNexis-მა¹, რომელიც აგრეთვე ატარებს ბიზნესის კვლევასა და მომხმარებლებს სთავაზობს რისკების მართვის მომსახურებას, წარმოადგინა სასამართლო პროცესების შესახებ ახალი მონაცემები. აღნიშნულმა მასალებმა ადვოკატებს შესაძლებლობა მისცა წინასწარ გაეკეთებინათ პროგნოზები იურიდიული შეთანხმებებისა და პატენტუნარიანობის კრიტერიუმების შესახებ. სტატისტიკური მონაცემების განხილვა ყოველდღიურ პრაქტიკაში და სასამართლო საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებები იურისტებს დაეხმარება მიიღონ მათ სფეროში არსებული სრული სურათი, რითაც სამომავლოდ გაზრდიან წარმატების მიღწევის შანსებს.

¹ Statistics and Law Practice – Janice Arellano, practice points.

„იურიდიულ სტატისტიკას გააჩნია ორი მეცნიერული დასაბუთება: ერთი მხრივ, სტატისტიკის ზოგადი თეორია და, მეორეს მხრივ – სამართალმცოდნეობა, როგორც იურიდიული მეცნიერებების ერთობლიობა.

იურიდიული სტატისტიკა, როგორც მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა, დროისა და სივრცის კონკრეტულ მონაკვეთში შეისწავლის მასობრივი სამართლებრივი და იურიდიულად მნიშვნელოვანი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს, მათ თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში.

იურიდიული სტატისტიკის საგანს წარმოადგენს სამართლით რეგულირებადი, სტატისტიკური ასახვის მქონე ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა ასპექტი, ხოლო შესწავლის ობიექტია დამნაშავეობის, ნასამართლეობის და სახელმწიფო ორგანოების მიერ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, დანაშაულებების თავიდან აცილების, დამნაშავეთა რესოციალიზაციის საქმიანობების რაოდენობრივი მხარე“.¹

ქვეყანაში სამართლის სტატისტიკის წარმოება უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი პრინციპების დაცვით:²

- სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებასთან დაკავშირებით შემუშავებული უნდა იყოს ერთიანი, კონსოლიდირებული სახელმძღვანელო დოკუმენტი;
- სტატისტიკურ-ანალიტიკური კვლევების წარმოება უნდა იყოს გამჭვირვალე და ზუსტად პასუხობდეს თუ რა მიზნებსა და საჭიროებებს ემსახურება;
- სოციოლოგიური გამოკითხვებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის მახასიათებელ ფაქტორებს და ფსიქოლოგიურად მგრძობიარე საკითხებს;
- სამართლის სტატისტიკის მაჩვენებლების გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი უწყებებმა უნდა უზრუნველყონ დანაშაულის სტატისტიკის დამუშავებული ინფორმაციის დროული გამოქვეყნება და საჯაროობა. მონაცემთა შენახვა-დაარქივება უნდა განისაზღვროს მკაცრი რეგლამენტით;
- რეგულირებული უნდა იყოს სხვადასხვა კატეგორიის მონაცემის შენახვის ვადები და შენახვის პროცედურები. ასევე, დაარქივების შემდეგ დაცულ მონაცემებზე დაშვების პროცედურების მკაცრად განერა;
- ბოლოს კი გაცემული უნდა იყოს საკანონმდებლო გარანტიები მონაცემთა ბაზებზე არამიზნობრივი ნვდომის აღსაკვეთად.

სტატისტიკურ ანალიზს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალური პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის ხელსაყრელი გზების მოსაძიებლად. „გაეროს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შეფასების სახელმძღვანელო დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია შემდეგი სახის სტატისტიკური მონაცემების წარმოებაზე“: ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის რაოდენობა და კატეგორია; პოლიციის წინააღმდეგ წარდგენილი განცხადებების/საჩივრების შესახებ სტატისტიკური მონაცემები; პოლიციის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შესახებ

¹ იხ. ქ. მარშავა, მ. მინდორაშვილი. იურიდიული სტატისტიკა /თეორია პრაქტიკა ანალიზი/, თბ., 2011.

² იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ანგარიში.

სტატისტიკური მონაცემები. მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების სტატისტიკა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რაც, ერთის მხრივ სამართლებრივი სტატისტიკის ასაკობრივ ძირში შედარებას უზრუნველყოფს, ხოლო, მეორეს მხრივ, ბავშვებს შორის კრიმინალის გავრცელების ტენდენციას გვიჩვენებს, რაც განსაკუთრებით პრობლემური საკითხია.

საქართველოში 2010 წლის მაისიდან ყოველთვიურად ხორციელდება სტატისტიკური ანგარიშგება.

სამართლის სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელი უწყებებია: შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, სასამართლო, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ყოველთვიურად აწვდიან სტატისტიკურ ანგარიშს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, რომელიც, თავის მხრივ, ატარებს მიღებული მაჩვენებლების სისტემურ ანალიზს და აქვეყნებს ოფიციალურ ვებ გვერდზე.¹

ოფიციალური სტატისტიკა უნდა იყოს საჯარო, სტატისტიკური კვლევის ანგარიშები უნდა ქვეყნდებოდეს რეგულარულად და პერიოდულობის მკაცრი დაცვით. სტატისტიკურ ანალიზს უნდა ერთოდეს მეთოდოლოგიური განმარტებები, რაც უზრუნველყოფს გამოქვეყნებული მაჩვენებლების სწორ აღქმასა და მართებულ ანალიზს. სამართლის სტატისტიკას უნდა აქვეყნებდეს დამოუკიდებელი სამსახური, რაც გაზრდის გამოქვეყნებული მონაცემების ობიექტურობისა და სანდოობის ხარისხს მოსახლეობაში.

2013 წლამდე საქართველოში დანაშაულის სტატისტიკის დათვლა წარმოებდა ძველი მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომლის მიხედვითაც, წარმოებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეები, მიუხედავად შეწყვეტის საფუძვლისა, სტატისტიკურ მონაცემებში არ აისახებოდა. 2013 წელს შემუშავებული მეთოდოლოგიით, ნებისმიერი ისეთი საფუძვლით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დანაშაულს არ გამორიცხავს (პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, განრიდება, მედიაცია, ქმედითი მონანიება, ბრალის არარსებობა...), მიმდინარე კონსოლიდირებული სტატისტიკური ანგარიშისთვის უკვე წარმოადგენს სააღრიცხვო ობიექტს და ელექტრონულ სისტემაში გახსნილად აისახება.²

IDFI-ს 2020 წლის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკის მიმოხილვაშირსაჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებლების უმაღლესი (100%) შედეგი მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაწესებულ მოთხოვნებს. ხოლო საჯარო ინფორმაციის გვერდზე დოკუმენტაციას აქვეყნებს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.

¹ იხ. ეკატერინე გლოველი. სისხლის სამართლის დანაშაულთა სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება საქართველოში. ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2014, გვ. 10 და 34.


² იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ანგარიში, გვ. 22 და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი № 2462280.

10.2. სისხლის სამართლის სტატისტიკა

სისხლის სამართალს გააჩნია საკანონმდებლო და დოქტრინალური წყაროები. საკანონმდებლო წყაროს წარმოადგენს უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონები (სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა), რომლებიც არეგულირებს სისხლის სამართლის საკითხებს, ხოლო დოქტრინალური წყაროებია: დისერტაციები, კვლევითი ნაშრომები და თეორიები, რომლებიც ატარებს დოქტრინალურ ხასიათს და არ წარმოადგენს სავალდებულო ხასიათის დოკუმენტებს.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლის სამართლებრივ ღონისძიებას. ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“.¹

დიაგრამა 10.1. რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა, 2015-2019 წლებში²




დიაგრამა 10.1-ში მოცემულია რეგისტრირებული დანაშაულებების რაოდენობა დინამიკაში, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, დავაკვირდეთ ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობის ცვლილებას. სტრუქტურული ანალიზისას დანაშაულებების საერთო დონიდან გამოყოფენ დანაშაულებების შემდეგ სახეებს: მძიმე დანაშაული;

¹ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, კარი პირველი, თავი I, მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მისი მიზანი.

² წყარო: საქსტატი – <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika>.

განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა; ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება; გაუპატიურება; ძარცვა; ყაჩაღობა; ქურდობა; ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა; ხულიგნობა; ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი; არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული (ცხრილი 10.1). აღნიშნულის სტრუქტურული გაანალიზება გვეხმარება დავადგინოთ დანაშაულის სახეები, რა ძირითადი სოციალური და კრიმინოგენული პრობლემებია ქვეყანაში. ასევე, მსჯავრდებულთა შემადგენლობას განიხილავენ ასაკისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა 10.2. დაზარალებულთა რაოდენობა 2015-2019 წლებში



დანაშაულის რეგისტრაციისა და მსჯავრდებულთა სტატისტიკის პრაქტიკულად მნიშვნელოვანია დაზარალებულთა სტატისტიკის წარმოებაც, ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულებები იწვევს სხვა ადამიანების დაზარალებას დაწყებული მორალური მდგომარეობიდან, დამთავრებული ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი, სიცოცხლის მოსპობით, ამიტომაც, გარდა დანაშაულისა და დამნაშავეების სტატისტიკისა, სახელმწიფომ უნდა იცოდეს დაზარალებულებისა და მათთვის მიყენებული ზარალის შესახებ.

ცხრილი 10.1. მსჯავრდებულთა პროცენტული განაწილება დანაშაულის სახეების მიხედვით, 2019 წელი

დანაშაულის სახე	პროცენტობით ჯამთან
ქურდობა	17,2
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	12,2
ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა	4,0

ძარცვა	1,3
ყაჩაღობა	0,9
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	0,5
განზრახ მკვლელობა	0,4
ხულიგნობა	0,3
განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში	0,3
გაუპატიურება	0,1
სხვა დანაშაული	62,8
მსჯავრდებულთა რაოდენობა, სულ	100

დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისას, მნიშვნელოვანია დანაშაულის სახეების გამოყოფა და მათი დამოუკიდებლად შესწავლა, დანაშაულების გამოწვევის მიზეზების განხილვა და მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება. როგორც ცხრილი 10.1-დან ჩანს, საქართველოში დანაშაულების სახეებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი წონა ქურდობასა და ნარკოტიკებთან დაკავშირებულ კანონდარღვევებს უჭირავს.

ლათენტური ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გამოუმჟღავნებელს, ფარულს. სამართალდამცავ ორგანოებში აღურიცხავ, მაგრამ ფაქტობრივად არსებულ რეალურ დანაშაულებს კრიმინოლოგიაში ლატენტურ დანაშაულებს უწოდებენ. ლატენტურობის დონის მიხედვით გამოყოფენ: მინიმალურ, საშუალო და მაქსიმალურ ლატენტურ დანაშაულებს.¹ ლატენტური დანაშაულის განხილვისას, ყველაზე დიდი წილით ოჯახური ძალადობის გაუმჟღავნებლობა წარმოადგენს, ასევე სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის ქვეყანაში არის მენტალური, ფსიქოლოგიური და სხვა სოციალური ფაქტორების შედეგად გაუმჟღავნებელი დანაშაულებები. დანაშაულის შეუტყობინებლობაც დამნაშავეთათვის ხელშეწყობაა და მაღავს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს. კრიმინოგენული მდგომარეობის დახასიათებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულებათა გახსნის სტატისტიკის წარმოებას, რაც სამართალდამცავებისა და კანონის ეფექტიანად მუშაობის ხარისხზე მიუთითებს.

10.3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკური მაჩვენებლები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველ მუხლში ვკითხულობთ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კანონმდებლობის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა.

¹ იხ. ქ. მარშავა, მ. მინდორაშვილი. იურიდიული სტატისტიკა /თეორია, პრაქტიკა, ანალიზი/, თბ., 2011, გვ. 84.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მოქმედებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქცია. ეს ინსტრუქცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის შესაბამისად, ანესრიგებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (შემდგომში – სამინისტრო) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის წესს მათი გამოვლენის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის და საქმეზე დადგენილების გამოტანის სტადიიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოსათვის (შემდგომში – ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველო) მიწოდებისთანავე, აგრეთვე ინფორმაციის დამუშავებას და სააღრიცხვო-ანალიტიკურ საქმიანობას. ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შემდგენელი და/ან საქმის განმხილველი ორგანოები“.¹

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკური მაჩვენებლებია:

- დანაშაულის შესახებ სტატისტიკა;
- რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ სტატისტიკა;
- ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ სტატისტიკა;
- ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკა;
- საზღვრის კვეთის შესახებ სტატისტიკა;
- მონაცემები ხანძრების შესახებ;
- სუიციდის შესახებ სტატისტიკა;

განვიხილოთ დიაგრამა 10.3-ში მოცემული საქართველოში ხანძრების რაოდენობის სტატისტიკა. აღნიშნული მაჩვენებლების საფუძველზე შეგვიძლია გამოვთვალოთ დროითი მწკრივის ჯაჭვური და საბაზისო ზრდისა და მატების ტემპები. ზრდის ტემპები საბაზისო და ჯაჭვური წესებით, შესაბამისად, გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:


$$K_{\text{საბ.}} = \frac{x_t}{x_1} \times 100, \quad K_{\text{ჯაჭვ.}} = \frac{x_t}{x_{t-1}} \times 100$$

ასევე, შეგვიძლია გამოვიყენოთ საშუალო წლიური აბსოლუტური მატებისა და ზრდის ტემპების გასაანგარიშებელი ფორმულები:

$$\bar{\Delta} = \frac{\sum \Delta_i}{n-1} \quad \text{და} \quad \bar{K} = \sqrt[n-1]{\frac{x_n}{x_1}}$$


¹ იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

დიაგრამა 10.3. ხანძრების რაოდენობა 2015-2019 წლებში



ჯაჭური ზრდის ტემპის გამოყენებით შევადარებთ ყოველწლიურ პროცენტულ ცვლილებებს, რომლებიც გაიანგარიშება ყოველი მომდევნო მაჩვენებლისა და მის წინა მაჩვენებლის შეფარდებით.

დიაგრამა 10.4. ხანძრების შემთხვევების პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით




დინამიკის შეფარდებითი მაჩვენებლების გამოთვლით შეგვიძლია დავადგინოთ საშუალო აბსოლუტური მატებისა და ზრდის საშუალო ტემპის კონკრეტული მნიშვნელობები. საშუალო აბსოლუტური მატება იქნება:

$$\bar{\Delta} = \frac{\sum \Delta_i}{n-1} = \frac{(10951-14614) + (15222-10951) + (10769-15222) + (14796-10769)}{5-1} = \frac{13882}{4} \approx 3471.$$

ასევე გამოვთვალოთ ზრდის საშუალო ტემპი:

$$\bar{K} = \sqrt[n-1]{\frac{x_n}{x_1}} = \sqrt[4]{\frac{14796}{14614}} = 1,003.$$

დიაგრამა 10.5. ავტოსაგზაო შემთხვევებისა და დაზარალებულთა რაოდენობები, 2015-2019 წლები



სამართლის სტატისტიკის მაჩვენებლებში შეგვიძლია გამოვიყენოთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი. მაგალითად, ავიღოთ ავტოსაგზაო შემთხვევებისა და დაზარალებულთა რაოდენობები (დიაგრამა 10.5), ავაგოთ მარტივი წრფივი რეგრესია და განვსაზღვროთ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირი.

დამოუკიდებელ ცვლადად ვიღებთ ავტოსაგზაო შემთხვევებს (X), რაც იწვევს დაზარალებულთა ზრდას, შესაბამისად დამოკიდებულ ცვლადად ვიღებთ დაზარალებულთა რაოდენობას (Y). Excel ფუნქციის Data Analysis გამოყენებით, პირველ რიგში, ვაფასებთ t ტესტს. 95%-იანი განაწილების პირობებში, t ტესტის მნიშვნელობამ შეადგინა 0,000459. რადგან $t < 0.05$ -ზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირია.

ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა, სულ (X)	დაზარალებულთა რაოდენობა (Y)
6432	9187
6939	9951
6079	8461
6452	9047
5839	7921
$\bar{x} = 6348,2$	$\bar{y} = 8913,4$

	Coefficients	t Stat	P-value
Intercept	-2690,14915	-3,88757	0,03017
ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა, სულ	1,827848704	16,79748	0,000459

ცვლადებს შორის ასევე შეგვიძლია გამოვთვალოთ პირსონის კორელაციის წრფივი კოეფიციენტი (r_{xy}), რომლის მნიშვნელობა იცვლება -1 -დან 1 -მდე. რაც უფრო უახლოვდება კოეფიციენტის მნიშვნელობა 1 -ს, მით უფრო ძლიერი კორელაციური კავშირია ცვლადებს შორის, ხოლო მინუს ნიშანი გვიჩვენებს, რომ ცვლადებს შორის არის უკუკავშირი, რაც იმას ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი ცვლადის ზრდის პირობებში მცირდება დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობები. მიჩნეულია, რომ თუ $|r_{xy}| < 0.3$ ცვლადებს შორის კავშირი სუსტია, თუ $0.3 < |r_{xy}| < 0.7$ კავშირი საშუალოა, თუ $|r_{xy}| > 0.7$ კავშირი ძლიერია, ხოლო თუ $r_{xy} = 1$ ან $r_{xy} = -1$, მაშინ ცვლადებს შორის არსებობს სრული კორელაციური კავშირი.

კორელაციის წრფივი კოეფიციენტი ასე გამოითვლება:

$$r_{xy} = \frac{\sum (x - \bar{x})(y - \bar{y})}{\sqrt{\sum (x - \bar{x})^2 \cdot \sum (y - \bar{y})^2}} =$$

$$= \frac{(6432 - 6348.2)(9187 - 8913.4) + (6939 - 6348.2)(6651 - 8913.4) + (6079 - 6348.2)(8461 - 8913.4) + (6452 - 6348.2)(9047 - 7921) + (5839 - 6348.2)(7921 - 8913.4)}{\sqrt{((6432 - 6348.2)^2 + (6939 - 6348.2)^2 + (6079 - 6348.2)^2 + (6452 - 6348.2)^2 + (5839 - 6348.2)^2) \times ((9187 - 8913.4)^2 + (6651 - 8913.4)^2 + (8461 - 8913.4)^2 + (9047 - 7921)^2 + (7921 - 8913.4)^2)}} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \frac{(6079 - 6348.2)(8461 - 8913.4) + (6452 - 6348.2)(9047 - 7921) + (5839 - 6348.2)(7921 - 8913.4)}{\sqrt{((9187 - 8913.4)^2 + (6651 - 8913.4)^2 + (8461 - 8913.4)^2 + (9047 - 7921)^2 + (7921 - 8913.4)^2)}} =$$

$$= 0.99$$

კორელაციის წრფივი კოეფიციენტი (R_{xy}) შეადგინა 0.99 , რაც ნიშნავს, რომ ცვლადებს შორის არის მაღალი კორელაციური კავშირი. რაც შეეხება რეგრესიის პარამეტრებს, ის გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$$b_1 = \frac{\sum (x - \bar{x})(y - \bar{y})}{\sum (x - \bar{x})^2} = \frac{(6432 - 6348.2)(9187 - 8913.4) + (6939 - 6348.2)(6651 - 8913.4) + (6079 - 6348.2)(8461 - 8913.4) + (6452 - 6348.2)(9047 - 7921) + (5839 - 6348.2)(7921 - 8913.4)}{(6432 - 6348.2)^2 + (6939 - 6348.2)^2 + (6079 - 6348.2)^2 + (6452 - 6348.2)^2 + (5839 - 6348.2)^2} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \frac{(6079 - 6348.2)(8461 - 8913.4) + (6452 - 6348.2)(9047 - 7921) + (5839 - 6348.2)(7921 - 8913.4)}{(6452 - 6348.2)^2 + (5839 - 6348.2)^2} =$$

$$= 1.83.$$

$$b_0 = \bar{y} - b_1 \bar{x} = 8913.4 - 1.8 \times 6348.2 = -2690.2.$$

რეგრესიის განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს: $\hat{y} = b_0 + b_1x$ სადაც b_0 და b_1 პარამეტრების მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ $\hat{y} = -2690.2 + 1.83x$ განტოლებას, სადაც მნიშვნელოვანია b_1 პარამეტრის მნიშვნელობის ინტერპრეტაცია: ყოველი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ზარალდება საშუალოდ 1,83 ადამიანი.

10.4. კითხვები თვითშემოწმებისთვის

1. რას შეისწავლის იურიდიული სტატისტიკა?
2. რა წარმოადგენს იურიდიული სტატისტიკის შესწავლის საგანს?
3. რაში ეხმარება სტატისტიკური მონაცემების ანალიზი იურიდიულ სფეროში მომუშავე ადამიანებს?
4. რა მნიშვნელობა ენიჭება დინამიკური ანალიზის ჩატარებას იურიდიულ სფეროში?
5. რა პრაქტიკული გამოყენება აქვს სტატისტიკას ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალში?
6. რა პრინციპების დაცვას მოითხოვს სამართლის სტატისტიკის წარმოება?
7. როგორ არის განვითარებული თანამედროვე ეტაპზე სამართლის სტატისტიკის წარმოება საქართველოში?
8. რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს ოფიციალური უწყებების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა?
9. რა სტატისტიკური მეთოდები შეიძლება გამოვიყენოთ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კვლევისას?
10. რა ნიშნით შეისწავლიან დანაშაულის სტატისტიკას?
11. რა მიეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკურ მაჩვენებლებს?
12. ლატენტური დანაშაულის განხილვისას, რომელი დანაშაული წარმოადგენს ყველაზე დიდ წილს?
13. რა წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კანონმდებლობის მიზანს?
14. განიხილეთ აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები სამართლის სტატისტიკაში.
15. რას ნიშნავს დანაშაულის დონის განხილვისას სტრუქტურული ანალიზი?
16. რას გვიჩვენებს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დინამიკური მწკრივები?
17. რა მნიშვნელობა აქვს სოციალურ მაჩვენებლებსა და სამართლებრივ მოვლენებს შორის კორელაციურ კავშირს?

10.5. ტესტები

1. სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დინამიკური მწკრივი გვიჩვენებს:

- ა) სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სამომენტო მაჩვენებელს
- ბ) სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების უცვლელ დონეებს
- გ) სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ცვლილების დროში
- დ) ყველა პასუხი სწორია

2. სამართლის სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკური მწკრივის ჯაჭვური აბსოლუტური მატება მიიღება

- ა) დინამიკური მწკრივის დონეებს შორის სხვაობით
- ბ) დინამიკური მწკრივის დონეებს შორის ნამრავლით
- გ) დინამიკური მწკრივის დონეების ჯამით
- დ) დინამიკური მწკრივის დონეების გაყოფით

3. სამართლის სტატისტიკური მაჩვენებლების ჯაჭვური ზრდის ტემპი გაიანგარიშება:

- ა) ყოველი მომდევნო მაჩვენებლისა და მის წინა მაჩვენებლის შეფარდებით
- ბ) ყოველი მომდევნო მაჩვენებლისა და მწკრივში პირველი მაჩვენებლის შეფარდებით
- გ) ყოველი მომდევნო მაჩვენებლისა და მის წინა მაჩვენებლის სხვაობით
- დ) ყოველი მომდევნო მაჩვენებლის საშუალო გეომეტრიულით

4. რა პრინციპების დაცვით უნდა მიმდინარეობდეს ქვეყანაში სამართლის სტატისტიკის წარმოება?

- ა) სტატისტიკურ-ანალიტიკური კვლევების წარმოება უნდა იყოს გამჭვირვალე
- ბ) სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებასთან დაკავშირებით შემუშავებული უნდა იყოს ერთიანი, კონსოლიდირებული სახელმძღვანელო დოკუმენტი
- გ) რეგულირებული უნდა იყოს სხვადასხვა კატეგორიის მონაცემის შენახვის ვადები
- დ) ყველა პასუხი სწორია

5. რომელი წლიდან ხდება საქართველოში სამართლის სტატისტიკის ყოველთვიურად ანგარიშგება?

- ა) 2009 წლიდან ბ) 2010 წლიდან გ) 2015 წლიდან დ) 2016 წლიდან

6. რომელი წლიდან დაიწყო საქართველოში დანაშაულის სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგიით დათვლა?

ა) 2012 წლიდან ბ) 2013 წლიდან გ) 2015 წლიდან დ) 2019 წლიდან

7. რა მნიშვნელობით გამოიყენება სამართალში სიტყვა ლატენტური?

ა) სამართალდამცავ ორგანოებში აღურიცხავი, მაგრამ ფაქტობრივად არსებული რეალური დანაშაული

ბ) სამართალდამცავ ორგანოებში აღურიცხავი და ფაქტობრივად არარსებული დანაშაული

გ) სამართალდამცავ ორგანოებში აღურიცხული რეალური დანაშაული

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

8. რისგან შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა?

ა) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსისგან

ბ) უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონებისაგან

გ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან

დ) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმებისაგან

9. სამართლის სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელი უწყებებია:

ა) შინაგან საქმეთა სამინისტრო

ბ) პროკურატურა

გ) სასამართლო

დ) ყველა პასუხი სწორია

10. რა ნიშნით შეიძლება გამოითვალოს სამართლის სტატისტიკური მაჩვენებლები?

ა) სქესის

ბ) ასაკის

გ) მოქალაქეობის

დ) ყველა პასუხი სწორია

11. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკური მაჩვენებელია:

ა) ქურდობის სტატისტიკური მაჩვენებლები

ბ) საზღვრის კვეთის შესახებ სტატისტიკური მაჩვენებლები

გ) ძარცვის სტატისტიკური მაჩვენებლები

დ) ყაჩაღობის სტატისტიკური მაჩვენებლები

12. რომელი არ არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკური მაჩვენებელი ?

- ა) ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ სტატისტიკა
- ბ) რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ სტატისტიკა
- გ) ძარცვის სტატისტიკური მაჩვენებლები
- დ) მონაცემები ხანძრების შესახებ

13. სამართლის სტატისტიკაში შეფარდებითი სიდიდეები მიიღება:

- ა) აბსოლუტური მაჩვენებლების გამოკლებით
- ბ) აბსოლუტური მაჩვენებლების შეკრებით
- გ) აბსოლუტური მაჩვენებლების შეფარდებით
- დ) აბსოლუტური მაჩვენებლების ნამრავლით

14. სამართლის სტატისტიკაში მოცემული ფორმულით

$$R_{xy} = \frac{\sum(x-\bar{x})(y-\bar{y})}{\sqrt{\sum(x-\bar{x})^2 \cdot \sum(y-\bar{y})^2}} \text{ გამოითვლება:}$$

- ა) საშუალო წრფივი გადახრა
- ბ) საშუალო აბსოლუტური მატება
- გ) ნიშნის მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის სხვაობა
- დ) კორელაციის წრფივი კოეფიციენტი

15. კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა იცვლება:

- ა) 0-დან 1-მდე
- ბ) -1-დან 0-მდე
- გ) -1-დან 1-მდე
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

16. თუ კორელაციის კოეფიციენტი $r_{XY} = 0.2$, მაშინ ცვლადებს შორის კავშირი არის:

- ა) სუსტი კორელაციური კავშირი
- ბ) საშუალო კორელაციური კავშირი
- გ) ძლიერი კორელაციური კავშირი
- დ) სრული კორელაციური კავშირი

17. ავტოსაგზაო შემთხვევებისა და ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებულთა შორის კორელაციური ანალიზის დროს, რომელი ცვლადია დამოუკიდებელი და რომელი დამოკიდებული?

- ა) ავტოსაგზაო შემთხვევები დამოკიდებული ცვლადია, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებულები დამოუკიდებელი ცვლადი

- ბ) ავტოსაგზაო შემთხვევები და ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებულები, ორივე დამოუკიდებელი ცვლადებია
- გ) ავტოსაგზაო შემთხვევები და ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებულები, ორივე დამოკიდებელი ცვლადებია
- დ) ავტოსაგზაო შემთხვევები დამოუკიდებელი ცვლადია, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებულები დამოკიდებული ცვლადი

10.6. ამოცანები თემიდან

1. 2015-2019 წლებში მოცემული გვაქვს მონაცემები ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ. 2015 წ. – 6432; 2016 წ. – 6939; 2017 წ. – 6079; 2018 – 6452; 2019 წ. – 5839, მათ შორის სიმთვრალით გამოწვეული შემთხვევებია: 2015 წ. – 229; 2016 წ. – 260; 2017 წ. – 160; 2018 – 170; 2019 წ. – 152. გამოთვალეთ სიმთვრალით გამოწვეული შემთხვევების პროცენტული დონეები მთლიან ავტოსაგზაო შემთხვევებში.

2. მოცემული გვაქვს სატრანსპორტო დანაშაული 2015-2019 წლებში. 2015 წ. – 3182; 2016 წ. – 3142; 2017 წ. – 2626; 2018 – 3071; 2019 წ. – 2884. გამოთვალეთ 2015-2019 წლებში სატრანსპორტო დანაშაულის საშუალო წლიური აბსოლუტური მატების ტემპი.

3. მოცემული გვაქვს სამოსხლეო დანაშაული 2015-2019 წლებში. 2015 წ. – 592; 2016 წ. – 503; 2017 წ. – 503; 2018 – 645; 2019 წ. – 635. გამოთვალეთ 2015-2019 წლებში სატრანსპორტო დანაშაულის საშუალო წლიური ზრდის ტემპი.

4. მოცემული გვაქვს დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ 2015-2019 წლებში. 2015 წ. – 12 914; 2016 წ. – 13 296; 2017 წ. – 14 385; 2018 – 25 240; 2019 წ. – 25 756. გამოთვალეთ ჯაჭვური და საბაზისო ზრდისა და მატების ტემპები.

5. 2015-2019 წლებში მოცემული გვაქვს ხანძრებისა და ხანძრისგან განადგურებული შენობადნაგებობების რაოდენობები. ხანძრების რაოდენობა: 2015 წ. – 14 614; 2016 წ. – 10 951; 2017 წ. – 15 222; 2018 – 10 769; 2019 წ. – 14 796. ხანძრისგან განადგურებული შენობადნაგებობები: 2015 წ. – 525; 2016 წ. – 468; 2017 წ. – 543; 2018 – 453; 2019 წ. – 509.

ა) განსაზღვრეთ დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები და მათ შორის ურთიერთკავშირის მნიშვნელობა;

ბ) ააგეთ რეგრესიის განტოლება;

გ) b_1 პარამეტრის საფუძველზე გააკეთეთ შესაბამისი დასკვნა;

დ) გამოთვალეთ კორელაციის კოეფიციენტი და გამოიტანეთ შესაბამისი დასკვნები.

ლიტერატურა

1. აბესაძე რ. მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სიღარიბის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული III, თბ., 2010.
2. ბენაშვილი ი. საქართველოს ეროვნული შემოსავლის სტატისტიკური შესწავლის მეთოდოლოგია და მისი სრულყოფის გზები (ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 2010.
3. ბრეგვაძე თ. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბ., 2013.
4. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., 2011
5. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. სოციალური სტატისტიკა. „უნივერსალი“, თბ., 2020.
6. გელაშვილი ს., ჩარეიშვილი ლ. გენდერული სტატისტიკის საკითხები. გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2016.
7. გლოველი ე., სისხლის სამართლის დანაშაულთა სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება საქართველოში – ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2014.
8. გიორგაძე ლ., კვაჭაძე მ. და სხვ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2005.
9. ვირსალაძე ნ. მოსახლეობის შემოსავლები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. ქუთაისი, 2003.
10. ისტორიული ბუკლეტი „საქართველოს სტატისტიკა 100“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2019.
11. ლადარია ნ. სოციოლინგვისტიკა (სახელმძღვანელო). თბ., 2002.
12. მესხია ი., გაბელაშვილი აკ. მოსახლეობის ცხოვრების დონე. თბ., 2004.
13. მინდორაშვილი მ. ჰუმანური განვითარების ინდექსი: ისტორია და რეალობა. ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი 5, თბ., 2011.
14. რობიტაშვილი ნ. მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში (დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), ბათუმი, 2012.
15. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ანგარიში, 2019.
16. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, კარი პირველი, თავი I, მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მისი მიზანი, 01.12.2021
17. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, არასამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი, 2021.
18. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეტამონაცემები – მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა, 2021.
19. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ხელფასების სტატისტიკის ზოგადი მეთოდოლოგია, 2021.

20. საქსტატი სამუშაო ძალის სტატისტიკაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალ სტანდარტებს ნერგავს, 24 დეკემბერი 2020.
21. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2020.
22. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2019.
23. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, კულტურის სტატისტიკა 2019.
24. საქართველოს მთავრობის დადგენილება სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ, ზოგადი დებულებები, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 24.07.2012
25. საქართველოს კანონი კულტურის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 15.07.2020.
26. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 04.05.2005.
27. ხმალაძე მ., ჩიტალაძე ქ. დემოგრაფიული სტატისტიკა (ელ. ვერსია. იხ. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა). თბ., 2020.
28. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ., იურიდიული სტატისტიკა /თეორია პრაქტიკა ანალიზი, თბ., 2011.
29. ჩარეკიშვილი ლ., უმაღლესი განათლების სისტემის ანალიზი საქართველოში, თსუ „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3, გვ. 123-142.
30. ჩარეკიშვილი ლ., მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის საკითხები თანამედროვე საქართველოში, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 2013 წ. 17 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში“. გვ. 131-135.
31. ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიში. თბ., 2013 <http://www.healthrights.ge/health-system-performance/>
32. Eller, J. D. Cultural Anthropology Global forces Local Lives. New York, USA: Routledge, 2009.
33. Charekishvili L. Higher Education System in Georgia: Reforms and Modern Challenges. 2015; <http://www.iises.net/proceedings/teaching-education-conference-amsterdam/table-of-content/detail?article=higher-education-system-in-georgia-reforms-and-modern-challenges-pp-61-68>. (Accessed 27 February, 2018).
34. Gagnidze, I. and Maisuradze, N. “Systemic effects of international educational and scientific links. Proposals for the development of educational and scientific national system in Georgia“, 2016. *Int. J. Markets and Business Systems*, Vol. 2, No. 1, pp. 25–44. <http://www.inderscience.com/info/inarticle.php?artid=78102> (Accessed 23 February, 2018).
35. Gelaschwili Simon, Matthias Theodor Vogt. Aspekte der Armut in modernen Georgien. OST-WEST-KOLLEG, GÖRLITZ JG. XIX (2015/16), BEITRAG 1, 2016.
36. Helliwell, J. F., Layard, L. and Jeffrey D. Sachs. World Happiness Report, 2019.
37. Кене Франсуа. Экономика производства. М., 1960.
38. Measuring population and housing Practice of UNECE countries in the 2010 round of Census, United Nations, 2014.

39. HANDBOOK ON SOCIAL INDICATORS, UNITED NATIONS, New York, 1989.
40. Human Development Indices and Indicators, 2018 Statistical Update, Published for the United Nations Development Program (UNDP), USA, 2018.
41. Statistics and Law Practice – Janice Arellano, practice points, 2021.
42. Technical notes, Calculating the human development indices—graphical presentation, HUMAN DEVELOPMENT REPORT 2019.
43. TRAINING MATERIAL FOR PRODUCING NATIONAL HUMAN DEVELOPMENT REPORTS, Final draft (October 2011).
44. John F. Helliwell, Richard Layard and Jeffrey D. Sachs – World Happiness Report 2019.
45. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.geostat.ge
46. „U.S.News“-ის ინდექსის მიხედვით 2020 წლის საუკეთესო ქვეყნების რეიტინგი <https://media.beam.usnews.com/8e/b0/c99b324c4a0a8c1f6dd7c76d903c/200108-best-countries-overall-rankings-2020.pdf>
47. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – <http://www.mes.gov.ge/content.php?id=4908&lang=geo>
48. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შინამეურნეობების კვლევის ანგარიში – <https://geostat.ge/media/20576/Handbook-Of-Household-Surveys-%28Revised-Edition%29.zip>
49. ევროსტატის სოციალური სტატისტიკის სტატისტიკური მაჩვენებლები – https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Glossary:Household_-_social_statistics
50. ევროსტატის შინამეურნეობების შემოსავლების სტატისტიკური მაჩვენებლები - https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Glossary:Equivalent_disposable_income
51. კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია marketlinks - https://www.marketlinks.bg/index.php?prado_uri=en/pages/papi-capi-cati-cawi.html
52. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა – <http://www.nplg.gov.ge>
53. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) – <https://www.oecd.org/>
54. Handbook of the Normal Distribution, Second Edition – https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=zoVLF0VF9UYC&oi=fnd&pg=PA1&dq=normal+distribution&ots=b0698PiNXa&sig=IkgKmpRS6wwLLRu4Rr0k1PnkGU4&redir_esc=y#v=onepage&q=normal%20distribution&f=false
55. Statistics How To – <https://www.statisticshowto.com/probability-and-statistics/hypothesis-testing/margin-of-error/>
56. Standard deviation vs Standard error, Hertzog L. – <https://datascienceplus.com/standard-deviation-vs-standard-error/>
57. Estimating a Population Mean – <https://courses.lumenlearning.com/wmopen-concepts-statistics/chapter/estimating-a-population-mean-1-of-3/>
58. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგია – <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/119/methodologia-erovnuli-angarishebi>

59. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეროვნული ანგარიშები – <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/22/erovnuli-angarishebi>
60. ევროსტატი, ეროვნული ანგარიშები – <https://ec.europa.eu/eurostat/web/national-accounts/overview>
61. ევროსტატი, სტატისტიკური მაჩვენებლების განმარტებები – [https://ec.europa.eu/eurostat/statisticsexplained/index.php?title=National_accounts_\(incl.GDP\)](https://ec.europa.eu/eurostat/statisticsexplained/index.php?title=National_accounts_(incl.GDP))
62. მსოფლიო ბანკი, მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლები – <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD>
63. მსოფლიო ბანკი, ეროვნული ანგარიშები – <https://data.worldbank.org/indicator/NY.GNS.ICTR.ZS>
64. პლანეტის ბედნიერების ინდექსი – <http://happyplanetindex.org/>
65. <https://geostat.ge/media/20576/Handbook-Of-Household-Surveys-%28Revised-Edition%29.zip>
66. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შინამეურნეობების შემოსავლები – <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi>
67. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შინამეურნეობების ხარჯები – <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/51/shinameurneobebis-kharjebi>
68. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ჯინის კოეფიციენტი – <https://geostat.ge/media/31631/ginis-koeficienti.xls>
69. ევროსტატი, ცხოვრების დონის მაჩვენებლები – <https://ec.europa.eu/eurostat/web/income-and-living-conditions/methodology>
70. ევროსტატი, შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები – <https://ec.europa.eu/eurostat/web/household-budget-surveys/database>
71. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები – https://www.geostat.ge/media/29274/0701_050220_GE.pdf
72. ბელარუსიის სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოციალური სტატისტიკის მაჩვენებლები – http://www.belstat.gov.by/en/ofitsialnaya-statistika/social-sector/urovenzhizni-naseleniya/godovye_dannye/population-distribution-by-average-per-capita-disposable-resources-to-minimum-subsistence-budget/
73. ბელარუსის რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – <http://mintrud.gov.by/system/extensions/spaw/uploads/files/Zakon-Respubliki-Belarusot-6-janvarja-1999-g.-O-prozhitochnom-minimume-v-Respublike-Belarus-2.pdf>
74. ესტონეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახური – http://pub.stat.ee/px-web.2001/l_Databas/SOCIAL_LIFE/06HOUSEHOLDS/02HOUSEHOLD_BUDGET/01ANNUAL_EXPENDITURE/HH_24.htm
75. მოლდოვის სტატისტიკის ეროვნული სამსახური – http://statbank.statistica.md/pxweb/pxweb/en/30%20Statistica%20sociala/30%20Statistica%20sociala__04%20NIV__NIV050/NIV050100.px/table/tableViewLayout1/?rxid=8d57af69-384b-4e61-ba31-08b113e18221
76. მოლდოვის მთავრობის დადგენილება საარსებო მინიმუმის დამტკიცების შესახებ – <http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=347747&lang=2>

77. მოლდოვის საარსებო მინიმუმის გამოთვლის მეთოდოლოგია –
http://lex.justice.md/UserFiles/File/2013/mo104-108ru/anexa_285mod..doc
78. მოლდოვის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
<http://lex.justice.md/viewdoc.php?action=view&view=doc&id=349672&lang=2>
79. ყაზახეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული ბიურო –
<http://stat.gov.kz/getImg?id=ESTAT104582>
80. ყაზახეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული ბიურო –
<http://stat.gov.kz/getImg?id=ESTAT097176>
81. ყაზახეთის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო –
<https://www.enbek.gov.kz/ru/node/34436>
82. ყაზახეთის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო –
<http://www.enbek.gov.kz/node/242147>
83. ყაზახეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული ბიურო, სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორები – <http://stat.gov.kz/getImg?id=ESTAT220583>
84. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---soc_sec/documents/publication/wcms_secsec_33548.pdf
85. ჩეხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახური -
https://www.czso.cz/csu/czso/home?p_p_id=3&p_p_lifecycle=0&p_p_state=maximized&p_p_mode=view&_3_struts_action=%2Fsearch%2Fsearch&_3_redirect=%2Fweb%2Fczso%2Fkatalog-produktu-vydavame&_3_keywords=subsistence+_3_groupId=0
86. ჩეხეთის შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო –
<https://www.mpsv.cz/en/11854>
87. ჩეხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საცხოვრებელი პირობები –
<https://www.czso.cz/documents/10180/20543079/301209ma.pdf/30b449bc-c501-444b-9d6a-e07945cec2d4?version=1.0>
88. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), ჩეხეთის დასაქმების, შრომისა და სოციალური დაცვის მაჩვენებლები -
<https://www.oecd.org/els/soc/42489764.pdf>
89. რუსეთის ფედერალური სტატისტიკური სამსახური, სოციალური სტატისტიკის მაჩვენებლები – http://www.gks.ru/bgd/regl/b17_12/IssWWW.exe/stg/d01/07-00.doc
90. რუსეთის ფედერალური სტატისტიკის სამსახური, საარსებო მინიმუმის გამოთვლის მეთოდოლოგია –
http://www.gks.ru/bgd/free/B99_10/IssWWW.exe/Stg/d000/i000160r.htm
91. „Wealthx“-ის მილიარდერების რეიტინგი – <https://www.wealthx.com/report/the-wealth-x-billionaire-census-2019/>
92. „Businessinsider“-ის მდიდარი ქვეყნების რეიტინგი -
<https://www.businessinsider.com/countries-with-the-most-billionaires-2019-5#10-france-10>
93. ბლუმბერგი, ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგი –
<https://www.bloomberg.com/billionaires/>

გამომცემობის რედაქტორი	ქეთევან ქურდოვანიძე
გარეკანის დიზაინერი	თინათინ ჩირინაშვილი
დამკაბადონებელი	ლალი კურდღელაშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278
www.tsu.ge/ka/publishing-house

